# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 22 ნოემბერი 1997 №149 (514) ფასი 50 თეთრი

## 15 ტური

| | | |
|---|---|---|
| ლოკომოტივი | 1:1 | მერანი |
| თსუ | 0:0 | ბათუმი |
| კოლხეთი | 5:0 | მეტალურგი |
| სიონი | 6:0 | ოდიში |
| მაღაროელი | 0:2 | ტორპედო |
| გურია | 4:0 | მარგვეთი |
| მორკინალი | 2:0 | დილა |
| სამგურალი | 0:2 | დინამო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 11 | 2 | 0 | 3&4 | 35 |
| ოდიში | 15 | 10 | 1 | 4 | 23:21 | 31 |
| ბათუმი | 14 | 8 | 5 | 1 | 29:10 | 29 |
| თსუ | 15 | 7 | 4 | 4 | 21:11 | 25 |
| კოლხეთი | 15 | 7 | 3 | 5 | 31:15 | 24 |
| ტორპედო | 14 | 5 | 6 | 3 | 20:16 | 21 |
| მორკინალი | 15 | 5 | 6 | 4 | 17:13 | 21 |
| ლოკომოტივი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:23 | 20 |
| მერანი | 15 | 7 | 3 | 5 | 21:17 | 19 |
| დილა | 15 | 6 | 1 | 8 | 15:23 | 19 |
| მეტალურგი | 14 | 5 | 0 | 9 | 15:25 | 15 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 17:32 | 14 |
| გურია | 15 | 3 | 4 | 8 | 18:30 | 13 |
| სიონი | 14 | 4 | 5 | 5 | 23:17 | 12 |
| მაღაროელი | 15 | 3 | 2 | 10 | 12:33 | 11 |
| მარგვეთი | 15 | 1 | 3 | 11 | 11:38 | 6 |



გუშინწინ მცხეთაში. თსუ — ბათუმი: მალხაზ მახარაძის (№7) და ლევან მელქაძის საჰაერო დუელი

## ახალი სუპერლიგა სუპერათლეტებისთვის

### 1997 წლის საუკეთესო მძლეოსნები



მერიონ ჯონსი





უილსონ კიპკეტერი

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის — IAAF-ის თაოსნობით 1998 წლიდან მძლეოსნობაში ახალი სერია — სუპერლიგა დაარსდება, რომელიც რვა ელიტარული ტურნირისგან შედგება. მასში გაერთიანდება „ოქროს ოთხეულიც" — ოსლო, ციურიხი, ბრიუსელი და ბერლინი, რომლის გამარჯვებულთ 20 კილოგრამი ოქროს ზოდებით აჯილდოებდნენ ხოლმე. ამათ ორგანიზატორებს გასულ თვეს გადაუწყვეტიათ, რომ ახალი ლიგის მიღმა დარჩენას სერიების გაუქმება აჯობებდა. IAAF-ს იმედი აქვს, რომ 1999 წლიდან სუპერლიგას ორი ტურნირითაც გაზრდის — ერთით იაპონიაში და მეორით აშშ-ში. ჯერჯერობით კი ფედერაცია 35 წამყვან სპორტსმენთან აპირებს კონტრაქტების გაფორმებას, რათა თითოეულ ტურნირზე მათი გამოსვლა უზრუნველყოს. ეს მაინცდამაინც დიდი პრობლემა არ უნდა იყოს, რადგან ფულს დახარბებულ მძლეოსნებს სუპერლიგაში ასპარეზობისას დამყარებული მსოფლიოს რეკორდისთვის 50 ათას დოლარს აახლებენ. ახალი ლიგის დიდი პოპულარობის იმედით IAAF-ს წინასწარ ხუთი წლით შეუსყიდია ტელეტრანსლაციების უფლება. მისმა მარიფათიანმა პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ სუპერლიგის განრიგი გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა.

14 ივლისი — რომი
16 ივლისი — ოსლო
29 ივლისი — პარიზი (დასაზუსტებელია)
8 აგვისტო — მონაკო
12 აგვისტო — ციურიხი
28 აგვისტო — ბრიუსელი
2 სექტემბერი — ბერლინი
5 სექტემბერი — მოსკოვი

პარასკევსვე გაირკვა წლის საუკეთესო მძლეოსანი ქალისა და კაცის ვინაობაც. მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა შორის ეს პატივი 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ჩემპიონს — ამერიკელ მერიონ ჯონსს ხვდა წილად, კაცებში კი დანიელმა უილსონ კიპკეტერმა გაიმარჯვა, რომელსაც 800 მეტრზე რბენაში წლის განმავლობაში ორჯერ დაუმყარებია მსოფლიოს რეკორდი. აქვე სპეციალური მედლით დააჯილდოვეს ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი კარლ ლუისი, რომელმაც, როგორც იქნა, შეასრულა თავისი დაპირება და მართლაც გავიდა პენსიაზე.

მცხეთა „არმაზი" 20 ნოემბერი

**თსუ 0:0 ბათუმი**

**თსუ:** დოლიძე, ზამთარაძე, ვერემჩუკი, კობიაშვილი, ი. ბახტაძე (გ. ქორიძე 46), კობესაშვილი, სვანიძე, შ. ჩომახიძე (ლ. მელქაძე 83), რუსია, კ. მელქაძე, როსტიაშვილი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, ღლონტი, ჩუხუა, კანტიძე (შანიძე 74)
**გაფრთხილება:** ჭიჭვეიშვილი, კანტიძე
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

## არ უნდათ და, ძალაა?

**მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან**

„ბათუმი" რომ თსუ-ზე ძლიერია, ორი აზრი არ არსებობს. გუშინწინდელი სტუმრები უფრო გამოცდილნი, შეკრულ-შეთამაშებულნი და მაღალი კლასისანი არიან, მაგრამ მათ ერთი ნაკლი აქვთ: პრინციპული მატჩები ჯერაც ვერ მოუგიათ. ასეა წლობით. ბათუმელები ჩემპიონატზე არ ფიქრობენ, თავის ატკივება არ სურთ.

გუშინწინ ორივე გუნდს თითო წამყვანი მოთამაშე აკლდა. სტუმრებმა მაჭუტაძე მოისაკლისეს — პაატას მამა გარდაეცვალათ, გვითხრეს. გაბელიამ უკანა ხაზის ბურჯი, შალამბერიძე ვერ გამოიყვანა — ჯონი ტრავმას შეუწუხებია.

სალამის დამთავრება და ბათუმელთა შტურმის დაწყება ერთი იყო. ჩუხუამ საჯარიმოს ხაზთან მიღებული ბურთი მინდაძეს დაუგორა. ამის დარტყმა ხარიხამ უკუაგდო. ბურთთან ყველაზე ადრე ღლონტი გაჩნდა, მაგრამ არაზუსტად დაამატა.

ცოტა ხანში მასპინძელთა ნახევარზე კანტიძე და ღლონტი ვერემჩუკს ბურთს კოლექტიურად ართმევენ. კანტიძემ ღლონტი წინ გაუშვა, ბურთიც გაატანა, მაგრამ ავთომ ძელი შეარყია.

ღლონტი მარჯვენა ფრთაზე კარგად ირჯება, ცენტრში გადაინაცვლებს და მინდაძეს უპასებს, ზურაბი კი ისევ ხარიხას დაუმიზნებს. მოკლედ, პირველ ოც წუთში სტუმრებმა დასეტყვეს მეტოქე. „ბათუმი" არც პირველი ნახევრის დარჩენილ დროში გაჩერებულა, მაგრამ სახიფათო შეტევებმა იკლო.

მონდომებულმა მასპინძლებმა, რომელთაც კონტრიერიშებით სცადეს მატჩის შეტრიალება, ისღა მოახერხეს, რომ ორიოდ კუთხური მოაწოდეს. ერთ-ერთის დროს რუსიამ კარში თავით დაარტყა. ბურთმა ძელს საკმაოდ შორს ჩაუქროლა.

სტადიონზე მოსული გულშემატკივარი მეორე ტაიმში უფრო საინტერესო თამაშს ელოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. „ბათუმმა" ვერ აჩვენა საკადრისი თამაში. ვერაფრით ავხსენი, ასეთი უპირატესობის შემდეგ რატომ დათმეს სტუმრებმა ინიციატივა და კონტრშეტევების იმედად დარჩნენ, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. მასპინძლები პირიქით, უფრო გამოცოცხლებულნი და დარაზმულნი ჩანდნენ. უპირატესობას ისინი ფლობდნენ, მაგრამ სტუდენტთა შეტევები მეტად ერთფეროვანი და ადვილად გამოსაცნობი იყო. თსუ-მ ორჯერ შეუქმნა ხიფათი „ბათუმს". ჯერ ჩომახიძემ დაარტყა შორიდან, მერე კობიაშვილმა ცენტრიდან წამოღებული ბურთი საჯარიმოს ხაზამდე დრიბლინგით მიიტანა და დაარტყა. ორივე შემთხვევაში ტოგონიძე ფხიზლად იყო.

საბოლოოდ, ნულოვანი ფრე დაფიქსირდა და იცით, რატომ? გარისკვა არც ერთს სურდა. ბათუმმა ორი ქულა დაკარგა, ხოლო თსუ-მ ერთი მოიპოვა. ეს კი სტუმარ-მასპინძელს ვერ დააკმაყოფილებდა.

## პლეი-ოფისთვის თავი დაზოგეს

**იმის** ალბათობა, რომ საქართველოს **რაგბის** პირველობის დიდ ფინალში 30 ნოემბერს ერთმანეთს ლიდერი „ყოჩები" და მეორეადგილოსანი „აზოტი" გადაეყარონ, ერთობ დიდია. ამიტომ იყო, რომ საშემოდგომო სტადიის ბოლო მატჩში, რომელიც გუშინ ჭყონდიდლის დასახლებაში გაიმართა და სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტდა, ორივე პოტენციურმა ფინალისტმა დაზოგა ძირითადი შემადგენლობა. თბილისელებმა დაასვენეს ტეფნაძე, კობახიძე, მაჩიტიძე, შერკინების წინა ხაზი, რუსთაველებმა კი არ ათამაშეს ჯიმშელაძე, ჩიქვინიძე, რაფავა და ლაბაძე.

ბოლო თამაშებში წესად იქცა, რომ „აზოტში" ემზარ ძაგნიძემ და პაატა ძოწენიძემ უნდა გამოიჩინონ თავი. მათი ძალისხმევით „აზოტმა" ამჯერად 19:12 გაიმარჯვა. ძაგნიძემ სამი საჯარიმო და გარდასახვა შეაგდო, ძოწენიძემ კი სამი მეტოქე მოატყუა, მერე კარგად წაებურთავა ლევან კბილცეცხლაშვილს და ლელო თავადვე გაიტანა. გარდა ამისა, ერთი არეკნიც შალვა გოგიშვილის ანგარიშზეა.

პირველი ნახევარი 10:7 მორჩა. „ყოჩები" მამუკა ტყეშელაშვილმა გარდასახული ლელოთი დააწინაურა. მეორე ნახევარში გეგი წიკლაურმა გაიტანა თბილისელთა მეორე ლელო და ჩხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა 13:12, რასაც ძაგნიძის ორი გოლი მოყვა.

გუშინვე „გუმარი" ქუთაისში „აიას" არ ეწვია.

**რაულ წეველიძე**

## ევროპა — დანარჩენი მსოფლიო

**4 დეკემბერს მარსელში ჩატარდება მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა. ამასთან დაკავშირებით დაგეგმილია საჩვენებელი მატჩი ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებ გუნდებს შორის. გუშინ გამოცხადდა მონაწილეთა შემადგენლობა.**

### ევროპა

(მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერი): მეკარეები — ანდრეას კიოპკე (გერმანია, ოლიმპიკ მარსელი), ფროდე გროდასი (ნორვეგია, ჩელსი); მინდვრის მოთამაშეები — ჰაიმო პფაიფენბერგერი (ავსტრია, ვერდერი ბრემენი), კრასიმირ ბალაკოვი (ბულგარეთი, შტუტგარტი), ალან ნილსენი (დანია, ტოტენჰემ ჰოტსპური), პოლ ინსი (ინგლისი, ლივერპული), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი, იუვენტუსი), პაოლო მალდინი (იტალია, მილანი), მარიუს ლაკატუში (რუმინეთი, სტიაუა), ფერნანდო იერო (ესპანეთი, რეალი), ალენ ბოკშიჩი (ხორვატია, ლაციო), გარი მაკალისტერი (შოტლანდია, ქოვენთრი), დეიან სავიჩევიჩი (იუგოსლავია, მილანი).

### დანარჩენი მსოფლიო

(მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა): მეკარეები — ჟაკ სონგო (კამერუნი, დეპორტივო), ხოსე-ლუის ჩილავერტი (პარაგვაი, ველეზ სარსფილდი); მინდვრის მოთამაშეები — ხავიერ მარგასი (ჩილე, უნივერსიდადი), მიუნ-ბო ჰონი (კორეა, ბელმარ ჰირაცუკა), ჰიდეტოში ნაკატა (იაპონია, ბელმარ ჰირაცუკა), ნურედინ ნაიბეტი (მაროკო, დეპორტივო), მარსელინო ბერნალი (მექსიკა, მონტერეი), ნვანკვო კანუ (ნიგერია, ინტერი), ჰუსეინ სულიმანი (საუდეთი), ადელ სელიმი (ტუნისი, ნანტი), მარსელო ბალბოა (აშშ, კოლორადო დაპიდსი), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა, ფიორენტინა), რონალდო (ბრაზილია, ინტერი), კარლოს ვალდერამა (კოლუმბია, მაიამი), დეონ ბარტონი (იამაიკა, დერბი ქაუნთი).

## განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით, გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოში გერმანიის საელჩოს ხელშეწყობით თბილისში სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის ორგანიზაციის და სტრუქტურის საკითხებზე, მენეჯმენტზე კონსულტაციებს გამართავს და სემინარის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს გერმანიის სპორტის კავშირის სპორტული დირექტორი, გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტ-კონსულტანტი პეტერ ჰოლცი.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ გვეწვიონ 26, 27 და 28 ნოემბერს დილის 11 საათზე საქართველოს სპორტის აკადემიის საქტო დარბაზში (ი. ჭავჭავაძის გამზ. 49).

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

ჭიათურა
„მაღაროელი“
21 ნოემბერი

**მაღაროელი 0:2 ტორპედო**

**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ასანიძე, მ. გაბრიჭიძე, ტეფნაძე (მენაბდიშვილი 46), შეყლაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი
**ტორპედო:** ასლანიძე, ხვადაგიანი, თურმანიძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, შ. ხუჯაძე, კ. კვეტენაძე, ჯინჭარაძე (ვაჩიბერაძე 80), ჩხეტიანი (შ. მუმლაძე 84), მეგრელაძე, იონანიძე
0:1 იონანიძე (58), 0:2 მეგრელაძე (69)
**მსაჯი:** ხ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

# ძალა ალმართს ხნავს

**ბესიკ ჯანგავაძე ჭიათურიდან**

შეჭირვებულ გუნდს საქართველოში რა გამოლევს, მაგრამ ისეთ ყოფას, როგორსაც ჭიათურელები განიცდიან, მტერს არ ვუსურვებდი. ამგვარი ფინანსური კრიზისისთვის ნებისმიერი გუნდი ცოდვაა, მით უმეტეს ისეთი, რომელსაც შესწევს ძალა და აქვს უნარი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის I ჯგუფში ღირსეულად იასპარეზოს. თავისი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე კი „მაღაროელი“ მხოლოდ ჯგუფში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ქუთათურებთან საპაექროდ გამოსვლას კი საერთოდაც არ აპირებდა. თამაშამდე ნახევარი საათით ადრე ადრეულა შეძლეს გუნდის ხელმძღვანელებმა მოთამაშეთა დაყოლიება. ცუდ გუნებაზე მყოფი მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში ერთობ უნიათოდ ირჯებოდნენ და საბოლოო შედეგიც ლოგიკური დაფიქსირდა.

თამაშის პირველი 20 წუთი ისე მიილია, საგულისხმო და ღირშესანიშნავი ვერაფერი მოვინიშნე. ბრძოლა ძირითადად მოედნის ცენტრის დაუფლებისთვის მიმდინარეობდა, სადაც საბოლოოდ სტუმართა გუნდმა იძალა. პირველი საფრთხე ტორპედოელებმა მასპინძელთა კართან 21-ე წუთზე შექმნეს, როდესაც როგორც იქნა, მოახერხეს ხეირიანი, მრავალსვლიანი კომბინაციის გათამაშება, რის შედეგადაც მეგრელაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ გველესიანის ძლევა ველარ შეძლო. რომ არა ჭიათურელთა გოლკიპერი და თანამსაჯი ცირდავა, ჭიათურელები პირველ ნახევარში კარს მშრალად ვერაფრით შეინახავდნენ. გველესიანმა კიდევ მრავალჯერ იხსნა საკუთარი კარი, იონანიძის, შეყრილაძისა და სხვათა დარტყმებისგან. მან კვეტენაძის 36-ე წუთზე დარტყმული ჯარიმაც მოიგერია, მაგრამ გადმოვარდნილ ბურთს იონანიძემ მიუსწრო და თაური დარტყმით კარის ბადეში გაგზავნა. ქუთაისელთა სახეზე სიხარულის ნაცვლად გაოგნება რომ დავინახე, სწორედ მაშინ შევნიშნე, თანამსაჯს ალამი რომ აეწია — თავდამსხმელი თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

მეორე ნახევარში „ტორპედომ“ უფრო იმძლავრა და მატჩიც თავისთვის სასურველი შედეგით დაასრულა. ჯერ იყო და 58-ე წუთზე შეყრილაძემ მარჯვენა ფრთაზე იაქტიურა, ბოლომდე იბრძოლა, უხერხულ სიტუაციაში საჯარიმოში ჩაწოდებაც მოახერხა, იქ კი ჩხეტიანმა მკერდით დაუგდო იონანიძეს, რომელმაც უძლიერესი დარტყმით მართლაც რომ ულამაზესი გოლი გაიტანა მასპინძელთა კარის ცხრიანში.

69-ე წუთზე ისევ მარჯვენა ფრთიდან წამოწყებული კვეტენაძის რეიდი მეგრელაძემ დაასრულა ზუსტი დარტყმით. მატჩის მიწურულს ჭიათურელებმა სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს, მაგრამ მიზნის მისაღწევად აღარც დრო ეყოთ და არც ძალა შესწევდათ.

ბოლნისი
„თამაზ სტეფანია“
21 ნოემბერი

**სიონი 6:0 ოდიში**

**სიონი:** ჩლაიძე, მ. სამხარაძე, ყაველაშვილი, ყიფშიძე (გ. ჩომახიძე 46), მოსეშვილი, ტრაპაიძე, ხოსროშვილი (ჭანკვეტაძე 72), შაკიაშვილი, ისიანი, ტყავაძე, ტარტარაშვილი
**ოდიში:** სოლოლაშვილი (გაბელია 75), ახვლედიანი, ლურსმანაშვილი (ჭურღულია 72), ანჯაფარიძე, ტყემალაძე, ებრალიძე, ჩადუნელი (ჯოჯუა 72), ენდელაძე, კაიდარაშვილი, რევაზიშვილი, კალანდაძე
1:0 ისიანი (28), 2:0 ტრაპაიძე (33), 3:0 ტყავაძე (60), 4:0 ისიანი (69), 5:0 ტყავაძე (81), 6:0 მოსეშვილი (84)
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

# ტყავაძემ ოდიშს ტყავი გააძრო

**მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან**

როცა ლიდერთა სამეულის წარმომადგენელი აუტსაიდერთან ექვსი უპასუხო ბურთით წააგებ, სათქმელიც არაფერი უნდა გქონდეს. არ ვიცი, ვის და რას დააბრალებენ ზუგდიდელები ბოლნისურ ფიასკოს, მაგრამ ფაქტი ერთია, გუშინ მინდორზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა, მეორე კი ზვარაკს მოგაგონებდათ, რომელიც ყოველ წამს წესის აგებას ელის. ზუგდიდელებმა კარგად უწყოდნენ „სიონში“ მოთამაშე ტყავაძის ძალა. ისიც უნდა სცოდნოდათ, რომ ბუბა მეტოქეს უყურადღებობას არ აპატიებდა. სტუმართა შეცდომაც სწორედ ის იყო, ტყავაძეს მეთვალყურე რომ არ მიუჩინეს. თამამად ვიტყვი, ექვსივე გოლი ბოლნისელთა მეათე ნომრის შესრულებული გახლდათ, რომელსაც ახალგაზრდა ისიანი და ტრაპაიძე უმშვენებდნენ გვერდს.

არადა, „ოდიშმა“ თამაში კარგად დაიწყო. პირველი თხუთმეტი წუთი თანაბარ ბრძოლაში გაილია. სტუმრებს ორი ხელსაყრელი მომენტიც გაუცუდდათ. ჯერ ჩადუნელმა დაარტყა კარგი პოზიციიდან არაზუსტად, მერე კი კალანდაძემ ჩლაიძეს კი შემოატარა, მაგრამ ძელსაც მცირედით ააცილა. ეს იყო და ეს. დანარჩენ დროს ითოშებოდა მასპინძელთა უსაქმურად მდგარი მეკარე.

დაახლოებით მეოცე წუთიდან „სიონმა“ მეტოქეს თხუთმეტწუთიანი შტურმი მოუწყო. „ოდიში“ რამდენჯერმე სასწაულად გადაურჩა გოლს და როცა სტუმრებმა იფიქრეს, თავი დავიძვრინეთ და გვეშველაო, მაშინ გაუშვეს გოლი. თავისუფალ დარტყმას სოლოლაშვილი ასრულებდა. ბურთი გაასწორა, გამოექანა და ფეხი ბურთსაც და მიწასაც ერთდროულად წამოჰკრა. მცველებმა იმ და დანარჩენ მომენტებშიც ჩაიძინეს, ტყავაძემ კი ბურთი მოიგდო და ისიანი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. თავდამსხმელის დარტყმული უნაკლო იყო. ხუთ წუთში ბოლნისელმა გულშემატკივრებმა ისევ გაიხარეს — ტყავაძემ მარჯვენა ფრთაზე მიიღო პასი, ფლანგზე გაჭრილმა მცველებს რამდენჯერმე თავბრუ დაახვია და ბურთი მეკარის ბაქანში ჩააწოდა. შეიქნა ზედახორა, სადაც ტრაპაიძემ ივარგა და გაიტანა. ამ მომენტში სტუმართა გუნდის თავკაცობა მსაჯისგან თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირებას ითხოვდა, მაგრამ მათი ცდა უშედეგოდ დასრულდა.

სტუმრები შესვენებაზე მეორე ნახევრის იმედად წავიდნენ, მაგრამ მათთვის აშკარად აჯობებდა, მატჩი სულ არ განახლებულიყო. შესვენებაზე ბოლნისელებმა ექიმი ვერ მოიძიეს და დასახმარებლად სტუმრებს მიმართეს. ტყავაძეს ერთ-ერთი ორთაბრძოლისას ქუთუთო დაუზიანდა და სისხლი სდიოდა. ზუგდიდელებმაც დახმარება არ დაამადლეს. ბუბა მეორე ნახევარში სალბუნდადებული დაბრუნდა და ორი თავად შეაგდო, ორიც სხვას გაატანინა.

ტრაპაიძის გარღვევა საჯარიმოში ჩაწოდებით და ტყავაძის გოლით გვირგვინდება. ამან სულ მოშალა ოდიშელთა დაცვა. ისიანმა მალე დუბლი შეასრულა, ოღონდ გოლის გასატანად ზედიზედ ორი დარტყმა დასჭირდა, პირველი მეკარემ მოიგერია. სტუმართა მეკარემ მალე შეცვლა მოითხოვა, კარში გიორგი გაბელია ჩადგა. მასპინძლებმა მაინც არ მოისვენეს და ტყავაძემ ახლო მანძილიდან მეხუთე გოლი შეაგდო, სამ წუთში კი მოსეშვილს მეექვსე გაატანინა.

კიდევ კარგი, დრო ამოიწურა, თორემ ანგარიში, ალბათ, საკალათბურთო იქნებოდა. თამაშის მერე ზუგდიდელები მსაჯობით უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. მეორე გოლი თამაშგარედან გავიდა, ხოლო 2:0-ზე პენალტი გვეკუთვნოდაო. თამაშგარესი რა მოგახსენოთ, მოშორებით ვიჯექი და მომეჩვენა, მსგავსი არაფერი იყო. რაც შეეხება პენალტს, ჩემი აზრით, მსაჯს დანიშვნა შეეძლო.

საიდანაც არ უნდა მოუარო, „სიონმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა და ჩვენს ჩემპიონატში ბარე ორ გუნდსაც სჯობნის, თუ მეტს არა. მატჩის მერე კი ტყავაძეს ეხუმრებოდნენ — ახლობელ-ნათესავებში ბევრი მეგრელი გყავს, „ოდიში“ ასე რად გაიმეტეო. რას ფიქრობდა ტყავაძე, ვერ გეტყვით, მაგრამ „ოდიშს“ რომ ტყავი გააძრო, ფაქტია.

თბილისი
„შევარდენი“
21 ნოემბერი

**მორკინალი 2:0 დილა**

**მორკინალი:** გვარამაძე, ამბიძე, კველიშვილი, ვაშაკიძე, ასპინძელაშვილი, ცომაია, ლაპიაშვილი, დვალიშვილი, პეტრიაშვილი, ქუმბურიძე, ალავიძე (გოჩაშვილი 46)
**დილა:** ილურიძე, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, ტაბატაძე, წკრიალაშვილი (ციცქიშვილი 85), მარეხაშვილი, ხ. გაგნიძე, მარლიშვილი, აკოფიანი (მ. მინდიაშვილი 85), ლომიძე
1:0 ვაშაკიძე (83), 2:0 გოჩაშვილი (89)
**გაფრთხილება:** დვალიშვილი
**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

# მადა ჭამაში მოვა?

**მერაბ მამულაშვილი**

თავდაპირველად მსაჯებზე მოგახსენებთ — ავთო შალამბერიძის ბრიგადას I ჯგუფში დებიუტი ჰქონდა. მოედანზე შესვლისას ეტყობოდათ კიდეც, რომ ღელავდნენ, მაგრამ თამაში ზღვარს არ გასცდენია და მათმა დებიუტმაც მშვიდად ჩაიარა. არბიტრსაც, აბა, მეტი რა უნდა...

მასპინძლებს ტრავმის გამო კვლავ აკლდა მოთამაშეები, მაგრამ ეს შედეგს მაინც არ დასტყობია. ბრძოლა თავიდანვე ხისტი და უშელავათო გამოდგა. „მორკინალის“ შეტევებს „დილა“ ალაგ-ალაგ კონტრშეტევებით პასუხობდა. მასპინძლები ძირითადად ფლანგებზე გაღწევითა და ცენტრში ბურთის ჩაკიდებით ცდილობდნენ შედეგის მიღწევას, თუმცა, ვერ ვიტყვი, ორგანიზებული შეტევები ჰქონდათ-მეთქი. პირველ ტაიმში მათ მხოლოდ ორიოდე ოდნავ სახიფათო მომენტი შექმნეს. მიზეზი გორელთა გონივრული თამაში იყო. „ფეროს“ ხელქვეითნი პრესინგით უკარგავდნენ მოწინააღმდეგის შეტევებს სიმწვავეს და სამოძრაო სივრცეს უზღუდავდნენ. პირველი ნახევარი ვერაფერი სანახავი იყო. თითქოს ბალი-ბულს თამაშობდნენ, ბურთი უაზროდ მიდი-მოდიოდა აქეთ-იქით. მეორე ნახევარმა თამაშს მეტი დაძაბულობა შესძინა, ტემპმაც იმატა, ძირითადად „მორკინალის“ გააქტიურების ხარჯზე. ბოლოსკენ კი გორელები ყრუ დაცვაში ჩასხდნენ და დროის გაყვანასაც ცდილობდნენ. თამაშის ლოგიკის მიხედვით შედეგი სტუმართათვის სასურველი ფრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ 83-ე წუთზე მასპინძელთა გატანილმა გოლმა ეს აზრი გააქარწყლა: კუთხურიდან საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ასპინძელაშვილმა კარისაკენ არაზუსტად გააგზავნა, ხვიჩა გაგნიძე ბურთს ვერ შესწვდა, კართან მდგომმა ვაშაკიძემ კი გორელთა მეკარე პირგამეხებული დატოვა.

ახლა უკვე სტუმრებმა შეუტიეს მასპინძლებს, მაგრამ ეს უფრო ავანტიურას ჰგავდა, დაცვა მთლად მოაშიშვლეს და თბილისელთა კონტრიერიში პეტრიაშვილის პასის შემდეგ გოჩაშვილმა მეორე გოლით დაასრულა. ამის შემდეგ პეტრიაშვილს კიდევ ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ამჯერად მცველებმა იყოჩაღეს, თუმცა, უკვე გვიანი იყო, „დილამ“ თავისივე უგერგილობით 3 ქულა დაკარგა. „მორკინალი“ კი უკვე მესამე შეხვედრაა, რაც კარს მშრალად ინახავს და მადამომატებული ასრულებს პირველ წრეს. ჩვენც ჩემპიონატის განახლებას დაველოდოთ, ვნახოთ, შეინარჩუნებს გუნდი ამ განწყობას?


ბაადურ ქოიაშვილის ფოტო
გორელ ლომიძეს მასპინძელმა ალავიძემ დაასწრო

### საბოლოო ცხრილები

**მეორე ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 15 | 13 | 2 | 0 | 52:10 | 41 |
| ივერია | 15 | 11 | 2 | 2 | 46:15 | 35 |
| ჯუბა | 15 | 10 | 3 | 2 | 34:15 | 33 |
| კოლხეთი | 15 | 9 | 2 | 4 | 31:23 | 29 |
| აკადემია | 15 | 8 | 4 | 3 | 38:18 | 28 |
| თორი | 15 | 8 | 3 | 4 | 36:19 | 27 |
| ცხინვალი | 15 | 9 | 0 | 6 | 38:23 | 27 |
| მერცხალი | 15 | 8 | 1 | 6 | 29:27 | 25 |
| სქური | 15 | 8 | 1 | 6 | 27:34 | 25 |
| ფაზისი | 15 | 6 | 1 | 8 | 27:32 | 19 |
| მეშახტე | 15 | 4 | 2 | 9 | 24:27 | 14 |
| სამეგრელო | 15 | 4 | 2 | 9 | 19:38 | 14 |
| კოდაკო | 15 | 3 | 1 | 11 | 15:38 | 10 |
| იმერეთი | 15 | 2 | 1 | 12 | 20:59 | 7 |
| იბერია | 15 | 3 | 1 | 11 | 19:39 | 5 |
| საპოვნელა | 15 | 1 | 0 | 14 | 14:52 | 3 |

**მესამე ჯგუფი**

დასავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 9 | 7 | 2 | 0 | 18:4 | 23 |
| ეგრისი | 9 | 7 | 1 | 1 | 20:10 | 22 |
| შუქურა | 9 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 16 |
| გაგრა | 9 | 3 | 3 | 3 | 16:12 | 12 |
| სამგურალი 2 | 9 | 3 | 3 | 3 | 16:15 | 12 |
| ოქროს საწმისი | 9 | 4 | 0 | 5 | 16:15 | 12 |
| ოდიში 2 | 9 | 3 | 1 | 5 | 12:14 | 10 |
| ბათუმი 2 | 9 | 2 | 3 | 4 | 11:15 | 9 |
| ტორპედო 2 | 9 | 1 | 2 | 6 | 6:17 | 5 |
| სალხინო | 9 | 1 | 1 | 7 | 10:27 | 4 |

ცენტრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ 2 | 9 | 6 | 2 | 1 | 22:7 | 20 |
| დინამო 2 | 9 | 6 | 1 | 2 | 34:11 | 19 |
| ქინერი | 9 | 5 | 2 | 2 | 18:13 | 17 |
| დილა 2 | 9 | 5 | 1 | 3 | 16:14 | 16 |
| მესხეთი | 9 | 4 | 2 | 3 | 27:17 | 14 |
| ლოკომოტივი 2 | 9 | 4 | 1 | 4 | 17:13 | 13 |
| ბაია ქასქი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:13 | 11 |
| ვარძია | 9 | 2 | 2 | 5 | 12:24 | 8 |
| მრეტები | 9 | 2 | 0 | 7 | 9:30 | 6 |
| 35 სტუ | 9 | 1 | 1 | 7 | 8:32 | 4 |

აღმოსავლეთი

*გადათამაშება: ყვარელი — იბერია 2:0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 8 | 7 | 1 | 0 | 18:1 | 22 |
| ალგეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 11:5 | 17 |
| იბერია | 8 | 5 | 1 | 2 | 16:6 | 16 |
| შირაქი | 8 | 4 | 3 | 1 | 19:7 | 15 |
| ალაზანი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| სამგორი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:15 | 10 |
| ხალიბი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:10 | 9 |
| ჭაბუკიანი | 8 | 1 | 0 | 7 | 2:15 | 3 |
| თელეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 6:35 | 0 |

წყალტუბო
„26 მაისი“
21 ნოემბერი

**სამგურალი 0:2 დინამო**

**სამგურალი:** თევზაძე (ბობოხიძე 21), ლ. ქობულაძე, ფრანგიშვილი, კოლუაშვილი, დ. ჭელიძე, ძაგნიძე, გიორგობიანი, სუხიაშვილი, გელაშვილი (კ. ჯანაშია 70), ხურცილავა (ქუთათელაძე 60), მახვილაძე
**დინამო:** ჭანტურია, კალაძე, ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, ჩიხრაძე, გელაძე, ჩხაიძე, კ. გოგიჩაიშვილი (გოგობერიშვილი 63), მუჯირი (ალექსიძე 75), ხომერიკი
0:1 ხომერიკი (5), 0:2 მუჯირი (18)
სუხიაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (78)
**გაფრთხილება:** კოლუაშვილი, ჭანტურია
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

# ლევან დასავლეთმცოდნე

**იუზა კაპიტაძე წყალტუბოდან**

შარშან შემოდგომას მიღწეული შედეგის გასაუმჯობესებლად „სამგურალს“ პირველი წრის ბოლო მატჩში ქულაც ჰყოფნიდა, მაგრამ მისი მეტოქე გუშინ ჩემპიონი იყო, „დინამოსთან“ კი ვერაფერი გააწყო და უწინდელ დონეზე დარჩა.

სტუმრების შიში ჰქონდათ თუ რა, მასპინძლები თავიდანვე დაცვაში ჩადგნენ და ამისთვის მალევე დაისაჯნენ. დინამოელთა პირველი სწრაფი ორგანიზებული იერიში გოლით დაგვირგვინდა. ცქიტიშვილის მიერ წამოწყებული კომბინაცია გოგიჩაიშვილმა მარჯვნიდან „სამგურალის“ საჯარიმოში ჩაწოდებით გააგრძელა. აქ კი ხომერიკმა იმარჯვა, წყალტუბოელთა ცენტრალურ მცველებს დაასწრო და ნახტომში თაურით გახსნა ანგარიში. ეს ლევანის მეათე გოლი იყ ჩემპიონატში. საინტერესო დეტალი: ხომერიკმა ათივე ბურთი ჩვენს დასავლურ გუნდებს გაუტანა — წყვილ-წყვილად „ტორპედოს“, „კოლხეთს“, „ოდიშს“, სამი „გურიას“ და ერთიც ახლა, „სამგურალს“.

სტუმართა უპირატესობა ამის შემდეგაც საგრძნობი იყო. ისინი უკეთ აკონტროლებდნენ თამაშს და მართალია, ეპიზოდურად, მაგრამ სახიფათოდაც უტევდნენ. ანგარიში მუჯირმა გააორა. რომელმაც ხომერიკისგან კარგი პასი მიიღო, ბურთი ფეხზე მოირგო და დაახლოებით 15 მეტრიდან ოდნავ მახვილი კუთხიდან თევზაძეს მარჯვენა კუთხეში დაბალი დაურტყა. მეკარემ ვერც ამჯერად იხსნა თავისიანები და შესაცვლელი შეიქნა. ახალგაზრდა ბობოხიძემ კი თამაშში შესვლისთანავე გამოიჩინა თავი, როდესაც საჯარიმოში შეჭრილ მუჯირს კარში დარტყმა არ აცალა. შესვენებამდე დინამოელებმა კიდევ ორჯერ გაილაშქრეს კარისკენ კი ამით ტაიმის საინტერესო ფრაგმენტებიც ამოიწურა. დიახ, ასე იყო — ჭანტურიას არც მისცემია სამუშაო.

ჩემპიონს გასაკეთებელი პირველ 45 წუთში მოლეული კი ეგონა, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა. მეორე ტაიმში მასპინძლები შესამჩნევად გააქტიურდნენ და უმალ ბურთიც გაიტანეს. სუხიაშვილმა შორიდან ძლიერად დაარტყა საჯარიმო, ჭანტურიამ მოიგერია, მაგრამ გიორგობიანმა გამოვარდნილს დაამატა და ბურთი ბადეში აღმოჩნდა, თუმცა, როგორც მსაჯებმა მიიჩნიეს, გიორგობიანი მანამდე თამაშგარე მდგომარეობაში იყო და გოლი, რაღა თქმა უნდა, არ ჩაითვალა. 50-ე წუთზე მახვილაძის უძლიერესი დარტყმა ჭანტურიამ მოიგერია. დარჩენილ დროში თამაში თანაბარი იყო, მაგრამ საგოლე მომენტების მხრივ მაინც მასპინძლებმა იძალეს. ჯელაძემ რომ სუხიაშვილი წააქცია და პენალტი დანიშნა, დაზარალებულმა ვერ იხეირა — მეკარემ აუღო. ეს ჭანტურიას გაუვნებელყოფილი ზედიზედ მეორე პენალტი იყო ბოლო ორ მატჩში. ბოლო წუთზე კი ქობულაძეს არ გაუმართლა — მან სუხიაშვილის ჩაწოდებულს კარგად კი შეაგება თაური, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

# კახი ცხადაძე: სადმე დიდი ხნით უნდა დავფუძნდე



საქართველოს ნაკრების კაპიტან კახი ცხადაძეს წლევანდელი სეზონი კვლავ ევროპაში დასაბრუნებლად ესახებოდა. „ალანიაშიც" ამიტომ გადავიდა და შესაძლებლობაც გამოუჩნდა — პრემიერლიგაში ამოეყო თავი, მაგრამ თვითმფრინავის ამბებმა და როიტერის ინფორმაციამ „ჩაქუჩების" მწვრთნელ რედნაპს ჩანაფიქრზე ხელი აალებინა. ახლა მხოლოდ „მანჩესტერ სიტის" წინადადება აქვს და ჯერაც ფიქრობს, უკეთეს გუნდში თამაში არ მაწყენდაო.

— უკვე ორი წელია, „სიტის" ჩემი გადაყვანა სურს, — გვითხრა კახამ, — მაგრამ ჯერ კიდევ ვფიქრობ, წავიდე თუ არა. „ალანიაში" მაინც აღარ დავრჩები. ბოლო შეხვედრა არც მითამაშია.

**— რატომ, ინგლისის მეორე დივიზიონის გუნდი „ალანიას" გირჩევნია?**

— საქმე ისაა, რომ თვითონ „ალანიაში" გაჩერება აღარ მსურს. ბოლო ხანს გაზაევი ხშირად მეთათბირებოდა, უკეთესი შედეგის მისაღწევად როგორ უნდა ეთამაშა გუნდს მომავალ ჩემპიონატში, მაგრამ ეს სულ არ მაინტერესებდა, ზრდილობისთვის ვუსმენდი. მიხვდა, რომ სამი მცველით თამაში იყო „ალანიას" წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი. მათზეც მეკითხებოდა, ახალ გუნდში ვის მიწვევასაც აპირებდა.

**— შენ რატომ გეთათბირებოდა?**

— ჩემი აზრი აინტერესებდა. მარტო ჩემთან კი არა, რამდენიმე მოთამაშესთან თათბირი ტრადიციასავით შემოიღო.

**— შენ სამი მცველით თამაშის წინააღმდეგი იყავი?**

— რა თქმა უნდა, ხომ ვხედავდი, რომ სწორედ ასეთი განლაგების გამო ბევრს ვაგებდით. ხშირად მომხდარა, მთელი თამაში ვუტევდით და მეტოქის ერთი კონტრშეტევით ვმარცხდებოდით.

**— ხშირად მმენია, რომ გაზაევი წაგებას მოთამაშეთა შეცდომებს აბრალებდა არადა, გამოდის, არასწორი ტაქტიკა იყო წარუმატებლობის მიზეზი...**

— სხვათა შორის, ერთ კრებაზე მსგავსი რამ გაზაევს გეცკომ უთხრა ჯნის მოჩლექით (ასე ლაპარაკობს) — სულ ჩვენში რომ ეძებ მტყუანს, ერთი შენშიც ჩაიხედეო. ამაზე გაზაევი კინაღამ გაგიჟდა. არადა, გეცკოს ნათქვამში იყო სიმართლე. არასწორი ტაქტიკით, ხომ ვთქვი, ბევრჯერ დავმარცხდით. ყოველ შემთხვევაში, ბევრ მწვრთნელთან მიმუშავია და ისინი წაგებებს უმეტეს შემთხვევაში თავიანთ თავს აბარლებდნენ, გაზაევს კი მსგავსი არასდროს წამოსცდენია. მეტად თავდაჯერებული კაცია, თავზე დიდი წარმოდგენა აქვს, მაგრამ ეს მისი პრობლემაა და არა ჩემი. მე ყველაფერს გაზაევს კი არ ვაბრალებ, მაგრამ... ბოლოს მაინც მიხვდა შეცდომას.

**— ერთი ხანობა გაზაევმა შენ და შელია ტრანსფერზე დაგაყენათ. არასწორი ტაქტიკის გამო დაცვაში შექმნილი პრობლემები თქვენ გბრალდებოდათ?**

— მე და შელიამ მთლიანი შეხვედრა ერთად მხოლოდ ორჯერ ჩავატარეთ. ხშირად ვშავდებოდით და ზაქრო თელიამ ისიც მითხრა, შვილო, რატომ თამაშობ, თავს იღუპავო? ყველაზე მეტი, 60 წუთს ვუძლებდი, ველარ დავრბოდი. ისედაც სამი მცველით ვთამაშობდით და ჩემს ტკივილებს თუ გავითვალისწინებთ, ორნახევარი მცველი გამოდიოდა. ამიტომაც ვეუბნებოდი, ვინმე ჯანმრთელით შევეცვალე. ის კი ეჭვობდა, რომ უბრალოდ თამაში არ მსურდა, წარმოგიდგენია? მე გერმანიაში ვაპირებდი მკურნალობას, რადგან გუნდის ექიმი მეტად სუსტი სპეციალისტი იყო. ექიმმა ეს გაზაევს უთხრა, მან კი კრებაზე მითხრა, მე ვწყვეტ, ვინ სად იმკურნალებსო. ვამჩნევდი, იბოღმებოდა. ნემსებით ვთამაშობდი და ასე როდემდე უნდა გაგრძელებულიყო? მეც ადამიანი ვარ, ტკივილებს როდემდე გავუძლებდი? ამის შემდეგ მოინდომა ჩემი გაყიდვა. ისევ ბიჭებმა გაუბედეს, ყველას რომ უშვებ, ვილას იმედად რჩებიო.

**— გამოდის, რომ გაზაევისთვის ფეხბურთელი ლიმონივით არის, გამოწურავს და გადააგდებს...**

— „აინტრახტში" სულ სხვაგვარად იყო. ბოლო პერიოდში გერმანიაში ხომ ტრავმის გამო ვერ ვთამაშობდი, მაგრამ ამის მიუხედავად, სითბოს მეტი მათგან არაფერი მახსოვს. იმიტომ, რომ გუნდის წევრთან სხვაგვარი დამოკიდებულება ვერც წარმოუდგენიათ. გაზაევსგან ეს ერთხელაც არ მიგრძვნია. თავად იქაური ფეხბურთელებიც გიღებოდნენ, ხუთი ქართველი რომ ვთამაშობდით. აუტანელი ვითარება იყო.

**— ცოტა უცნაური კია, ყაველაშვილის დროს სხვა ვითარება ყოფილა...**

— მართალია, მაგრამ მაშინ „ალანია" ჩემპიონი გახდა, წელს კი შედეგი არ იყო. ამიტომ განტევების ვაცებად „ალანიაში" ჩვენ, ქართველები, მიგვიჩნიეს. მე და შელია ვერ ვთამაშობდით და სალაპარაკოც მიეცათ. მაგრამ, რასაც მიაღწიეს, ისევ ქართველებს გვითხრან მადლობა. აი, ასე გრძელდებოდა მთელი წელი და ამიტომაც აღარ მსურს იქ დარჩენა.

**— გაზაევი ფეხბურთელებს დიდად ტვირთავსო, დავიჯეროთ, მსგავსი „აინტრახტში" არ გქონია?**

— ნაღდად არ მქონია, თანაც მეტად გრძელი მოსამზადებელი პერიოდი აქვს. ჯერ ის რად ღირს, რომ ამ დროს 21 შეხვედრა ჩავატარეთ და ყოველდღე ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა. ასეთი სისტემა კი მომეწონა, მაგრამ მომზადება დიდხანს გაგრძელდა და მერე ვგრძნობდი, ფეხბურთელებს მოედნის დანახვა ეზარებოდათ. გერმანიაში კი მოსამზადებელი პერიოდი მაქსიმუმ ექვსი კვირა იყო. მარტო გერმანიაში კი არა, ქეცბაიას ჰკითხეთ, ვერც გავიგე, მოსამზადებელი პერიოდი როდის დამთავრდა, სულ სიცილ-სიცილით გავატარეთო. ხანგრძლივი მომზადება იტალიელებმა იციან, გაზაევი კი იტალიელთა ფანატია და ყველაფერში მათ ბაძავს.

**— „ალანიას" ბუნდესლიგაში რომ ეთამაშა, რომელ ადგილზე გავიდოდა?**

— მისვლისას „ალანიაზე" უფრო დიდი წარმოდგენა მქონდა, მაშინ იმასაც ვფიქრობდი, გერმანიაში ხუთეულში დამკვიდრება შეუძლია-მეთქი, მაგრამ აზრი მალე შემეცვალა. გუნდი მეტად მარტივად თამაშობდა, თანაც ერთი და იგივე ტაქტიკით. ასეთ გუნდს კი ბუნდესლიგაში ძალიან გაუჭირდება. თვითონ რუსეთშიც ეს ყველამ კარგად იცოდა და იმიტომაც წაგვივიდა საქმე ცუდად.

**— „ალანიაში" გადასულმა თქვი, კიდევ კარგი, „სიტიში" არ გადავედი, ხომ ხედავთ, რა დღეში ჩავარდაო. არც ახლაა უკეთეს დღეში, შენი გადასვლა კი რეალური ჩანს...**

— არც ასეა საქმე. მე თუ პრემიერლიგაში წასვლის შანსი გამიჩნდება, „სიტიზე" თავისთავად უარს ვიტყვი. ესეც რომ არ იყოს, თავად „სიტიში" გადასვლაზეც ჯერ მხოლოდ ვფიქრობ.

**— „ვესტ ჰემის" ვარიანტი საბოლოოდ ჩაიშალა?**

— ალბათ, ასეა. არადა, ყველაფერი თითქმის გადაწყვეტილი იყო. მერე ყველამ იცის, რამაც შემიშალა ხელი, მაგრამ ინგლისელები მაინც არ ამბობდნენ უარს და 10 ოქტომბერს, ანუ იტალიასთან ჩვენ თამაშს ელოდნენ. იმ დღეს თამაში ახალი დაწყებული იყო, ფეხი რომ მეტკინა. ბედი არ გინდა... ორ დღეში სხვა მცველი იყიდეს. მაგრამ ვიცი, რომ იმას ყველა თამაშში ცვლიან. არ გაამართლა. ამასთან ერთად ინგლისში ჩასულს „კრისტალ პალასის" მწვრთნელმა სტივ კოპელმა დამირეკა. ის მანამდე „სიტის" წვრთნიდა. ეს რედნაპს არ დავუმალე, მაგრამ ის იმდენად იყო ჩემი აყვანით დაინტერესებული, კოპელთან დალაპარაკება საჭიროდ არ ჩავთვალე. ახლა გაურკვევლად ვარ, „სიტიში" გადასვლა იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც სხვა იმ გუნდებში, რომლებთანაც ჩემი მენეჯერი მოლაპარაკებას აწარმოებს.

**— რომელ გუნდებს გულისხმობ?**

— დამიჯერებ, რომ არ ვიცი? ბენეშს (მენეჯერია), წინასწარ ლაპარაკი არ უყვარს. ის კი ვიცი, რომ ჰოლანდიის ერთ-ერთ გუნდთან ჰქონდა მოლაპარაკება, ახლა ისევ ინგლისში ჩაფრინდა. მე კი საქმის გარკვევის მოლოდინში ვვარჯიშობ, რაწამსაც გუნდი გამოჩნდება, უნდა გავემგზავრო. ყოველ შემთხვევაში, სადაც წავალ, გრძელვადიან კონტრაქტს გავაფორმებ, ოჯახის წევრებიც დაიღალნენ, სადმე კარგა ხნით უნდა დავფუძნდე.

**მერაბ მამულაშვილი**

# მიხეილ ყაველაშვილი კალიების კომპანიაში

ქართული ფეხბურთის ქომაგებს ამ სეზონის წინ ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ. ლეგიონერთა პირველი ნაკადი, იგივე საქართველოს ნაკრების ბირთვი, მეტნაკლებად სასურველ კლუბებში დაბინავდა — შოთა და არჩილი „აიაქსსა" და „ბრედაში", ქეცბაია „ნიუკასლში", ნემსო და ყაველა „გრასჰოპერში". ხინჯად გიოლა დაგვრჩენია, პირველი დივიზიონის მაჩანჩალა „სიტიში" რომ ჰკარგავს საუკეთესო წლებს. აი, მიხეილ ყაველაშვილმა კი დროულად დააღწია ფრენსის ლის ჯურღმულს თავი და... მართალია, ყაველას „სიტი" სათამაშო პრაქტიკის უქონლობამ მიატოვებინა, მაგრამ უკეთესი პერსპექტივა არც თურქილმაზ-მოლდოვანის „გრასჰოპერში" უჩანდა. თურმე, რატომაც არა. მიშას აქ უფრო ენდნენ და მანაც თავი არ დაზოგა. ჰოდა, შეცვლებზე ხომ აქტიურად ერთვებოდა თამაშში და ბოლო დროს მთავარ „კალიათა" კომპანიასაც გაუშინაურდა.



მიხეილ ყაველაშვილი მალდინისა და დი მატეოს გარემოცვაში

— ოთხშაბათს ბოლო ადგილზე მყოფ „კარუჯს" ვუმასპინძლეთ და 6:0 მოუგეთ, მანამდე კი ამავე ანგარიშით სტუმრად სათასო მატჩში დავამარცხეთ ქვედალიგელი მეტოქე. „კარუჟთან" ძირითადში ვითამაშე და მეორე გოლი გავიტანე. კარგად ითამაშა გიამაც.

**— ბოლო შეხვედრებში მუდმივად ძირითადში ხარ, თუ უფრო შეცვლაზე გამოდიხარ?**

— თავიდანვე ვთამაშობ.

**— თავდამსხმელად გამწესებენ?**

— ბოლო მატჩში თავდამსხმელი ვიყავი. წინა თამაშებში კი მოლდოვანის და თურქილმაზის უკან, უფრო ნახევარდაცვაში ვთამაშობდი. ახლა მოლდოვანი ნაკრებში იყო გამოძახებული ესპანეთთან სათამაშოდ და ჩემი წინ წაწევა ამან განაპირობა.

**— თქვენი მწვრთნელი გროსი პრემიერლიგის „ტოტენჰემში" გადავიდა...**

— გროსმა ხუთშაბათს პრესკონფერენცია გამართა ინგლისში და დღესვე ჩამოვიდა. ინგლისში უკვე ხელი მოაწერა კონტრაქტს და ჩვენ ბოლო ვარჯიშებსღა გვიტარებს. კვირას მისი ხელმძღვანელობით ბოლოჯერ ვითამაშებთ და ორშაბათს ინგლისს გაემგზავრება, სადაც იმავე დღეს „ტოტენჰემის" თამაშს დაესწრება და სამშაბათიდან მუშაობას შეუდგება.

**— შვეიცარიის ჩემპიონობის პრეტენდენტიდან პრემიერლიგის აუტსაიდერ გუნდში გადასვლა რამ გადააწყვეტინა?**

— მთლად ეგრეც არაა. გროსმა „გრასჰოპერში" ხუთი წელი იმუშავა და რაკი კონტრაქტი უმთავრდებოდა, წასვლასაც აპირებდა. მართალია, ციურიხში პრობლემა არ ჰქონია, მაგრამ, ვფიქრობ, უკეთესი პირობებიც შესთავაზეს და თანაც, ვთვლი, უფრო მაღალი რანგის ჩემპიონატში მოთამაშე, უფრო მაღალი რანგის გუნდში წავიდა. როგორც შევატყვე, ინგლისში ისევე კარგად არ იცნობენ, როგორც შვეიცარიაში ან გერმანიაში, მაგრამ მისთვის, როგორც მწვრთნელისთვის, მაინც წასვლა სჯობდა. თუმცა, როგორ შეეგუება ინგლისურ ფეხბურთს, არავინ იცის.

**— გროსის შემცვლელზე უკვე ლაპარაკობენ?**

— დროებით, დეკემბრამდე მეორე მწვრთნელი — ჰანს-პეტერ ლატერი ჩაუდგება გუნდს სათავეში. პირველი წრის ბოლომდე სამი თამაშიღა დარჩა — იგი 7 დეკემბერს მთავრდება. იანვრიდან კი, შესაძლოა, შვეიცარიის ნაკრების თავკაცი დაგვინიშნონ მწვრთნელად. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მხოლოდ მასზეა ლაპარაკი.

**— მწვრთნელის გამოცვლა შენზე როგორ იმოქმედებს?**

— რა ვიცი, „მანჩესტერ სიტიში" ექვსი მწვრთნელი გამოვიცვალე და... ყველას თავისი აზრი აქვს. მე თავის იმედი ყოველთვის მაქვს და ვნახოთ, რა იქნება.

**— გროსი პრემიერლიგაში გრასჰოპერელთა გადაყვანას ხომ არ აპირებს?**

— ჯერ არაფერი უთქვამს ამის შესახებ. საერთოდაც, სწრაფად და მოულოდნელად, ოთხ დღეში გადაწყდა მისი გადასვლა.

**— გიორგი რას შვრება?**

— მშვენივრადაა. გიას თავის ადგილას, საყრდენად ათამაშებენ და პრობლემა არა აქვს. ბოლო თამაშებში ორივემ ძალიან კარგად ვითამაშეთ და შევაქეს, ჩვენზე დიდ იმედს ამყარებენ.

**— გროსის გაცილება ვისთან შედგება?**

— სტუმრად „ლოზანასთან". ეს გუნდი ჩვენი მდევარია და მხოლოდ ორი ქულით ჩამოგვრჩება. კვირას მეტად პრინციპული მატჩი გველის.

**— წარმატებას გისურვებთ...**

**ვახტანგ გზირაძე**

## შვეიცარია

მე-19 ტური. სენტ გალენი — ბაზელი 3:4; ქსამაქსი — ლოზანა 0:2; გრასჰოპერი — კარუჟი 6:0; ლუცერნი — არაუ 0:0; სერვეტი — კრონსი 2:2; სიონი — ციურიხი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 19 | 13 | 3 | 3 | 55:20 | 42 |
| ლოზანა | 19 | 12 | 4 | 3 | 41:21 | 40 |
| სერვეტი | 19 | 10 | 5 | 4 | 38:28 | 35 |
| არაუ | 19 | 8 | 4 | 7 | 30:27 | 28 |
| სიონი | 19 | 7 | 6 | 6 | 29:26 | 27 |
| სენტ გალენი | 19 | 6 | 8 | 5 | 33:29 | 26 |
| ლუცერნი | 19 | 6 | 7 | 6 | 24:26 | 25 |
| ციურიხი | 19 | 5 | 9 | 5 | 23:25 | 24 |
| კრონსი | 19 | 5 | 6 | 8 | 21:32 | 21 |
| ქსამაქსი | 19 | 5 | 5 | 9 | 29:34 | 20 |
| ბაზელი | 19 | 3 | 4 | 12 | 25:42 | 13 |
| კარუჟი | 19 | 1 | 5 | 13 | 18:56 | 8 |

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56



გოგი ახვლედიანის

## აშკარა ჭეშმარიტებები

### იყო ვინმე ჩარლზ დიკენსი?

ამ სვეტში მისი დამწერის აზრები საერთოდაც არ იქნება: მცირე რამ შესავალი სიტყვები, ერთი-ორი გამონათქვამი ბოლოსათვის და მორჩა, იმიტომ, რომ ამ სვეტში მოხმობილი გამონათქვამები მეტად ცნობილ საფეხბურთო კაცს ეკუთვნის.

მეორე კვირა გახდა, რაც ვენეციაში აღესრულა ელინიო ერერა: არგენტინაში დაბადებული ესპანელი, რომელმაც ფეხბურთი საფრანგეთში ითამაშა და დიდი მწვრთნელის სახელი კი იტალიაში დაიგდო.

მან კატენაჩო მოიგონა, რაც ჩვენებურად ბეტონს ნიშნავს, ხოლო რას ნიშნავს ბეტონი ყველამ ვიცით.

ერერას ეძახდნენ „დიქტატორს, კაციჭამიას, გიჟს, დემონს, არაადამიანს", ამბობდნენ, რომ ფეხბურთელებს ჩაგრავს, ამოჩემებული ჰყავს ისინი (მაგალითად კორსოც კმაროდა), იტალიაში მწვრთნელობისას ვერ ისწავლა იქაური ენა და რაღაც უცნაურ სიტყვათშეთანხმებებს ესროდა მოთამაშეებს.

ის დიდი მწვრთნელი და დიდი პიროვნება იყო. სრულიად განსაკუთრებული. ამაზე ლაპარაკი ზედმეტიც კია და ამიტომ, სჯობს ისევ ერერას სიტყვები ჩამოვაწიკწიკოთ.

ელინიო ერერას თერთმეტი შეგონება — სამწვრთნელო ხელობის შემსწავლელ ხალხს:

1. ინტელიგენტური უნდა იყო.
2. გაგიჟებით უნდა გიყვარდეს ფეხბურთი.
3. ფსიქოლოგად უნდა ვარგოდე — უნდა არჩევდე ფეხბურთელებს ხასიათისდა მიხედვით, ფიქრობდე მათ ტემპერამენტსა და რეაქციებზე.
4. ფეხბურთი „ანი"-დან „ჰოე"-მდე უნდა იცოდე.
5. დაუღალავად და ინტენსიურად შრომა უნდა შეგეძლოს.
6. უნდა შეგეძლოს ფეხბურთელის შერჩევა და მისი გახსნა.
7. ფეხბურთელი ფორმაში თუ არა გყავს, შენი ბრალი გამოდის.
8. შეისწავლე მოწინააღმდეგე, დაითვალე მისი სუსტი ადგილები, რომლებიც შენს სასარგებლოდ უნდა მომართო. ასევე, შეისწავლე ძლიერი მხარეებიც, რათა შეებრძოლო მათ.
9. უნდა შეძლო და ფეხბურთელები მობილიზებულნი გაუშვა მოედანზე. მათ უნდა სჯეროდეთ თავიანთი ძალისა და შესაძლებლობების. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს ფეხბურთში, კონკრეტულ თამაშში კი გადამწყვეტიც კია ხოლმე.
10. ჟურნალისტებთან ლაპარაკი უნდა იცოდე, სხვანაირად არავინ შემოგხედავს კარგი თვალით.
11. ერიდეთ ხანგრძლივ ვარჯიშებს. საათნახევარი ეგებ უკმარისადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ იმ საათნახევარში თუ არავინ გაჩერდება და ვარჯიში ინტენსიური და მოძრავი იქნება, უკვე ძალიან კარგია. მთავარი მაინც ბურთია, ფეხბურთელს ლოგინშიც კი ბურთით უნდა ეძინოს.

აი, ეს არის და ეგებ ბევრ ქომაგსა და სპეციალისტს ძველმოდურადაც კი მოეჩვენოს კატენაჩოს მამამთავრის შეგონებანი. იმის შემდეგ ათასმა წყალმა ჩაიარაო, ეს ყველაფერი აშკარა ჭეშმარიტებანია და აბა რა ელინიო ერერა უნდაო და ა.შ.

მაგრამ ერერა სწორედ იმიტომ უნდა, რომ აშკარა ჭეშმარიტებანია. ეს გამონათქვამები ჩვენს საფეხბურთო აზროვნებასა და ცხოვრებაში ისეთ კლასიკურ წიგნებსა ჰგავს, რომელთა კლასიკურობაც ყველამ იცის, მაგრამ აღარავინ კითხულობს. უბრალოდ, გაუგიათ, იყო ვინმე ჩარლზ დიკენსი, რომელიც ერთ დროს მაგარი ვინმე იყო და მორჩა.

ძველ მწვრთნელებსაც ასე თუ უყურებენ. არადა, ერერამ შექმნა მოედნის ახალი სივრცეები, იპოვნა იქ თავისუფალი ადგილები, შეადგინა ფეხბურთელთა პირველი ინდივიდუალური ვარჯიშები, მოიგონა დაცვიდან ბურთის გადატანის ახლებური ხერხები. მის ხელში სრულიად ახლებური მნიშვნელობა შეიძინეს თავდამსხმელებმა, სისწრაფემ, ბურთის ფრენის სიჩქარემ და სიზუსტემაც კი...

მართალია, ეს აშკარა ჭეშმარიტებებია, მაგრამ როცა მათ დიდი ვინმე წარმოთქვამს, საათობით შეიძლება თითოეულ შეგონებაზე ფიქრი. საათობით კი არა, წლობით. თუ, რა თქმა უნდა, ფეხბურთი გიყვარს და მწვრთნელობა გადაგიწყვეტია.

ისე კი, ფეხბურთი ფილოსოფია არ არის, ბურთების მინდორზე შეყრაც ყველას შეუძლია.

აშკარა ჭეშმარიტებების განვრცობა კი დიდი საქმეა. ელინიო ერერამ საუცხოოდ შეძლო ეს საქმე.

## საფრანგეთი

XVII ტური

**სტრასბური 2:0 მარსელი**
1:0 ზიტელი (67), 2:0 ბატიკლი (90პ)

**მონაკო 3:0 პსჟ**
1:0 იკპება (14), 2:0, 3:0 ტრეზეგი (24, 42)

**ოსერი 3:1 მონპელიე**
1:0 ლემუე (19), 1:1 ჟარნი (55), 2:1, 3:1 გივარში (87, 89)

# გოლი დაბადების დღეზე

არავინ იცის, როგორ დასრულდებოდა მატჩი სტრასბურის „მინოს" სტადიონზე, მასპინძლებს დაულალავი ნახევარმცველი სტეფან კოლე რომ არ ეთამაშებინათ. არა, მას გოლი არ გაუტანია. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არც ასისტენტობა გაუწევია ვინმესთვის, უბრალოდ, „მარსელის" კარში გასული ორივე გოლი კოლესთან უხეშობას მოჰყვა. საკმაოდ მოულოდნელი ანგარიშით დასრულებულ შეხვედრაში ფავორიტად, ცხადია, სტუმრები ითვლებოდნენ, მაგრამ „სტრასბურმა", რომელიც უფრო ევროთასებზე ვაჟკაცობს, ვიდრე ჩემპიონატში, (უეფას თასის გათამაშებიდან ზედიზედ გამოაგდო „გლაზგო რეინჯერსი" და „ლივერპული") იძალა და 17 შეხვედრაში მხოლოდ მეოთხე მატჩი მოიგო, „მარსელს" კი რავანელის შესყიდვიდან მოყოლებული პირველი მარცხი აგემა. მატჩის დასაწყისი მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა. მართალია, იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაში არცთუ მცირე წილის დამდები ფაბრიციო რავანელი ძირითადში არ თამაშობდა, მაგრამ ალექსანდრ ვენსელის კარი მაინც ოთხჯერ გადაურჩა სტუმართა ნახევარმცველების — კლოდ მაკელელესა და ოლივიე ეუაფნის დარტყმებს. მეორე ტაიმში ჭაღარა იტალიელიც გამოჩნდა, მაგრამ მას შემდეგ გუნდი როგორღაც დაითარსა. მატჩის დაწყებიდან საათზე ოდნავ მეტი იყო გასული, როცა მცველთა დასახმარებლად ჩასულმა თავდამსხმელმა გრაველენმა მასპინძელთა მოუსვენარი ნახევარმცველი კოლე საჯარიმოს მისადგომებთან დასცა. დევიდ ზიტელიმ ჯარიმა გოლად გარდასახა. ორიოდ წუთში გერმანელმა მეკარე კიოპკემ მასპინძელი ფილიპ რაშკეს ერთობ სახიფათო დარტყმა უკუაგდო. მეორე ტაიმის შუაში რავანელის გაყაიმების კარგი შანსი მიეცა, მაგრამ მომენტი და ბურთი ქარს გაატანა. სულ ბოლოს კი, როცა შეხვედრა უნდა დასრულებულიყო, „სტრასბურმა" მეორედაც იხარა — მარსელელმა ამადა ჟამბაიმ საჯარიმოში შეჭრილ კოლეს ჰკიდა თვალი, უმალ ემგერა და წააქცია. ცხადია, პენალტიც დაინიშნა, ანგარიშის შეცვლა დაწინაურებულთა კაპიტანმა ჟერალ ბატიკლმა მოახერხა. ამ შეხვედრაზე საუბარიც სწორედ კაპიტანმა დაიწყო: „მოგებას ნაღდად ვიმსახურებდით, თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ პირველ ნახევარში გაგვიჭირდა. რატომღაც ძლიერ გუნდებთან უფრო კარგად ვთამაშობთ, ვიდრე სუსტებთან. ასე თუ გაგრძელდა, კარგს ვერაფერს ვეწევით". თანაგუნდელს ორჯერ „საგოლედ დაზარალებული" სტეფან კოლეც დაეთანხმა, სტაბილურობა გვაკლიაო. ზიტელის ჯარიმაზე კი — ასეთი გოლები იშვიათად მინახავსო. ფეხბურთელებს ქება არც „სტრასბურის" მწვრთნელმა, ჟაკ დუჟეპერუმ დააკლო, შემართება ძლიერ მომეწონაო. ცხრილის ქვედა ნაწილში ყოფნა კი არასტაბილურობით ახსნა.




სტრასბური — მარსელი. ბლანი ნუმამ და მიშელმა არ გაატარეს

სანამ „მარსელი" ბოლო რვა შეხვედრაში პირველად მარცხდებოდა, საფრანგეთის საზღვრებს გარეთ, მონაკოში, ქვეყნის ბოლო წლების უდავოდ უძლიერესი, დედაქალაქის პსჟ ნადგურდებოდა. ტურის ცენტრალურ შეხვედრაში მასპინძლებმა ისე იოლად იმარჯვეს, თავადაც რომ ვერ წარმოიდგენდნენ. საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერმა დევიდ ტრეზეგმა მატჩის შემდგომ თქვა, უცნაური მატჩი იყო, თითქოს ბევრი მომენტი არ გვქონდა, მაგრამ მაინც დიდი ანგარიშით მოვიგეთო. ტრეზეგი მართალი იყო. „მონაკოს" ბევრი სახიფათო მომენტი არ შეუქმნია, უბრალოდ, პსჟ-ს კარის დარაჯმა კრისტოფ რევიმ ერთობ იოლად მოსაგერიებელი ბურთები გაუშვა. პირველად იგი ნიგერიელი ვიქტორ იკპებას თაურს ვერ აღუდგა — ტრეზეგის გადაცემამ მეკარე კარიდან გამოიტყუა და იკპებასაც გოლის გატანა გაუიოლა. ათ წუთში თავად ტრეზეგმა იხარა, ამჯერად იკპებამ „ვალი დაუბრუნა". სხვათა შორის, თამაშამდე ტრეზეგი დას დაპირებია, დაბადების დღეზე გოლს მიგიძღვნიო და შეასრულა. ის კი არა, გადააჭარბა კიდეც. შესვენებამდე მონაკოელთა გამთამაშებელმა ალ ბენარბიმ ყველაფერი იღონა, ტრეზეგს მეორედაც რომ შეეგდო და თავდამსხმელმაც არ უმტყუნა. 3:0 პირველ ტაიმში! ამას ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა. მეორე ტაიმი ფორმალობალა იყო. პსჟ განადგურდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რიკარდოს გუნდი მარკო სიმონეს, რაის და ვინსენ გერენის გარეშე თამაშობდა. ისე, გასულ სეზონში „მონაკომ" 2:0 დაამარცა პსჟ, გალიდერდა და ჩემპიონობაც მოიგო. წლეულს რა იქნება, არავინ იცის. დასასრულამდე კი ჯერ დიდი დრო და კიდევ ერთი წრეა.

ხუთშაბათს გამართულ მესამე შეხვედრაში „ოსერმა" „მონპელიეს" უმასპინძლა და ძლივს გამოგლიჯა გამარჯვება.

გუშინვე, სანამ ტურის სამი მატჩი ტარდებოდა, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში „ტულუზის" მცველ დომინიკ არიბაჟის ხელახალი დოპინგ-ტესტი მიმდინარეობდა, რომელმაც პირველი შემოწმების ანალოგიური შედეგი აჩვენა. დამტკიცდა, რომ არიბაჟმა აკრძალული პრეპარატი „ნანდროლონი" მიიღო, რის გამოც ახლა შესაძლოა 18 თვით ჩამოშორდეს ფეხბურთს.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 17 | 10 | 3 | 4 | 25:13 | 33 |
| მონაკო | 17 | 10 | 2 | 5 | 29:17 | 32 |
| პსჟ | 17 | 9 | 4 | 4 | 29:16 | 31 |
| მეცი | 16 | 9 | 4 | 3 | 24:14 | 31 |
| ბორდო | 16 | 8 | 6 | 2 | 22:16 | 30 |
| ლანსი | 16 | 8 | 4 | 4 | 24:19 | 28 |
| ოსერი | 17 | 8 | 2 | 7 | 28:24 | 26 |
| ბასტია | 16 | 6 | 5 | 5 | 20:15 | 23 |
| ლიონი | 16 | 7 | 2 | 7 | 19:19 | 23 |
| მონპელიე | 17 | 5 | 6 | 6 | 17:19 | 21 |
| ტულუზი | 16 | 5 | 5 | 6 | 15:21 | 20 |
| გინგამი | 16 | 5 | 3 | 8 | 17:22 | 18 |
| სტრასბური | 17 | 4 | 6 | 7 | 17:23 | 18 |
| ნანტი | 16 | 4 | 5 | 7 | 16:18 | 17 |
| შატორუ | 16 | 4 | 3 | 9 | 16:27 | 15 |
| ლე ავრი | 16 | 2 | 8 | 6 | 16:21 | 14 |
| რენი | 16 | 3 | 4 | 9 | 16:29 | 13 |
| კანი | 16 | 3 | 2 | 11 | 17:34 | 11 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიქტორ იკპება (მონაკო) | 10 |
| სტეფან გივარში (ოსერი) | 10 |
| დევიდ ტრეზეგი (მონაკო) | 9 |
| ლილიან ლასლანდი (ბორდო) | 9 |
| ლორენ ბიონი (მარსელი) | 8 |
| მარკო სიმონე (მარსელი) | 8 |
| ფლორიან მორისი (მარსელი) | 8 |
| რაი (მარსელი) | 8 |
| ანტონ დრობნიაკი (ლანსი) | 7 |

### ამხანაგური მატჩი

**ესპანეთი 1:1 რუმინეთი**
1:0 ეჩებარია (49), 1:1 პოპესკუ (80)

## გერმანია

XV ტური

**გლადბახი 1:3 კაიზერი**
0:1 ბუკი (29), 0:2 კუკა (49), 1:2 ანდერსონი (65), 1:3 რიშე (76)

**არმინია 1:3 ჰერტა**
1:0 კუნცი (37პ), 1:1 პრიტსი (60), 1:2 შმიდტი (64), 1:3 რეკდალი (90)

**მიუნხენ 1:0 კიოლნი**
1:0 აგუსტინიო (23)

**შტუტგარტი 2:1 ჰანზა**
1:0 ჯორჯევიჩი (11), 1:1 პამიჩი (62), 2:1 ბალაკოვი (70)

**ლევერკუზენი — ბაიერნი**
*30 ნოემბერს გაიმართება*

ჩემპიონატის ლიდერი, გასულ სეზონში მეორე ბუნდესლიგის გამარჯვებული „კაიზერსლაუტერნი" მიონხენგლადბახს ესტუმრა და შინ მოგებული დაბრუნდა. კაპიტნის — შტეფან ეფენბერგის და წამყვანი ნახევარმცველების იოან ლეპესკუს და კრისტიან ოშსტეტერის გარეშე დარჩენილმა მასპინძლებმა „კაიზერსლაუტერნს" ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და პირწმინდად წააგეს. მასპინძლებს რომ მოეგოთ, ჩემპიონობისათვის ბრძოლა უფრო გამძაფრდებოდა, მაგრამ ოტო რეჰაგელის ბიჭებმა კვლავ ერთპიროვნულ ლიდერებად დარჩენა ამჯობინეს. თავად მწვრთნელმა კი განაცხადა, გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა, სწორედ ისე, ძლიერ კლუბებს რომ სჩვევიათო. „მეორე ტაიმში მართალია ფრედ ვითამაშეთ, მაგრამ პირველი მოგებული გვქონდა და ძალების უაზრო ხარჯვა საჭიროდ არ ჩავთვალე. უფრო დიდი ანგარიშითაც მოვიგებდით, მაგრამ ჯობს, ბურთებს არ გამოვეკიდოთ. წინ მთელი სეზონია, ბრძოლა კი მხოლოდ ახლა იწყება".

რაც შეეხება დანარჩენ სამ შეხვედრას, მათგან აღსანიშნავი ბერლინის „ჰერტას" ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაა, რომლის წყალობითაც გუნდმა ცხრილის შუაში აინაცვლა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 15 | 11 | 3 | 1 | 34:18 | 36 |
| ბაიერნი | 15 | 9 | 5 | 1 | 32:15 | 32 |
| შტუტგარტი | 15 | 7 | 4 | 4 | 30:19 | 25 |
| ლევერკუზენი | 15 | 7 | 4 | 4 | 28:18 | 25 |
| შალკე | 15 | 7 | 4 | 4 | 17:14 | 25 |
| დუისბურგი | 15 | 7 | 2 | 6 | 20:18 | 23 |
| ჰანზა | 15 | 6 | 3 | 6 | 25:21 | 21 |
| მიუნხენ 1860 | 15 | 5 | 5 | 5 | 21:26 | 20 |
| ჰამბურგი | 15 | 5 | 4 | 6 | 21:23 | 19 |
| დორტმუნდი | 16 | 4 | 6 | 6 | 23:23 | 18 |
| გლადბახი | 15 | 4 | 6 | 5 | 27:28 | 18 |
| ჰერტა | 15 | 5 | 3 | 7 | 18:24 | 18 |
| ვერდერი | 15 | 5 | 3 | 7 | 16:23 | 18 |
| ვოლფსბურგი | 15 | 5 | 2 | 8 | 18:24 | 17 |
| კარლსრუე | 15 | 4 | 5 | 6 | 24:31 | 17 |
| კიოლნი | 16 | 5 | 1 | 10 | 21:33 | 16 |
| არმინია | 15 | 5 | 0 | 10 | 17:24 | 15 |
| ბოხუმი | 15 | 3 | 4 | 8 | 19:29 | 13 |

## ბელგია

მე-12 ტური. ბრიუგე — ლოკერენი 5:0; ვესტერლო — შარლერუა 1:1; ჰარელბეკე — მუსკრონი 5:1; ბევერენი — სტანდარდი 2:3; ანტვერპენი — გენკი 2:1; მოლენბეკი — ლიერსი 0:3; აალსტი — გენტი 2:0; სტ. ტრიუდენი — ეკერენი 2:0; ლომელი — ანდერლეხტი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 10 | 9 | 1 | 0 | 31:6 | 28 |
| ჰარელბეკე | 12 | 6 | 5 | 1 | 22:10 | 23 |
| ლომელი | 12 | 7 | 2 | 3 | 25:17 | 23 |
| ეკერენი | 12 | 7 | 1 | 4 | 21:16 | 22 |
| გენკი | 12 | 6 | 2 | 4 | 28:19 | 20 |
| ლიერსი | 11 | 5 | 3 | 3 | 22:14 | 18 |
| ვესტერლო | 11 | 4 | 4 | 3 | 22:24 | 16 |
| სტ. ტრიუდენი | 11 | 4 | 3 | 4 | 11:15 | 15 |
| ლოკერენი | 12 | 5 | 0 | 7 | 19:31 | 15 |
| გენტი | 12 | 3 | 5 | 4 | 21:20 | 14 |
| ანდერლეხტი | 11 | 4 | 2 | 5 | 16:16 | 14 |
| შარლერუა | 11 | 3 | 4 | 4 | 14:23 | 13 |
| აალსტი | 12 | 3 | 3 | 6 | 19:22 | 12 |
| სტანდარდი | 11 | 3 | 3 | 5 | 12:15 | 12 |
| მოლენბეკი | 11 | 3 | 2 | 6 | 14:24 | 11 |
| მუსკრონი | 11 | 2 | 3 | 6 | 9:16 | 9 |
| ბევერენი | 11 | 1 | 4 | 6 | 11:20 | 7 |
| ანტვერპენი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:19 | 7 |

## ავსტრია

მე-19 ტური. ზალცბურგი — ლინცერი 2:1; აუსტრია — ტიროლი 1:2; რიდი — გრაცერი 0:1; შტურმი — ლუსტენაუ 5:1; ადმირა — რაპიდი 3.XII

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 19 | 14 | 4 | 1 | 45:11 | 46 |
| გრაცერი | 19 | 11 | 4 | 4 | 34:15 | 37 |
| ლინცერი | 19 | 8 | 4 | 7 | 32:29 | 28 |
| აუსტრია | 19 | 8 | 4 | 7 | 26:26 | 28 |
| რაპიდი | 18 | 8 | 4 | 6 | 21:21 | 28 |
| ზალცბურგი | 19 | 8 | 3 | 8 | 29:22 | 27 |
| ტიროლი | 19 | 6 | 4 | 9 | 24:28 | 22 |
| რიდი | 19 | 5 | 6 | 8 | 17:26 | 21 |
| ლუსტენაუ | 19 | 3 | 7 | 9 | 20:33 | 16 |
| ადმირა | 18 | 2 | 2 | 14 | 11:48 | 8 |

## ფეხბურთის რუკასთან



გერმანელმა ბოდო ილგნერმა განაცხადა, თუ არ მათამაშებენ, ავდგები და თქვენს ნაქებ მადრიდის „რეალს" დავტოვებო. შარშანდელ სეზონში ესპანეთის ჩემპიონთა ძირითადმა მეკარემ ახალი მწვრთნელის, თანამემამულე იუპ ჰაინკესის ხელმძღვანელობით ერთხელაც ვერ ითამაშა. მის ტრავმას სანტიაგო კანისარესის შესანიშნავი თამაში და კლუბის კიდევ ერთი მეკარის — პედრო კონტრერასის გუნდში დაბრუნება დაემთხვა. 30 წლის ილგნერმა ისიც თქვა, ამ დღეებში „რეალის" ხელმძღვანელობას შევხვდები და ჩემს მომავალს გადავწყვეტო.

**ბულგარელ ივაილო იორდანოვს სკლეროზის ნიშნები აღმოაჩნდა, მაგრამ ავადმყოფობის მიუხედავად მაინც ითამაშებს პორტუგალიური „სპორტინგის" შემადგენლობაში. ლისაბონელებს ამჟერად „ეშტრელა ამადორასთან" ელით შეხვედრა და იორდანოვიც გუნდში ჩართეს, თუმცა, ექიმების აზრით, მისი მკურნალობა სასწრაფოდ უნდა დაიწყოს.**

ბრაზილიელმა რომარიომ, რომელიც თავისი ჭირვეულობით არის ცნობილი, განაცხადა, „ვალენსიაში" თამაში აღარ მსურს, გუნდს არანაირი მიზნები არ გააჩნია, აქ დარჩენა გულზე სრულიადაც არ მეხატებაო. ფეხბურთელს „ვალენსიას" მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმაც დაუჭირა მხარი, მე აქ გულაცრუებული მოთამაშეები არ მჭირდება, ვისაც წასვლა უნდა, წავიდესო.

**საფრანგეთის რამდენიმე სტადიონზე ხულიგანი გულშემატკივრებისაგან დასაცავად ღონისძიებების მიღებას აპირებენ: რკინის ღობეები, რომლის წინააღმდეგაც ფიფა დიდი ხანია ილაშქრებს, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, სავარაუდოდ, 1 მეტრი და 20 სანტიმეტრის სიმაღლის მიწაყრილით შეიცვლება, თუმცა, ისე, რომ თამაშის ხილვაში გულშემატკივრებს ხელი არ შეუშალოს. ასეთი მიწაყრილები სავარაუდოდ ლიონში, ლანსში, მონპელიესა და სენტ ეტიენში იქნება.**

ესპანეთის ჩემპიონატის აუტსაიდერმა ხიხონის „სპორტინგმა" იოჰან კრუიფს მწვრთნელობა სთხოვა, მაგრამ „ბარსელონას" ექსმწვრთნელმა იუარა. „სპორტინგს" 12 თამაშიდან მხოლოდ ქულა აქვს და თუ „ესპანიოლს" სტუმრად ვერ მოუგო, მწვრთნელი ანტონიო მასედა აუცილებლად განთავისუფლდება. სხვათა შორის, კრუიფისა და „ბარსელონას" ბოლო კონტრაქტში ეწერა, რომ თუ იგი 1998 წლის მაისამდე სხვა რომელიმე კლუბს არ უთავკაცებს, კატალონიელები მას 2 მილიონ 50 ათას დოლარს გადაუხდიან.

**ინგლისის ნაკრების ყველაზე შერეკილმა ფეხბურთელმა პოლ გესკოინმა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციას ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია დასტყუა. გესკოინი ოთხშაბათს, „სელტიკთან" 1:1 დასრულებული მატჩისას უხეშობისთვის გააძევეს. სავარაუდოდ იგი იანვარში დაბრუნდება.**

აშშ-ს ნაკრების მეკარე ბრედ ფრიდელი შესაძლოა, „ლივერპულში" გადავიდეს. ინგლისელთა მწვრთნელმა როი ევანსმა განაცხადა, კარგი მეკარე მჭირდება, დევიდ ჯეიმსმა კონკურენცია რომ იგრძნოსო. „ლივერპულის" გარდა ფრიდელის გადაბირებას „ბენფიკა", „გლაზგო რეინჯერსი", „ნიუკასლი", „სანდერლენდი" და „საუთჰემპტონი" ლამობენ.

**ბელგიის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა „ანდერლეხტმა" ნორვეგიული „ტრომსოდან" ოლე მარტინი შეიძინა. ბრიუსელელებს მარტინის შეძენა ივნისში სურდათ, მაგრამ მაშინ საქმე არ გაიჩარხა, ახლა კი, როცა ნორვეგიელის „მანჩესტერ სიტიში" გადასვლა აღარ შედგა, „ანდერლეხტმაც" დრო იხელთა და ფორვარდი თავისთან წაიყვანა. მარტინი, ალბათ, ლიბერიელ თავდამსხმელ ჯეიმს დებას შეცვლის.**

ესპანეთის „ატლეტიკოს" გადარეულმა პრეზიდენტმა ხესუს ხილი ხილიმ ამ დღეებში ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია კარგად გამოლანძღა 14-თვიანი დისკვალიფიკაციის გამო. ხილი ერთ-ერთი მატჩის დროს შეხვედრის კომისრის შეურაცხყოფისთვის მოკვეთეს. პრეზიდენტმა ფიფას მიმართა, მათ კი მხარი ფედერაციას დაუჭირეს. გაცოფებული ხილი თავისსას განაგრძნობდა, დისკვალიფიკაცია არ მიმიღიაო, მაგრამ ფედერაციამ იხუმრა — 14 თვის განმავლობაში მარსზე, პლუტონზე, ნეპტუნსა და სხვა პლანეტებზე გამართულ შეხვედრებზე დასწრება ხილი ხილის შეუძლია, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არაო.

**ინგლისის პრემიერლიგის გუნდმა, ლონდონის „ვესტ ჰემმა" ლისაბონის „სპორტინგიდან" სამი თვით ითხოვა თავდამსხმელი პაულო ალვეში. ინგლისელებმა განაცხადეს, თუ ფორვარდმა გაგვიმართლა, მაშინ მას კონტრაქტსაც გავუფორმებთო. ეს სწორედ ის პაულო ალვეშია, რომელმაც 1995 წელს, „უემბლიზე", 1:1 დასრულებულ ამხანაგურ მატჩში ინგლისელებს გოლი შეუგდო.**

უნგრეთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი „ფერენცვაროში" შესაძლოა, ამერიკულმა კომპანია AMG-მ შეიძინოს. უნგრეთში კომპანიის წარმომადგენელმა ანდრაში სელეიმ განაცხადა, კლუბსა და ჩვენს შორის შეთანხმება მიღწეულია, უახლოეს მომავალში „ფერენცვაროში" AMG-ის მფლობელობაში გადავაო. AMG არის საკმაოდ დიდი კომპანია, რომლის შტაბ-ბინა ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდშია, სადაც დაახლოებით 200 ათასი უნგრელი ცხოვრობს.

**ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის" თავმჯდომარემ მარტინ ედვარდსმა განაცხადა, თუ მაყურებლები თამაშის ხილვას ფეხზე ამდგარნი განაგრძობენ, „ოლდ ტრეფორდის" გარკვეულ ტრიბუნებს დავხურავთო. ედვარდს სურდა, სულ დასაჯდომი ადგილები მოეწყო, მაგრამ სხვა კლუბებმა მხარი არ დაუჭირეს იმ მოტივით, რომ მაყურებელი, რომელიც ზის, სტადიონზე შექმნილ ატმოსფეროს სათანადოდ ვერ აღიქვამს.**

ავსტრალიელი პიტერ შტოიგერი, რომელსაც ნაკრებში 53-ჯერ უთამაშია, ვენის „რაპიდიდან" „ლასკში" გადავიდეს. შტოიგერს იწვევდა „მიუნხენ 1860", „კიოლნი" და ავსტრიული „შტურმი", თუმცა ფეხბურთელმა კარიერის დასრულება „ლასკში" ინება.

**იტალიის თასის მესამე წრის საპასუხო მატჩები: რომა — უდინეზე 2:1 (ორი მატჩის ჯამში 4:3), ბარი — პარმა 0:1 (1:3), ლეჩე — იუვენტუსი 0:1 (0:3), ნაპოლი — ლაციო 3:0 (3:4), პესკარა — ფიორენტინა 2:2 (2:3), სამპდორია — მილანი 1:2 (3:5), ბოლონია — ატლანტა 3:1 (4:4, პენ. 1:3), ინტერი — პიაჩენცა 0:1 (3:1).**

ჰოლანდიის თასის მეორე წრის მატჩები: დორდრეხტი (II დივიზიონი) — გრონინგენი 1:4, AFC 34 (მოყვარულები) — სიტარდი 1:2, ნაიმეგენი — დენ ჰააგი (II) 2:1, სპარტა — ტვენტე 1:2, ეინდჰოვენი — ემენი (II) 4:0, ჰერენვეენი — ეინდჰოვენი 2 (II) 6:1, ვალვაიკი — ვიტესი 0:1, დენ ბოში — AZ 67 (II) 2:1, ვოლენდამი — ალმელო (II) 2:2 (პენ. 5:4), აიაქსი — მაასტრიხტი 6:0. გოლები დინ გორმა (4), შოთა არველაძემ და ფრენკ დე ბურმა შეაგდეს, გუნდის შემადგენლობა კი ასეთი იყო: ვან დერ სარი, ტობიასენი, ოლისე, ფ. დე ბური, სიერი (ლაუდრუპი 71), რ. დე ბური, ლიტმანენი (გორი 8), ვიჩხე, დანი, არველაძე, ჰუქსტრა (ბენი 46). კენჭისყრის შემდეგ გუნდები მესამე წრეში შემდეგნაირად დაწყვილდნენ: ბრედა — ელმონდ სპორტი (II), ნაიმეგენი — ჰერენვეენი, ფეიენოორდი — გრონინგენი, ტვენტე — ტილბურგი, აიაქსი — როდა, ტელსტარი (II) — სიტარდი, დენ ბოში (II) — ეინდჰოვენი, ალმელო (II) — ვიტესი. მატჩები 9-15 თებერვალს გაიმართება.

**ხორვატიის მე-14 ტური. ოსიეკი — კროაცია 2:2, სლავენი — დრაგოვილიაცი 0:0, მლადოსტ 127 — რიეკა 1:1, ვარტექსი — შამობორი 2:1, შიბენიკი — ჰაიდუკი 1:4, ზაგრები — ზადარკომერცი 1:0. 32 ქულით ლიდერობს ჰაიდუკი, 30 ქულით მეორეა დრაგოვილიაცი.**

ინგლისის პირველი დივიზიონი: ბრედფორდი — შეფილდი იუნაიტედი 1:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერნაციონალე

დაარსდა 1908 წელს. ცოტა ხნით „ამბროზიანა“ ერქვა, რადგან დიქტატორმა მუსოლინიმ „ინტერნაციონალე“ კომუნისტურ სახელწოდებად მიიჩნია.

იტალიის ჩემპიონი: 1910, 1920, 1930, 1938, 1940, 1953, 1954, 1963, 1965, 1966, 1971, 1980, 1989
იტალიის თასი: 1939, 1978, 1982
ჩემპიონთა თასი: 1964, 1965
უეფას თასი: 1991, 1994
საკონტინენტთაშორისო თასი: 1964, 1965
სტადიონი „სან სირო“, იგივე „ჯუზეპე მეაცა“ (85 700)
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონი
სარეკორდო მატჩების რაოდენობა: ჯაჩინტო ფაკეტი და ჯუზეპე ბერგომი — 476
სარეკორდო გოლების რაოდენობა: ჯუზეპე მეაცა — 197

## მილანი

დაარსდა 1899 წელს ინგლისელი ალფრედ ედუარდსის მიერ. თავდაპირველად ერქვა „მილან კრიკეტ ენდ ფუტბოლ კლაბ“, 1939 წელს დაერქვა „ასოჩაციონე კალჩო მილან“.

იტალიის ჩემპიონი: 1901, 1906, 1907, 1951, 1955, 1957, 1959, 1962, 1968, 1979, 1988, 1992, 1993, 1994, 1996
იტალიის თასი: 1967, 1972, 1973, 1977
ჩემპიონთა თასი: 1963, 1969, 1989, 1990, 1994
თასების თასი: 1968, 1973
საკონტინენტთაშორისო თასი: 1969, 1989, 1990
ევროპის სუპერთასი: 1989, 1990, 1995
სტადიონი „სან სირო“, იგივე „ჯუზეპე მეაცა“ (85 700)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
სარეკორდო მატჩების რაოდენობა: ჯანი რივერა — 501
სარეკორდო გოლების რაოდენობა: გუნარ ნორდალი — 210

# INTER vs MILAN

სერია A-ში ტარდება 127-ედ. „ინტერმა“ მოიგო 46-ჯერ, „მილანმა“ 36-ჯერ. 44 მატჩი ფრედ დამთავრდა. როცა „ინტერი“ მასპინძლად ითვლებოდა, გაიმარჯვა 22-ჯერ, 16-ჯერ წააგო.

სარეკორდო გამარჯვებები: 1918 წლის 3 მარტს „მილანმა“ მოიგო 8:1. 1920 წლის 27 იანვარს „ინტერმა“ მოიგო 7:3.

ბოლო ცხრა სეზონის განმავლობაში (1988-89 წლების სეზონიდან მოყოლებული): 0:0, 0:3, 0:1, 1:1, 1:1, 1:2, 3:1, 1:1, 3:1 (მასპინძლად „ინტერი“ ითვლება)

გასული სეზონის „ინტერი“ — „მილანი“ დამთავრდა 3:1. თამაშს დაესწრო 80 ათასი მაყურებელი. „ინტერისგან“ გოლები გაიტანეს ჯორკაეფმა პენალტით, სამორანომ და განცმა, მილანელთაგან რობერტო ბაჯომ შეაგდო.

# საინტერესო ფაქტები

„მილანის“ ერთ-ერთი დამაარსებელი იყო საბურავების მწარმოებელი მილიონერი პიერო პირელი, რომლის დაარსებული კომპანიაც 98 წლის შემდეგ „ინტერის“ სპონსორი გახდა. „ინტერს“ მაისურზე პირელი აწერია.

მილანური დერბის უსწრაფესი გოლი გაიტანა სანდრო მაცოლამ. 1963 წლის 24 თებერვალს მატჩში, რომელიც 1:1 დამთავრდა, მან ანგარიში მე-13 წამზე გახსნა.

მილანელი ჯანი რივერა, რომელიც ფეხბურთს 1960-78 წლებში თამაშობდა, ყველაზე მეტჯერ გახლდათ ამ დერბის მონაწილე. მან 34 შეხვედრაში ითამაშა.

„ინტერის“ მცველი ჯუზეპე ბერგომი დღეს გაუტოლდება თავისი გუნდის რეკორდსმენს ჯაჩინტო ფაკეტის, რომელსაც 29 დერბი აქვს ნათამაშევი.

ჯუზეპე მეაცამ „ინტერის“ და „მილანის“ შეხვედრებში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა. მისი რეკორდია 12 გოლი, რომელთაგან 11 მაშინ შეაგდო „ინტერში“, რომ გამოდიოდა, ერთი კი მერე, მილანელი რომ გახდა.

„მილანმა“ „ინტერს“ ბოლოს 1994 წელს მოუგო.

1989 წლის დერბი განახლებული „სან სიროს“ პირველი მატჩი გახლდათ. მაშინ გუნდებმა ახალ საფარზეც ითამაშეს. დღეს „ინტერი“ და „მილანი“ კვლავ ახალ საფარზე შეებრძოლებიან ერთმანეთს, რადგან ძველმა ბალახმა ფესვი ვერ მოიკიდა.

# თავისას მაინც არ იშლიან

მართალია „მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ სეზონის დასაწყისში განაცხადა უცხოელი ფეხბურთელებისგან ერთსულოვანი გუნდის შექმნა ძნელიაო, მაგრამ როგორც ჩანს, კლუბი მაინც ძველ გზას ადგას და თვალი კვლავ ვადამთიელებზე უჭირავს. იტალიური „გაძეტა დელლო სპორტის“ ცნობით ბერლუსკონის და მის რაზმს ორი უკრაინელი ფეხბურთელი, კიევის „დინამოსა“ და ქვეყნის ეროვნული გუნდის წევრები, ანდრეი შევჩენკო და ანდრეი გუსინი ჰყავთ მიზანში ამოღებული. გაზეთის თქმით შევჩენკოს მართალია ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაადგა თვალი, მაგრამ „მილანი“ რიგში მაინც პირველი იყო. უკრაინელთა გარდა მილანელები თურმე ხორვატების ყიდვასაც ლამობენ, მათ ზაგრების „კროაციას“ დუეტი დარიო სიმიჩი და დანიელ სარიჩი მოსწონებიათ.

სიმიჩი მარჯვენა მცველი გახლავთ, რომელსაც ერთი წლის წინ მადრიდის „რეალში“ გადასული კრისტიან პანუჩის შემცვლელად სახავენ, საქმე ხომ ისაა, რომ პანუჩის წასვლის შემდეგ მარჯვენა მცველის პოზიციას „მილანმა“ ვერაფერი მოუხერხა და ის დღემდე აქილევსის ქუსლად აქვს ქცეული.

სარიჩიც მცველია, იტალიაში დაბადებული და მას ალბათ ქვეყნის მოქალაქის პასპორტსაც გაუხერხებენ. ეს კი მილანელებს იმად წაადგებათ, რომ ის არაევროკავშირელ ფეხბურთელთა შორის აღარ იქნება მოხსენებული. წესების თანახმად კი იტალიურ გუნდს სამი არაევროკავშირელზე მეტის ყოლის უფლება არ აქვთ.

შეგახსენებთ, რომ „მილანს“ დღეისათვის რვა უცხო ქვეყნის 14 ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასე ცუდად არ უასპარეზია.



60-იანი წლების ინტერისა და მილანის ლეგენდარული კაპიტნები სანდრო მაცოლა (მარცხნივ) და ჯანი რივერა

# აზრთა დუელი



ლუიჯი სიმონი

„მილანის“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო და მისი კოლეგა ჯიჯი სიმონი, რომელიც „ინეტრს“ უდგას სათავეში, დიდი ამოცანის წინაშე დგანან. დიდი მილანური დერბის წინ ორივემ ფეხბურთელი დაკარგა. „მილანის“ კაპიტანმა პაოლო მალდინიმ ბარძაყის კუნთი დაიჭიმა და მის ნაცვლად ახალგაზრდული გუნდის მარჯვენა მცველი ჯუზეპე კარდონე ითამაშებს. სიმონისაც დიდი ძალა დააკლდა, ფრანგი გამთამაშებელი იური ჯორკაეფი, ფეხბურთელი, რომელიც ბრაზილიელ რონალდოსთან ერთად უმძლავრეს დუეტს ჰქმნის.

— ჯორკაეფის დაკარგვა ძალიან ბევრის დაკარგვას ნიშნავს. ის ხომ თამაშს აბალანსებს — თქვა სიმონიმ, რომლის გუნდსაც ჯერ არ წაუგია და ცხრილის სათავეშია.

— ჩვენ უარეს დღეში ვართ. მალდინით რონალდოს შეჩერებას ვლამობდი. ბრაზილიელის გასაჩერებლად საგანგებო ტაქტიკა მქონდა მომზადებული, რომელიც მნიშვნელოვანწილად მალდინის სისწრაფეზე იყო დაფუძნებული — დაიჩივლა კაპელომ, რომლის გუნდიც მეცხრე ადგილზე კია, მაგრამ გულის სიღრმეში არც ჩემპიონობაზე აქვს ხელი ჩაქნეული.

ასეა თუ ისე, კაპელოცა და სიმონიც ბოლო წუთში ვითარების შეცვლის დიდოსტატებად არიან ცნობილი. როდესაც კაპელომ 1991-96 წლებში ზედიზედ ოთხჯერ მოიგო სკუდეტო, ბევრი ამბობდა, ამ წარმატებას არიგო საკიმ ჩაუყარა საფუძველიო, მაგრამ ბოლო ორ წელიწადში მან დაამტკიცა, რომ ჩავარდნილ გუნდთა წელში გამართვა ჩინებულად ხელთეწიფება. გასულ სეზონში კაპელომ მადრიდის „რეალს“ შთაბერა ახალი სული, ესპანეთის ჩემპიონიც გახადა და ჩემპიონთა ლიგაშიც მოუპოვა ადგილი. თან მას მერე, რაც „სამეფო გუნდმა“ ისტორიაში მეორედ გაატარა სეზონი ევროშეჯიბრების გარეშე. ახალ სეზონში იგი „მილანს“ დაუბრუნდა და, როგორც თავად ამბობს, ახალი დიდი გუნდის შენებას ჩაუყარა საფუძველი.

დღევანდელ „მილანში“, ძირითად შემადგენლობაში, ადგილის მოსაპოვებლად იბრძვიან ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც არიან იბრაჰიმ ბა, ანდრე კრუზი, ლეონარდო, კრისტიან ციგე... მიუხედავად ამისა, კაპელოს გუნდს, ამ სეზონში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უარესი სტარტი ჰქონდა.

— ახალი სეზონის კარგად დაწყება იმიტომ გვჭირდებოდა, რომ უამრავი ახალი ფეხბურთელი შევიძინეთ, რომელთაგან ბევრი ძლიერი პიროვნებაა და გარემოსთან შეგუება შეუძლია. სხვები, მაგალითად ბა და ციგე, კი მეტად მგრძნობიერი ადამიანები არიან. — თქვა კაპელომ.

ნელ-ნელა „მილანი“ მოყოჩაღდა და ამის დასტური ბოლო სამ შეხვედრაში სამი გამარჯვება გახლავთ. კაპელო ამბობს, რომ ცუდი დროება უკვე წარსულს ჩაბარდა. ამრიგად, „მილანის“ ბანაკში იმედიანად არიან და 1994 წლის შემდეგ „ინტერის“ პირველად ძლევას აპირებენ.

კაპელოს გუნდის ერთადერთი სატკივარი, ბოლო დროს პატრიკ კლუივერტი გახლავთ. ჰოლანდიელი თავდამსხმელი მეტად ნიჭიერია, მაგრამ



ფაბიო კაპელო

ფორმაში ვერაა, არადა, მისგან ვან ბასტენის დროის დაბრუნებას ელიან.

— მე იოლად არ ვნებდები. ვთვლი, რომ ისეთი ჩემპიონები, როგორიც კლუივერტია, საგანგებო ვითარებაში საუკეთესოდ თამაშობენ — ამბობს კაპელო.

რაც შეეხება სიმონის, მას ასეთ დონეზე არ უმუშავია, ძირითადად მეორე და მესამე დივიზიონის კლუბებს ედგა სათავეში. სერია A-ში მისი დებიუტი 90-იანი წლების შუაში შედგა. ის „ნაპოლისა“ და „კრემონეზეს“ ხელმძღვანელობდა, სადაც სახელი მოიხვეჭა.

— „ინტერში“ რომ მოვედი, აქაური გარემო მეუცხოვა. ფეხბურთელების ნდობის მოპოვებას დრო დასჭირდა. თავიდან რაიმე კონკრეტულ სტილს არ ვნერგავდი. ვგონებ, მოთამაშეთა ხასიათების შეცნობა და ტაქტიკის იმის მიხედვით შემუშავება უფრო სწორი გზაა — მსჯელობს „ინტერის“ მწვრთნელი.

სიმონის უნარმა კონკრეტულ თამაშს სწორი შემადგენლობა შეურჩიოს, ერთ-ერთ კომენტატორს ათქმევინა, „ნაპოლი“ სიმონის ლაბორატორიააო.

— სიმონი კარგი ღვინოსავით არის. რაც მეტს გააჩერებ, მით უკეთესია — ამბობს „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი.

# ამოუცნობი სპექტაკლი სან სიროზე

თუ იტალიური სერია A ის სცენაა, სადაც მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები თავიანთი ნიჭის ალღუმს აწყობენ, მაშინ დღევანდელი შეხვედრა „ინტერსა“ და „მილანს“ შორის „სან სიროს“ სტადიონს ოცნების თეატრად აქცევს.

უკვე 89 წელიწადია ამ ორი კლუბის დიდ მტრობაში უბრწყინვალესი სახელები მონაწილეობენ, დაწყებული სანდრო მაცოლათი და ჯანი რივერათი, მარკო ვან ბასტენითა და ლოთარ მათეუსით დამთავრებული. დღეს, თანაქალაქელთა 236-ე დერბი მოედანზე მილიონობით დოლარად შეძენილ თოთხმეტი ეროვნების ფეხბურთელს შეჰყრის. 24 საათით მილანი პლანეტაზე ფეხბურთის დედაქალაქადაა ქცეული.

დერბი მხოლოდ ბოლო ორი წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს, ბრაზილიელ რონალდოსა და ლიბერიელ ჟორჟ ვეას როდი დაუპირისპირებს ერთმანეთს. ერთმანეთს შეებრძოლებიან ჰოლანდიელები პატრიკ კლუივერტი და აარონ ვინტერი, ფრანგები იური ჯორკაეფი და მარსელ დესაი. მატჩის წინ, იტალიური ფეხბურთის ორი ცნობილი მცველი პაოლო მალდინი და ჯუზეპე ბერგომი ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს და მონეტას ააგდებენ.

„უმეტეს ქვეყნებში ამდენი ვარსკვლავის თავმოსაყრელად საქველმოქმედო მატჩის გამართვა დასჭირდებოდათ, ვთქვათ ევროპა დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ. ეს თამაში საგანგებო შოუა“ — დაწერა „კორიერე დელლო სპორტის“ რედაქტორის მოადგილემ ივან ძაძარონიმ.

დღევანდელ დერბიში ფავორიტად უფრო „ინტერს“ მიიჩნევენ. ლუიჯი სიმონის გუნდს ხომ ასეთი სტარტი 1989 წლის მერე არ ჰქონია. მაშინ „ინტერი“ იტალიის ჩემპიონი გახდა. დღეს, ცხრა ტურის შემდეგ გუნდს რვა მოგება და ერთი ფრე აქვს.

„ინტერისგან“ განსხვავებით, „მილანს“ გასაჭირი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის წინ კლუბმა ფეხბურთელების შესაძენად 50 მილიარდი ლირა (29,6 მილიონი დოლარი) დახარჯა და დაიბრუნა ფაბიო კაპელო, მწვრთნელი რომელმაც ხუთ წელიწადში ოთხჯერ, 1991-96 წლებში, ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა, იგი ცხრილის შუაშია.

თუმცა, მილანურმა დერბიმ კარგ და ცუდ ფორმაში ყოფნა არ იცის. ჰკითხეთ იტალიის ნაკრებისა და „ინტერის“ ყოფილ თავდამსხმელს, 21 დერბის მონაწილეს ბენიტო ლორენცის და ის გეტყვით ყველაფერს. ლორენცის მონაწილეობა აქვს მიღებული ეპოქის ყველაზე ცნობილ დერბიში, რომელიც 1949 წლის ნოემბერში გაიმართა. მაშინ „მილანი“ აშკარა ფავორიტად ითვლებოდა და 25 წუთში 4:1 წაიყვანა, მაგრამ „ინტერმა“ ქედი არ მოიხარა და გამაოგნებელი თამაშით 6:5 გაიმარჯვა.

„მილანური დერბი ევროპის ყველაზე ამოუცნობი მატჩია“ — ამბობს ლორენცი, ახალგაზრდობაში „ველენოს“ ანუ შხამს რომ უწოდებდნენ.

ეს დერბი იმითაცაა ამოუცნობი, რომ კაცმა, არ იცის რომელი ფეხბურთელი როგორ მოიქცევა. 1952 წელს, მეორე წრეში, „მილანის“ სასარგებლოდ თამაშის მიწურულს პენალტი დაინიშნა. მანამდე 0:0 იყო. ლორენციმ ბურთის ქვეშ ლიმნის ნაჭერი შეაცურა და თავდამსხმელმა ამის გამო მიზანს ააცილა.

მილანური მტრობა 90 წლის წინ, დუომოს მოედანზე, საკათედრო ტაძრის გვერდითა კაფეში დაიწყო. „მილანის“ აჯანყებულმა დირექტორებმა აღშფოთება გამოთქვეს, რომ კლუბის სხვა ხელმძღვანელებმა მათ უცხოელი ფეხბურთელების შეძენის ნება არ დართეს და დააარსეს ახალი გუნდი — „ინტერნაციონალე“. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე „ინტერი“ „მილანს“ სჯობდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი დიდი ჯუზეპე მეაცას გოლები გახლდათ. „ინტერი“ ყოველი ათწლეულის დასაწყისში (1910, 1920, 1930, 1940) იგებდა სკუდეტოს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ორივემ ერთად ოცჯერ მოიგო სერია A-ს ტიტული. 1988-96 წლებში „მილანმა“ ჯერ არიგო საკის, შემდეგ კი ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით „კალჩო სპეტაკოლის“ ანუ ლამაზი ფეხბურთის მიმდევრის სახელი დაიგდო. მარკო ვან ბასტენის, რუუდ გულიტის, ფრანკ რაიკაარდის, დეიან საჟიჩევიჩის, შეუცვლელი ფრანკო ბარეზის და სხვათა ეპოქაში მილანელებმა ხუთჯერ სკუდეტო და სამჯერ ჩემპიონთა თასი მოიპოვეს. კლუბის მეპატრონემ სილივო ბერლუსკონიმ კი გუნდის წარმატებები პოლიტიკაში გამოიყენა და 1994 წელს იტალიის პრემიერ მინისტრი გახდა.

„ინტერმა“ მსოფლიოს ფეხბურთში ოცდაათი წლის წინ შეიტანა დიდი წვლილი. მან დანერგა „ილ კატენაჩო“, სტილი, რომელიც მჭიდრო დაცვასა და სწრაფ კონტრშეტევას მოიცავს. სტილი, რომლის შემოქმედიც გახლდათ ახლახანს გარდაცვლილი ელინიო ერერა, წარმოშობით არგენტინელი, სამოციან წლებში მილანში „ინტერის“ ახლანდელი პრეზიდენტის მასიმო მორატის მამამ, ანჯელომ რომ ჩაიყვანა. ანჯელო მორატი მაშინ თავად იყო კლუბის პრეზიდენტი. ერერას რევოლუციურმა ტაქტიკამ მაშინ სამჯერ სკუდეტო და ორჯერ ჩემპიონთა თასი მოიპოვა.

ერერა სწორედ მაშინ გარდაიცვალა ანჯელო მორატიმ ოცნების, „დიდი ინტერის“ აღდგენის ხორცშესხმა რომ დაიწყო. მილიარდობით ლირის დახარჯვისა და ორი მწვრთნელის თანამდებობიდან გაშვების შემდეგ, მორატის ახალმა არჩევანმა, ლუიჯი სიმონიმ, როგორც ჩანს შეადუღა „ინტერის“ ძვირფასი ნაწილები, რონალდოს ჩათვლით და რაღაც ერთიანი შექმნა. თანაქალაქელთა ჩრდილში გატარებული ათწლეულის შემდეგ, ახლანდელი დერბი „შავ-ლურჯებისთვის“ შესაძლოა ახალი ეპოქის დასაწყისიც გახდეს.

ბედის ირონიაა, დღეს „მილანი“ ძლიერთა შორის დაბრუნებას სწორედ იმ პრინციპებით ცდილობს, რომელთა გამოც დაარსდა „ინტერი“ — მათ იტალიელებზე მეტი უცხოელი ვარსკვლავი ჰყავთ გუნდში, ყოველივე ამან დღევანდელი მატჩი ფაქტობრივად საერთაშორისო შეხვედრად აქცია. თუმცა „ინტერის“ პრინციპი „მილანს“ ჯერჯერობით არ არგია. მილანელთა პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი, სეზონის დასაწყისში აცხადებდა, რომ მრავალი ეროვნების და კულტურის ხალხისგან ჰარმონიული მანქანის შექმნა ძნელიაო.

ახლანდელი სეზონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „მილანის“ პრეზიდენტს სიამაყის ძლევა და მეზობელთათვის რჩევის კითხვა მართებს.

**ქრის ენდინი, როიტერი**

# ავსტრალიელთა ჩივილი გრძელდება

ფიფამ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: ოთხ ირანელ ფეხბურთელს, რომელთაც ორ-ორი ყვითელი ბარათის გამო წესით, ავსტრალიასთან, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა უნდა გამოეტოვებინა, მოედანზე გასვლის ნება დაერთოთ. შეგახსენებთ, რომ ირანი ავსტრალიას დღეს, თეირანში მასპინძლობს.

ფიფამვე დისკვალიფიკაცია არ მოუხსნა მეხუთე ირანელს, თავდამსხმელ ქარიმ ბაგერის, რადგან მას წითელი ბარათი ჰქონდა მიღებული. არადა, ბაგერი შესარჩევი შეჯიბრების აზიური ზონის ბომბარდირია.

ამასთან დაკავშირებით ფიფას პრეს-მდივანმა კით კუპერმა განაცხადა: „საქმე ის გახლავთ, რომ ყვითელი ბარათების გამო მიღებული დისკვალიფიკაციები გაუქმდა, რადგან ისინი აზიის ზონის შეჯიბრებას ეკუთვნოდა, ირანის და ავსტრალიის თამაში კი უკვე სხვა საფეხურია. რაც შეეხება წითელ ბარათებს, მათი მოქმედება გრძელდება".

ამრიგად, დღეს მოედანზე გასვლის ნება დაერთოთ ირანელთა მეკარეს და კაპიტანს აჰმადრეზა აბედზადეს, თავდამსხმელს ხოდად აზიზის, ოსტად ასადლისა და მოჰამედ ხაპურს.

ფიფას „ამნისტიამ" განარისხა ავსტრალიელთა ისედაც განრისხებული მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი.

— ეს უსამართლობაა. ასეა თუ ისე, შეჯიბრება ხომ იგივეა. დღეს, სანამ ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ეტაპია, ყვითელი ბარათების გაუქმება ყოვლად დაუშვებელი იყო. ამნისტია ფინალური ეტაპის წინაა კარგი საქმე, მაშინ ყველას ეკუთვნის — თქვა მან.

ვენეიბლზი პლეი-ოფის საორგანიზაციო მხარითაც ერთობ უკმაყოფილო გახლდათ.

— დღემდე არ ვიცი თამაშის დაწყების ზუსტი დრო — ამბობდა იგი გუშინ — მაგრამ ბიჭები ყველაფრისთვის მზად არიან. გუნდი ბრძოლისთვის მზადაა და თამაშის დაწყებას სულმოუთქმელად ელიან.

ავსტრალიელთა მწვრთნელმა უარჰყო, თითქოს მალაიზიაში იაპონელებთან წაგებამ ირანის გუნდი მორალურად გატეხა: — ვიგრძენი, რომ იმ შეხვედრაში ირანელებს ბევრი რამ არ გამოუვიდათ, მაგრამ თუ მათ სტრესი მოუვიდათ, ის მხოლოდ 48 საათიანი იქნებოდა.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ავსტრალია ძალიან ცუდ პირობებში იყო ჩაგდებული: — არ ვიცოდით, იაპონიას ვხვდებოდით თუ ირანს.

შეგახსენებთ, რომ იაპონიამ ირანს 3:2 მოუგო და გადათამაშების გარეშე გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, წაგებული ირანი კი დღეს და დღეის სწორს ავსტრალიასთან გაარკვევს ბოლო საგზურის ბედს.

ვენეიბლზმა განაცხადა, რომ მისი ფეხბურთელები მგზავრობით დაღლილები აღარ არიან და საამიროებში, დუბაიში მატჩისთვის სერიოზულად ემზადებიან. ავსტრალიელთა ნაკრების თანმხლებ ოფიციალურ პირთა თქმით კი მათი ორი მოთამაშე დაშავებულია. საუბარია მწვრთნელის აზრით ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელზე პოლ ოკონზე, რომელსაც მუხლი სტკივა და სტენ ლაზარიდისზე.

ოკონი რომის „ლაციოში" გამოდის და ოპერაციის შემდეგ იტალიაში ორი მატჩი უკვე ჩაატარა, თუმცა 25 წლის ვარსკვლავს დუბაიში ტკივილმა თავი შეახსენა. რაც შეეხება ლონდონის „ვესტ ჰემის" ფეხბურთელს, ლაზარიდისს, მას საზარდულის ტრავმა აწუხებს და გუშინ ჯერ კიდევ შესამოწმებელი იყო, ითამაშებს თუ ვერა.

ავსტრალიელებს სხვა ფრონტზეც გაურთულდათ საქმე. შეგახსენებთ, რომ მათ, თამაშის შემდეგ დაუყოვნებლივ სურდათ თეირანის დატოვება, მაგრამ საამისოდ სასურველი თვითმფრინავი ვერ დაიგულეს. თურმე ავსტრალიელებმა თხოვნით მიმართეს ავიაკომპანია „ქუონტას ეარვეიზს", თვითმფრინავი, რომელიც რომიდან ბანგკოკისკენ მიფრინავს, ცოტა ხნით თეირანში დაესვათ. ავიაკომპანიამ თხოვნას უარით უპასუხა, რადგან კურსიდან გადახვევა მისი მგზავრებისთვის დაგვიანებას ნიშნავს, არადა, ბევრი მათგანი ბანგკოკში ავსტრალიის სხვადასხვა ქალაქისკენ მიმავალ თვითმფრინავში უნდა გადაჯდეს. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელებს მაინც დარჩათ იმედი, რადგან „ქუონტას ეარვეიზმა" მათთვის ჩარტერული რეისის დაქირავება გადაწყვიტა და როგორც ამბობენ, საამისოდ შეუკვეთა კიდეც თვითმფრინავი.

აშკარაა, ტერი ვენეიბლზს და მის გუნდს ირანის ხსენებაზე რაღაც საგანგებო ემართებათ. ისტერიას ჯერ კიდევ ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის, „სოკერ ავსტრალიის" თავმჯდომარემ დაუდო საფუძველი, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, მიხვდნენ, რომ გადაამლაშეს. როგორც ადრე ვწერდით, ირანელები ერთობ აღაშფოთა იმან, რომ ავსტრალიელები სავარჯიშოდ საამიროებში დაბანაკდნენ და თან განაცხადეს, თეირანში საკუთარი წყლითა და საკვებით ჩავალთო. ჰილმა დუბაიში ერთხელაც შემოიკრიბა ჟურნალისტები.

— არა მგონია, ვითარება ისე იყოს დაძაბული, რომ ბოდიშის მოხდას ითხოვდეს, მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ თეირანში ჩასვლისთანავე სიამოვნებით ვისარგებლებ შემთხვევით და ყოველგვარ გაუგებრობას ნათელს მოვფენ, ერთ-ერთი, რაც მე განვაცხადე, გახლდათ ის, რომ ავსტრალიელ ფეხბურთელთათვის ირანში ჩასვლა მგზავრობის თვალსაზრისით კოშმარია-მეთქი. ეს თეირანს არაფრით ეხება. ეს ავსტრალიელთა პრობლემაა და არა ირანელების. რაც შეეხება სასმელი წყლისა და საკვების ჩატანას, ირანის შეურაცხყოფა არც ამის განცხადებისას გვიფიქრია. ასეთი პრაქტიკა მსოფლიო ფეხბურთში მიღებულია.

# არგენტინა და იტალია ვერ განითესებიან?

არაა გამორიცხული, რომ ფიფამ ქვეყანათა მისეული ყოველთვიური დახარისხება გაითვალისწინოს. ყოველთვიური რეიტინგი ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას მსოფლიოს პირველობის კენჭისყრისთვის სჭირდება.

მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე ოცდათერთმეტი გუნდი უკვე ცნობილია. გასარკვევი ერთის ვინაობაღა დარჩა. ამიტომაც ფიფა ცდილობს შეიმუშაოს მათი ჯგუფებში განაწილების ყველაზე ოპტიმალური და სამართლიანი მეთოდი. კენჭისყრა, როგორც ადრეც ვიუწყებოდით, 4 დეკემბერს საფრანგეთის ცნობილ საპორტო ქალაქ მარსელშია დანიშნული.

ორი გუნდი, მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია და მასპინძელი საფრანგეთი, კიდევ ექვსთან ერთად შეადგენს იმ რვას, რომლებიც განთესილთა სტატუსით, რვა ჯგუფში პირველ ნომრად დასახელდება. ფიფას თქმით, აქ ძირითადად გამოიყენებენ ძველ სისტემას, რომლითაც გუნდებს კენჭი 1994 წლის ჩემპიონატზეც ეყარათ. ეს სისტემა წინა პირველობებზე მიღწეულ შედეგებს ითვალისწინებს, მაგრამ ხუთშაბათისეული განცხადების თანახმად, ახლა შესაძლოა ყოველთვიურ რეიტინგსაც მიექცეს ყურადღება.

უფრო ნათლად რომ ვთქვათ, 1994 წელს, განთესვისას მხოლოდ 1982, 1986 და 1990 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ნაჩვენები შედეგები. ახლა, თუკი ფიფას რეიტინგსაც გაუწევენ ანგარიშს, მაშინ გამოვა, რომ ვთქვათ ინგლისი, რომელიც 1994-ში შესარჩევ შეჯიბრებას ვერ გასცდა, დღეის რეიტინგით კი მეშვიდეა, განთესვის ერთობ სერიოზული პრეტენდენტი იქნება.

როგორც ყოველთვის, განთესვის პრინციპებს ახლაც ბევრი კამათი სდევს თან. მაგალითად რამდენიმე დღის წინ, ბელგიურმა გაზეთმა „ჰეტ ნიუსბლადმა" დაწერა, რომ ბელგია უეჭველად მოხვდება განთესილთა შორის, თუმცა დასძინა, რომ თუკი ფიფა თავის რეიტინგს გამოიყენებს, მაშინ არგენტინა და იტალია ვერ განითესებიან.

ამასწინათ, ფრანგული „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფიფას პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა განაცხადა რომ ესპანეთი, გერმანია, იტალია და არგენტინა განითესებიან. რჩება ორი ადგილი, რომელიც წესით ბელგიამ და რუმინეთმა უნდა დაიკავონ, მაგრამ აველანჟმა ისიც განაცხადა, მსურს ერთი ადგილი აფრიკულ გუნდსაც შეხვდესო. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსალოდნელია რუმინელთა მაგივრად რომელიმე ჯგუფის პირველ ნომრად ნიგერია მოგვევლინოს.

ამრიგად, კამათი და მსჯელობა ჯერ გრძელდება. მსოფლიოს პირველობის საორგანიზაციო კომიტეტი კენჭისყრის სისტემასს საბოლოო ვარიანტს 2 დეკემბერს წარმოგვიდგენს.

გასული კენჭისყრებისას ფიფა ყურადღებას აქცევდა გეოგრაფიულ პრინციპსაც. კერძოდ, იგი ცდილობდა ერთი კონტინენტის გუნდები პირველ ეტაპზე ერთმანეთისგან დაეცილებინა. ახლა ასეთი რამ აღარ გამოვა, რადგან ევროპიდან ფინალისტთა შორის 15 გუნდია. გამოდის, რომ შვიდ ჯგუფს „ბებერი კონტინენტის" ორ-ორი წარმომადგენელი ეყოლება.

დანარჩენი ფინალისტები, ოთხი სამხრეთ ამერიკიდან (ბრაზილიის გარდა), ოთხი ან ხუთი აფრიკიდან, სამი კონკაკაფიდან, სამი აზიიდან და ერთიც ავსტრალიასა და ირანს შორის გამარჯვებული, კენჭისყრის კალათებში საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა გადაწყვეტილების თანახმად განაწილდებიან.

ახლა იმის შესახებ, თუ რატომ არ სცადა ფიფამ ყოველთვიური რეიტინგის გათვალისწინება წინა ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრისას. საქმე ის გახლავთ, რომ ფიფა — კოკა კოლას რეიტინგი 1993 წლის აგვისტოში დაინერგა და ბუნებრივია ერთ წელიწადში მისი შედეგების განხილვა ნაადრევი იქნებოდა. დღეს, როდესაც რეიტინგის ამოქმედებიდან უკვე ოთხი წელიწადია გასული, ფიფა თვლის, რომ მისთვის ყურადღების მიქცევა უპრიანია.

# პარიზის მიწის საიდუმლოებანი

საოცრებაა! „სტად დე ფრანსზე" ბალახი მწვანე არ არის. არადა, ბალახი სწორედ რომ მწვანე უნდა იყოს.

„სტად დე ფრანსი", მოგეხსენებათ, ის სარბიელია, რომელსაც აშენებენ და რომელზეც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი უნდა გაიმართოს.

„სტად დე ფრანსის" საზეიმო გახსნამდე ორ თვეზე ნაკლებია დარჩენილი, ნიადაგის ექსპერტი, ეკოლოგისტი და რაგბის ვეტერანი კი უკმაყოფილონი არიან იმით, რაც დღესაა.

რობინ დე ბოას ეკოლოგიური ჯგუფი ამტკიცებს, რომ მოედანზე საფარქვეშა შხამი მოქმედებს. სტადიონი აშენებულია იქ, სადაც ადრე გაზის ფაბრიკა იყო. ეს ფაბრიკა მოგვიანებით ჰიდროკარბონების საწყობად აქციეს.

გუშინ, „ლე პარიზიენისთვის" მიცემულ ინტერვიუში სპორტულ ნიადაგთა სპეციალისტი ამბობს: — ამ სტადიონზე ისეთი მიკროკლიმატია, რომელიც ბალახს გახარებაში ხელს უშლის — მისი თქმით, სტადიონის სახურავი ჯანსაღ ფოტოსინთეზს უშლის ხელს, ანუ საქმე გვაქვს იმავე პრობლემასთან, რომლის წინაშეც დგას მილანის „სან სიროს" სტადიონი და „აიაქსის" ახალი „ამსტერდამ არენა".

თავის მხრივ მშენებლები ამტკიცებენ, რომ მოედანი ნიადაგის სიღრმისგან საგანგებო მემბრანითაა გამოყოფილი და ეს მემბრანა საფარს შესაძლო დაბინძურებისგან იცავს. მათ უმაღლესი ხარისხის ბალახის გამოყვანას დიდი შრომა დაახარჯეს, ჩაატარეს მეცნიერული გამოკვლევები მის წინააღმდეგობის უნარზე წვიმიან ამინდში.

დღეს კი ბალახი, რომელიც სპეციალურად გამოიყვანეს პარიზის მეორე ბოლოში მოწყობილ სათბურში, დაგებამდე, ანუ სექტემბრამდე წელიწადნახევრით ადრე, დასუსტებულია. სინათლისა და ვენტილაციის ნკლებობის გამო ის ზაყვითლებულიცაა.

„სტად დე ფრანსზე" პირველი თამაში 28 იანვარსაა დანიშნული. იმ დღეს საფრანგეთის ეროვნული გუნდი ესპანეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

„სტად დე ფრანსი", რომელიც პარიზის გარეუბან სენტ დენისში მდებარეობს, 80 ათასიანია. მისი მშენებლობა 7,5 მილიონი დოლარი დაჯდა, გეგმის თანახმად, მან უნდა უმასპინძლოს მსოფლიოს ჩემპიონატის 9 შეხვედრას, მათ შორის, გახსნის ცერემონიალს 10 ივნისს და ფინალს 12 ივლისს.

გარდა ამისა, „სტად დე ფრანსი" საფრანგეთის მორაგბეთა ნაკრების სარბიელადაც არის ჩაფიქრებული. მორაგბეები ბალახს ტრადიციულად დიდ გამოცდას უწყობენ ხოლმე.

საფრანგეთისა და ესპანეთის საფეხბურთო ნკრებების მატჩიდან ათ დღეში „სტად დე ფრანსზე" საფრაგეთისა და ინგლისი მორაგბეთა შეხვედრაც გაიმართება.

# ინგლისის მერვე უცხოელი

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპური" პირველი ინგლისური კლუბია, რომელმაც მეორე უცხოელი მწვრთნელი ჩაიყენა სათავეში. ოთხშაბათს, „სპურზმა" გუნდის ახალ ხელმძღვანელად შვეიცარიელი კრისტიან გროსი დანიშნა. გროსმა თანამდებობაზე ჯერი ფრენსისი უნდა შეცვალოს.

„ტოტენჰემის" პირველი უცხოელი მწვრთნელი არგენტინელი ოსვალდო არდილესი გახლდათ. არდილესმა, რომელიც ფეხბურთელობისას თავად იყო „სპურზის" წევრი, პოსტი სამი წლის წინ სწორედ იმ ფრენსისს დაუთმო, რომელიც ახლა გროსმა შეცვალა. საინტერესო დამთხვევაა: სამი წლის წინ ფრენსისმა არდილესის თანამდებობა ნოემბერში ჩაიბარა, ახლაც ნოემბერია.



კრისტიან გროსის პირველი ვიზიტი უაით ჰართ ლაინის სტადიონზე

43 წლის გროსი „ტოტენჰემში" მუშაობას ზეგ არა და შემდეგი ორშაბათიდან შეუდგება, მას მერე, რაც ციურიხის „გრას-ჰოპერს" ორ თამაშსაც ჩაატარებინებს, ალბათ ეს დრო იმისთვისაა საჭირო, რომ ქართველი ლეგიონერები, გიორგი ნემსაძისა და მიხეილ ყაველაშვილის გუნდმა, „გრასჰოპერმა" თავის მხრივ ახალ ხელმძღვანელს მიაგნოს. აღსანიშნავია, რომ კრისტიან გროსი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში მერვე საზღვარგარეთელი მწვრთნელია, თანაც ამ რვიდან, სამს, ქვედა ლიგების გუნდები ჰქონდა ჩაბარებული. ასე რომ, გროსი მეხუთე უცხოელია, ვინც ალბიონის უმაღლეს საფეხბურთო ეშელონში იმუშავებს.

ახლა ზემოხსენებული უცხოელები ჩამოვთვალოთ:

*არსენ ვენგერი* (არსენალი. მუშაობს 1996 წლის სექტემბრიდან). „არსენალში" მისვლამდე წვრთნიდა ფრანგულ „მონაკოსა" და იაპონურ „გრამპუს ეითს". ლონდონში მისი ჩასვლის შემდეგ „არსენალი" უფრო შემტევი გუნდი გახდა. ამბობენ, მისებრ შემტევი პრემიერლიგაში სხვა არ არისო. გუნდმა საშუალო, არაფრისმთქმელ თამაშს თავი ანება და ახლანდელ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედს" ჩემპიონის ტიტულს ეცილება.

*რუუდ გულიტი* (ჩელსი. მუშაობს 1996 წლის მაისიდან). გულიტმა „ჩელსის" ბოსის თანამდებობა მას მერე დაიკავა, რაც უწინდელი ხელმძღვანელი გლენ ჰოდლი გუნდიდან წავიდა და ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანამდებობა ჩაიბარა. გასულ სეზონში ჰოლანდიელი გახდა პირველი უცხოელთაგანი, ვინც ქვეყნის თასი მოაგებინა თავის გუნდს. თასის ფინალში „ჩელსიმ" „მიდლსბროს" აჯობა 2:0. ეს ტიტული ლონდონის პრესტიჟული უბნის გუნდისთვის ბოლო 26 წელიწადში პირველი გახლდათ. ფრანგი კოლეგის, ვენგერის მსგავსად გულიტმა ბევრი უცხოელი მოთამაშე შემოიკრიბა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ჰეგემონიის დამხობას ცდილობს.

*იოჟეფ ვენგლოში* (ასტონ ვილა. 1990 ივლისი — 1991 მაისი). სლოვაკი ვენგლოში გახლდათ პირველი უცხოელი სპეციალისტი, რომელიც ინგლისის უმაღლესი ლიგის გუნდს ჩაუდგა სათავეში. ვენგლოში, გულიტის მსგავსად მაშინ მივიდა თანამდებობაზე, რაც მისი წინამორბედი, ამ შემთხვევაში გრემ ტეილორი ნაკრების მწვრთნელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ვენგლოშს უდიდესი გამოცდილება ჰქონდა, გახლდათ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ხელმძღვანელი მსოფლიოს ჩემპიონატზე, „ვილაში" ათთვიანი მუშაობის შემდეგ დაასკვნა, რომ კაპიტალისტური და სოციალისტური გუნდების გაძღოლას შორის უდიდესი სხვაობაა და გადადგა. იმ სეზონში „ასტონ ვილა" ძლივს გადარჩა ლიგიდან გავარდნას.

*იან სორენსენი* (დანიელი, მუშაობს 1997 წლის ივნისიდან). სორენსენი ფეხბურთელობისას „ბრიუგეში", „აიაქსსა" და „ფეიენოორდში" თამაშობდა. რვა წლის განმავლობაში ფეხბურთთან საერთო არაფერი ჰქონია, მუშაობდა ვაჭრობის სფეროში, გასულ ზაფხულს კი ნაცნობ საქმიანობას მიუბრუნდა. მისი გუნდი დღეს, მეორე დივიზიონში ბოლოდან მესამეა.

*იან მოლბი* (სუონსი. 1996 თებერვალი — 1997 ოქტომბერი). „აიაქსისა" და „ლივერპულის" ყოფილი ფეხბურთელი მოლბი 1996 წლის თებერვალში „სუონსის" მოთამაშე მწვრთნელი გახდა. ამ ამბიდან სამ თვეში გუნდი მესამე დივიზიონში გავარდა. გასულ ზაფხულს, მეორე დივიზიონში დასაბრუნებელ პლეი-ოფს კი მიაღწია, მაგრამ „ნორთჰემპტონთან" 0:1 წააგო. შემდეგ, ოქტომბერში, იმის გამო, რომ გუნდი ბოლოდან მეხუთე ადგილზე ჰყავდა, დანიელი თანამდებობიდან დაითხოვეს.

*ოსვალდო არდილესი* (სუინდონი. 1989 ივნისი — 1991 მარტი, ნიუკასლი. 1991 მარტი — 1992 თებერვალი, ვესტ



არდილესი — ტოტენჰემის პირველი უცხოელი მწვრთნელი

ბრომვიჩი. 1992 მაისი — 1993 ივლისი, ტოტენჰემ ჰოთსპური. 1993 ივლისი — 1994 ნოემბერი). არგენტინელი ვარსკვლავი ფეხბურთელობის დროს „სპურზის" ქომაგების სათაყვანებელი პიროვნება გახლდათ, მაგრამ მწვრთნელობისას ასე არ იყო. სამწვრთნელო კარიერა არდილესმა „სუინდონში" დაიწყო, გუნდი ზედა ლიგაში გადაიყვანა კიდეც, მაგრამ შემდეგ კლუბის ფინანსური საქმეები აირია. შემდეგ, წელიწადზე ნაკლები დრო „ნიუკასლში" დაჰყო, საიდანაც „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" მიაშურა და ისიც ზედა ლიგაში აღაზევა. „სპურზში" არდილესი 1993 წლის ივლისში მივიდა, მაგრამ 16 თვეზე მეტი ვერ გაჩერდა.

*დენი ბერგარა* (სტოკპორტ ქაუნთი. 1989 მარტი — 1995 აპრილი). ურუგვაის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა „სტოკპორტი" ექვსი წლის განმავლობაში ოთხჯერ მიიყვანა „უემბლიზე", ძველი დაყოფით მეოთხე დივიზიონიდან პირველის პლეი-ოფამდე აღაზევა. 1995 წლის აპრილში კლუბის თავმჯდომარესთან, ბრენდენ ელვუდთან ისე იჩხუბა, გასაშველებლად პოლიციის გამოძახება გახდა საჭირო. ბუნებრივია, ბერგარამ თანამდებობა დასტოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მესამე მწვერვალის შტურმი?

უკრაინული ფეხბურთის ისტორია გასული საუკუნის დამლევიდან იღებს სათავეს. სწორედ მაშინ შეიქმნა პირველი სამოყვარულო კლუბები. თუმცა სპორტის ეს სახეობა იმ დროს მაინც არაორგანიზებულად ვითარდებოდა. საბჭოთა კავშირის დაარსებასთან ერთად ფეხბურთმა უფრო ძლევამოსილად იყწო სვლა. მაშინდელი ბელადები ხომ დიდ ყურადღებას აქცევდნენ ფიზკულტურასა და სპორტს.

თავდაპირველად, საფეხბურთო უკრაინაში ქალაქი ხარკოვი დომინირებდა. პირველი სპორტსკოლა და მეტ-ნაკლებად სერიოზული კლუბი სწორედ აქ ჩამოყალიბდა. მაგრამ მერე და მერე სხვა უკრაინული კლუბებიც მოძლიერდნენ.

კიევის „დინამოზე" საუბრისას ბევრი რამ გაგახსენდება. გუნდი, რომელიც ყველაზე მეტჯერ, 13-ჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი; გუნდი, რომელმაც მოკავშირე რესპუბლიკების კლუბებს შორის ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი ევროპულ სარბიელზე; გუნდი, რომლის სხვადასხვა თაობის მოთამაშენი ხშირად წარმოადგენდნენ „დერჟავის" ნაკრების ბირთვს; გუნდი, რომელიც თვითმყოფადი სტილით მილიონობით გულშემატკივრის სიმპათიებს იმსახურებდა წლების მანძილზე. ბოლოს და ბოლოს, არც მეორე მსოფლიოს ომის დროინდელი „დინამოს" გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ გამართული ისტორიული და ტრაგიკული მატჩის დავიწყება ივარგებს, რომელიც დინამოელთა გამარჯვებით დასრულდა. ამ საარაკო გმირობას ოთხი კიეველი ფეხბურთელის სიცოცხლე შეეწირა. მარცხით გაცოფებულმა ნაცისტებმა შეხვედრის შემდეგ ისინი სიკვდილით დასაჯეს.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ალბათ ესეც კმარა იმის დასტურად, რომ კიევის „დინამო" განსაკუთრებულ ფენომენს წარმოადგენს. კიეველთა ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის ისტორიას სამ ეტაპად დავყოფდი. პირველი — 1936 წლიდან 70-იან წლებამდე; მეორე 70-იანი წლები; მესამე — 80-იანი წლები. 90-იანი? — შეიძლება იკითხოს ვინმემ. ეს უკვე მეოთხე, თვისებრივად განსხვავებული პერიოდია და ცალკე საუბრის თემაა. ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი, თქვენის ნებართვით, მოკლედ გავიხსენებ წინა ეტაპებს.

ყველაზე ადრეული, დანარჩენთაგან ერთგვარად განსხვავებულია. ვგულისხმობ არა იმდენად ფეხბურთს, რამდენადაც სხვა რამეს. მიზანი! სპორტს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საქმეს, მიზანი და სტიმული სჭირდება. საბჭოთა გუნდების მიზნები კი მაშინ შეზღუდული იყო. ამ მხრივ გამონაკლისს არც კიევის „დინამო" წარმოადგენდა.

მაქსიმუმი საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა იყო. ნებისმიერი ფეხბურთელი საზღვარგარეთ ეროვნული გუნდის ფორმამორგებული თუ გავიდოდა (ცხადია, იყო ამხანაგური თამაშებიც). მაშინაც კი, როდესაც ევროპული გუნდების ტურნირების ჩატარება დაიწყო, ჩვენ, პოლიტიკურ მიზეზთა გამო, კვლავ იზოლაციაში ვიმყოფებოდით, ხოლო გუნდს, რომელსაც მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში აქვს თავის გამოჩენის საშუალება და მოკლებულია საერთაშორისო სარბიელს, არ შეიძლება სრულყოფილი ეწოდოს. სხვა მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო, სტაბილურობა და სხვადასხვა ჯილდოები — გარანტირებული. ეს პერიოდი სხვა მხრივაც არის ნიშანდობლივი. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი კიევის „დინამოს" უკრაინული ფეხბურთის ლიდერად ჩამოყალიბებას. წლების განმავლობაში ეს აზრი სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა და ბოლო-ბოლო უდავო ჭეშმარიტებად იქცა: კიევის „დინამო" უკრაინული ფეხბურთის ფლაგმანია.

შეიძლება ითქვას, რომ 70-იანი წლებიდან ახალი ერა იწყება. ეს გახლავთ ვალერი ლობანოვსკი-მწვრთნელის ერა. ბრწყინვალე ფეხბურთელები, თანამედროვე იდეებით აღჭურვილი მწვრთნელი, შეკრული კოლექტივი, პლუს უკრაინის მთავრობის უმაღლესი ეშელონების ყოველგვარი დახმარება და ხელშეწყობა. სხვა რა არის საჭირო უმაღლესი კლასის გუნდის ჩამოსაყალიბებლად, ალბათ, მხოლოდ მცირე იღბალი. შედეგმაც არ დააყოვნა. ხალხმა იზეიმა კიეველთა უდიდესი მიღწევა — ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი, ხოლო ოდნავ მოგვიანებით ევროპის სუპერთასიც. კიევის „დინამო" თავისი დიდების მწვერვალზეა.

80-იანი წლები. ფეხბურთი ძალიან სწრაფად ვითარდება და, რაც გუშინ ყველას უკვირდა, დღეს ჩვეულებრივი ამბავია. ახალი გამარჯვებებისთვის ახალი სისხლი და ახალი იდეებია საჭირო. ტალანტებით მდიდარ უკრაინულ ფეხბურთს ახალი სისხლის გალება არ უნდა გაუჭირდეს, გუნდში ახალგაზრდა და ნიჭიერი თაობა მოდის. ახალი იდეები? რამდენიც გნებავთ. და არა მარტო ახალი, არამედ დროული, ეფექტური და ბრძნული. ეს უკვე აღარავის უკვირს, რადგან მესაჭე ადგილზეა — ვალერი ვასილის ძე ლობანოვსკი. და იწყება კიდევ ერთი აღმასვლა: კვლავ გამარჯვებები, ოვაციები, შეხვედრები და, რა თქმა უნდა, მომავალთან დაკავშირებული ყველაზე თამამი იმედები. შედეგი ისევ არ აყოვნებს. კიევის „დინამო" მეორედ ლაშქრავს უკვე ნაცნობ მწვერვალს. კლუბს და მის თავკაცს, ისევე როგორც ათიოდე წლის წინ, ხელთ უპყრიათ ევროპის თასების მფლობელთა თასი.

საბჭოთა კავშირის დაშლა მეოცე საუკუნის უდიდესი პოლიტიკური მოვლენა გახდა. დედამიწის ტერიტორიის ერთმა მეექვსედმა აშკარა ტრანსფორმაცია განიცადა. ეს შეეხო ცხოვრების ყველა სფეროს, ეს შეეხო სპორტს და, ბუნებრივია, ფეხბურთსაც. დაინგრა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, ხოლო მის ნანგრევებზე თხუთმეტი პირველობა აღმოცენდა. სხვა ქვეყანათა ლიდერების შესახებ ბევრს ვერაფერს გეტყვით, კიევის „დინამო" კი, მეტი რომ არ ვთქვათ, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა.

„დინამოს" რეგრესი აშკარაა", „წინ სიცარიელეა", „ვგლოვობთ „დინამოს" დაუძლურების გამო", წერდნენ უკრაინული გაზეთები. მაგრამ, საბედნიეროდ, გამოჩნდა ხალხი, რომელთაც წუწუნის და მოთქმის გარდა საღად აზროვნების უნარიც შემორჩათ. შექმნილ მძიმე სიტუაციაში მათ არაბეთს მიაპყრეს თვალი და უკრაინიდან რამდენიმე წლის წინ წასული სპეციალისტი მოიწვიეს. ისევ და ისევ ლობანოვსკი! თითქოს თანამემამულეთაგან დროებით მივიწყებული, მაგრამ თავის თავში უწინდებურად დარწმუნებული და უაღრესად ენერგიული.



ვალერი ლობანოვსკი კიევის „დინამოს" მთავარი მწვრთნელი დღეს და 20 წლის წინ



მცირე ხნით უკან დავიხიოთ და გავიხსენოთ, რომ ამ ნაბიჯს წინ უძღოდა კიევის „დინამოს" საყოველთაოდ გახმაურებული დისკვალიფიკაცია. როგორც ჩანს, სწორედ ამ უმოქმედობის და ნიჰილიზმის წელიწადში წარმოიშვა ეს იდეა და მიიღეს ამ ეტაპისთვის ალბათ ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება. ახლა ბევრი იბრალებს, რომ სწორედ მან გამოთქვა პირველმა ეს აზრი. კაცმა რომ თქვას, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი იყო ის, რომ მაშინ ლობანოვსკის ნალში ამოქმედდა.



დინამო '97, რომელმაც უკვე ააფორიაქა საფეხბურთო ევროპა

მოდით, ამ არცთუ შორეულ წარსულს დღევანდელი გადასახედიდან შევხედოთ. განა ვინმე წარმოიდგენდა, რომ ესოდენ ბრწყინვალე შედეგი ასე მალე მიიღწეოდა, რომ ახალგაზრდა, გამოუცდელი კიეველი ფეხბურთელები ასე რიხიანად და დაუნდობლად დაიფრენდნენ ევროპული ფეხბურთის გრანდებს. თანაც ისე, თითქოს რომელიღაც უსუსური ჩემპიონატის აუტსაიდერებს ეთამაშებიანო. ალბათ ვერავინ. მაგრამ ეს ფაქტი და წარმატება ცხადზე ცხადია. წარმატება, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა. მაშ ასე:

## ფაქტორი №1

ეს დაწყებული აზრის გაგრძელებაა. ვალერი ლობანოვსკი. ლობანოვსკიმ კიევში ჩამოსვლისთანავე განაცხადა:

— ახლა ყველა იმას მეკითხება, რის გაკეთებას ვაპირებ და როგორი პროგრამა გამაჩნია. ამის მოყოლა რომ დავიწყო, მაშინ სამუშაო დრო არ დამრჩება. ამიტომ გეტყვით მხოლოდ ერთს: ჩვენ არ ვვყავს გუნდში ვარსკვლავები. აქედან გამომდინარე, უნდა შევქმნათ გუნდი-ვარსკვლავი, რომელსაც ყველაზე მაღალი მიზნების მიღწევა შეეძლება.

ორიოდე კვირის წინ ერთმა კირკიტა ჟურნალისტმა ვალერი ვასილიჩს ეს ფრაზა მოაგონა და ჰკითხა, აღიარებთ, რომ მაშინ შეცდითო? თან დასძინა, რომ შეცდომაში იგი ამჟამად ევროპაში ერთობ პოპულარულ ანდრეი შევჩენკოს გულისხმობდა. ლობანოვსკიმ არც კი უპასუხა. მას მხოლოდ ღიმილი გამოეხატა სახეზე. ამ ღიმილში აშკარად იგრძნობოდა კონტრკითხვა: „მერედა, ვის ხელში ჩამოყალიბდა შევჩენკო ვარსკვლავად?" თუმცა ეს ხმამაღლა არ თქმულა.

— მე ამ ადამიანის დიდად მადლიერი ვარ. არა მგონია, რომელიმე მწვრთნელს ჩემთვის ამდენი მოეცა. ლობანოვსკის მოსვლამდე ბოროტი ენები ამბობდნენ, მისი მოსვლით დიქტატი დამყარდებაო. არაფერი ამგარი. გუნდში მკაცრი, მაგრამ საქმიანი ატმოსფერო სუფევს. ასე რომ, თუკი მე, როგორც ფეხბურთელი რამედ ვღირვარ, ამაში ვალერი ვასილიჩის უდავოდ დიდი დამსახურებაა. (ანდრეი შევჩენკო).

თავდაპირველად ლობანოვსკი არა მარტო კიევის „დინამოს", არამედ ეროვნული გუნდის მწვრთნელიც უნდა ყოფილიყო. მან ნაკრებთან ერთად საწვრთნელი შეკრებაც კი ჩაატარა, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა. რთულია იმის თქმა, რა იყო ამის ჭეშმარიტი მიზეზი. ოფიციალურად კი მწვრთნელმა განაცხადა, რომ ორი ესოდენ საპასუხისმგებლო თანამდებობის შეთავსება ძალიან ძნელია. ადრე ხომ ხერხდებოდა შეთავსება? — იკითხავს ვინმე.

— ადრე სხვა დრო იყო. ახლა უმაღლესი კლასის გუნდის ჩამოსაყალიბებლად გაცილებით მეტი შრომაა საჭირო — პასუხობს ლობანოვსკი.

ალბათ, არც ასაკის უგულებელყოფა იქნება გამართლებული, თუმცა ეს მხოლოდ ჩემი პირადი აზრია.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ლობანოვსკი თავიდან დიდი ენთუზიაზმით არ უზიარებდა ჟურნალისტებს თავის სამოქმედო პროგრამას. იგი სამართლიანად ფრთხილობდა. როგორც ჩანს, შიშობდა, რომ წარმოიშობოდა ათასი კითხვა და ათასი „რატომ?" დაიწყებოდა მისი გეგმების საჯარო განსჯა, ეს კი მწვრთნელისთვის დიდი ვერაფერი სიამოვნებაა. მაგრამ დროთა განმავლობაში, პრესის წარმომადგენლებთან კონტაქტებისას მან ნელ-ნელა მაინც გადმოგვიშალა თავისი ნააზრევი. ლობანოვსკის კონცეფცია რამდენიმე პუნქტისგან შედგებოდა. მათგან ერთ-ერთი უმთავრესია — ფიზიკური მომზადება. ამასთან დაკავშირებით ერთ საყურადღებო მაგალითს მოვიყვან: როგორც ზემოთ ვთქვი, ლობანოვსკიმ უკრაინის ეროვნული გუნდის ერთი საწვრთნელი შეკრება ჩაატარა. ტრადიციულად, ნაკრების მოთამაშეთა უმეტესობას კიეველები შეადგენდნენ, თუმცა იქ სხვა გუნდების წარმომადგენლებიც იყვნენ. პირველივე ვარჯიშის შემდეგ არაქათგამოცლილმა არადინამოელმა ფეხბურთელებმა გაკვირვება ვერ დამალეს:

— ჩვენ რა, ყოველდღე ასე ვივარჯიშებთ? — იკითხეს მათ.

ლობანოვსკის დატვირთვებს ასე თუ ისე მიჩვეულმა დინამოელებმა ცინიკურად ჩაიცინეს.

სათანადო ფიზიკური მომზადების გარეშე ფეხბურთელს მოედანზე არაფერი ესაქმება. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გავალებენ რაიმის გამოძერწვას, ამისთვის საჭირო თიხა კი ან არა გაქვთ, ან ცოტა გაქვთ. არაფერი გამოვა! დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა აქაც. მე არ მჭირდება მოედანზე დაღლილი ფეხბურთელი. 90, თუ საჭიროა 120 წუთის განმავლობაში მოთამაშე შეუფერხებლად უნდა მოძრაობდეს და იბრძოდეს. დაღლილობა მას ხელს არაფერში არ უნდა უშლიდეს. (ვალერი ლობანოვსკი).

მეორე პუნქტად ლობანოვსკის ტაქტიკური მრავალფეროვნება ესახება. მას წარმოუდგენლად მიაჩნია ის, რომ მაღალი კლასის გუნდს ერთი, ან ორი ტაქტიკური ვარიანტი ჰქონდეს. ამ ვარიანტთა ოდენობა გაცილებით მეტი უნდა იყოს. თანაც ისინი რამდენჯერმე უნდა იცვლებოდეს თითოეულ მატჩში, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალება არის.

— ტაქტიკურ მონახაზთან ერთად განუწყვეტლივ უნდა იცვლებოდეს თამაშის ტემპიც — თვლის ვალერი ვასილიჩი, — ასეთი არითმია ყოველთვის დიდ პრობლემებს უქმნის მოწინააღმდეგეს.

ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ვალერი ლობანოვსკის ჰკითხეს: ის, რასაც თქვენ ქადაგებთ, საყოველთაოდ ცნობილი აქსიომებია. ხომ არ გავიწყდებათ, რომ მათი განხორციელება ყველას არ შეუძლია?

— ვერ გეტყვით, სხვებს რა შეუძლიათ. მე კი ვთვლი, რომ ჩვენ ეს აუცილებლად გამოგვივა. რა გზებით, ეს ალბათ ჩვენი, მწვრთნელების და ფეხბურთელების საქმეა. ასე რომ, სანერვიულო არაფერია — უპასუხა მწვრთნელმა.

## ფაქტორი №2

კლუბის ხელმძღვანელობა და უკრაინის მთავრობა ძალიან ნაყოფიერად ვთანამშრომლობდით, ვთანამშრომლობთ და ვითანამშრომლებთ კიდეც. ამის შედეგად ჩვენ შევძლებთ იმ კრიზისის დაძლევას, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში მოსვენებას არ აძლევდა ჩვენი ფეხბურთის გულშემატკივრებს — განაცხადა ერთხელ კიევის „დინამოს" პრეზიდენტმა, გრიგორი სურკისმა.

რას გულისხმობდა სურკისი? საქმე ისაა, რომ რამდენიმე წლის წინ უკრაინაში დაისახა ეროვნული ფეხბურთის განვითარების კაპიტალური გეგმა და როგორც შემდგომ გამოჩნდა, ეს გეგმა ნამდვილად ქმედითუნარიანი აღმოჩნდა.

მიღებული გადაწყვეტილების თანახმად ეროვნული ფეხბურთის აღორძინების საფუძველი ერთი კლუბი უნდა გამხდარიყო. ეს კლუბი კი, რა თქმა უნდა, კიევის „დინამო" იყო. რა იყო, ამისთვის საჭირო, გარდა ძლიერი შემსრულებლებისა? რეფორმის ავტორებს მშვენივრად ესმოდათ, რომ მტკიცე ფინანსური ბაზის გარეშე ძლიერი, კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ, კლუბის ხელმძღვანელობის და ქვეყნის მთავრობის ინტენსიური კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა, რომ „დინამო" დაფინანსებულიყო უშუალოდ ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, დაფინანსების მეორე, მძლავრ წყაროდ იქცნენ ძლიერი სპონსორები. ამ საქმეში მათი ინვესტიციები განაპირობეს არა მხოლოდ პატრიოტულმა გრძნობებმა, არამედ წმინდა კომერციულმა ინტერესებმაც, რადგან ეს ფირმები და საწარმოები ნაწილობრივ თავისუფლდებიან სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადისგან, რაც მათთვის, უდავოდ, მომგებიანია.

ახალი არაფერია იმაში, რომ მძაფრი კონკურენციის გარეშე არ არსებობს დიდი კლუბი. საამისოდაც სასწრაფოდ მიიღეს ქმედითი ზომები, რაც გამოიხატა ქვეყნიდან ფეხბურთელთა მიგრაციისთვის ხელის შეშლაში.

— ჩვენი ფეხბურთელები არ უნდა გარბოდნენ მალტაზე, კვიპროსში. ეს დამღუპველად იმოქმედებს შინაურ ჩემპიონატზე. მოთამაშის საზღვარგარეთ გაშვებას იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ მას ძლიერი საფეხბურთო ქვეყნის ძლიერ გუნდში იწვევენ. ფეხბურთელი უკრაინიდან მხოლოდ ასეთ გამონაკლის შემთხვევაში უნდა მიდიოდეს. (უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვიქტორ ბანიკოვი).

აქედან გამომდინარე, უკრაინაში შეიქმნა რამდენიმე კლუბი („შახტიორი", „დნეპრი" და სხვანი), რომელთაც ჯერჯერობით უჭირთ კიევის „დინამოსთვის" კონკურენციის გაწევა, მაგრამ სპარინგ-პარტნიორებად კი მართლაც გამოდგებიან და ეროვნულ ჩემპიონატს დაძაბულობას მატებენ.

## ფაქტორი №3

ალბათ, ყოველივე ზემოთქმულს აზრი არ ექნებოდა მაღალი კლასის ფეხბურთელთა გარეშე. ფეხბურთელებზე ძალიან ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ არა მგონია, ეს საჭირო იყოს. ისინი მოედანზე არიან და მათი ავ-კარგიანობა ყველასთვის ნათელია. შეიძლება, მათი სახელები ჯერ ისე არ ქუხს, როგორც მათი წინამორბედებისა, სახელოვანი დინამოელებისა, მაგრამ შევჩენკო, შავკოვსკი, რებროვი და სხვები ჯერ ხომ ძალიან ახალგაზრდები არიან და ყველაფერი წინა აქვთ. რაც შეეხება მათ საფეხბურთო თვისებებს, აქაც ყველაფერი წესრიგშია. ახალგაზრდა კიეველთა ოსტატობა კარგად არის შეზავებული პატრიოტიზმთან. ნებისმიერ საერთაშორისო შეხვედრაში ფეხბურთელები არა სათამაშოდ, არამედ საბრძოლველად გადიან და მშვენივრად ესმით, რომ მათ უკან სამშობლო დგას.

მოკლედ, 90-იანი წლების უკრაინაში მორიგი საფეხბურთო ბუმია. ყოფითი პრობლემებისგან გატანჯულ ხალხს ეს შესანიშნავი თამაში მძიმე ყოველდღიურობას ავიწყებს და უდიდეს სიხარულს ანიჭებს.

თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, „დინამოს" 70-იან და 80-იან წლებთან შედარებით ნაკლები ფოსტა არა აქვს. წერენ სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანები და თითოეულ წერილში მადლიერების გამომხატველი სიტყვებია.

ერთი სიტყვით, დინამოელებს და მათ გულშემატკივრებს მოსაწყენად არ სცალიათ. შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ უკრაინაში ვალერი ლობანოვსკის თავკაცობით მესამე სუპერკლუბი ყალიბდება?

სპეციალისტები ასეთი შეფასებისას საკმაოდ ფრთხილობენ, მაგრამ გულშემატკივრები უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილნი.

რა გაეწყობა, დავიცადოთ. დრო ყველაფერს გამოაჩენს.

**საინფორმაციო სააგენტო ზეა**
**კიევიდან, საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

# ჯაფარიძე, ჩიქოვანი, მაჭავარიანი...



ასეთია სპორტული ასპარეზობის ბედი. დრო მოვა და ვნებათაღელვა, ნერვიულობა, ლამაზი ტყორცნები და ნახტომები, დრიბლინგი და სწრაფი გარღვევა ციფრებში დაფიქსირდება, მხოლოდ მაყურებლის, გულშემატკივრის მეხსიერებაში დარჩება თამაშის დაუვიწყარი პერიპეტიები. ვენდოთ თუ არა ციფრებს? რა თქმა უნდა, ბოლომდე არა, რადგან ყველა ციფრს თავისი განმარტება აქვს, მაგრამ უამისოდაც არ შეიძლება, რადგან პირველი და ბოლო ადგილები, გამარჯვებები და დამარცხებები საბოლოოდ რიცხვებში ჰპოვებენ ასახვას. დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე და ჩვენც გვინდა, სტატისტიკური თვალსაზრისით გავიხსენოთ ჩვენი საკალათბურთო ცხოვრების ერთი პატარა მონაკვეთი.

საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში გუნდებმა ისეთი შედეგიანობა აჩვენეს, ნბა-ს კლუბებსაც შეშურდებოდათ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იქ თამაშისთვის 48 წუთია გამოყოფილი, ჩვენთან კი 40. ეს უნდა გვახარებდეს, რაც უნდა იყოს, ამდენ ბურთს კალათში ჩაგდება უნდა, მაგრამ უნდა გვაშფოთებდეს კიდეც — ესე იგი, დაცვაში თამაშისას მთლად კარგად არაა საქმე. ისევ ციფრები მოვიშველიოთ.

**ჩაგდებული ბურთები**

| | |
|---|---|
| აზოტი | 1265 |
| დინამო | 1259 |
| სდასუ | 1200 |
| ვითა | 1158 |
| თსუ | 1133 |

დაცვაში ყველაზე უკეთ სდასუ-ს კალათბურთელები გამოიყურებოდნენ:

**გაშვებული ბურთები**

| | |
|---|---|
| სდასუ | 930 |
| აზოტი | 955 |
| ვითა | 982 |
| დინამო | 991 |
| თსუ | 1005 |

თავდასხმაში და დაცვაში ყველაზე სუსტი ხუთეულები

**ყველაზე ცოტა ჩაგდებული**

| | |
|---|---|
| მერანი | 753 |
| რიონი | 845 |
| დინამო 2 | 885 |
| კოლხა | 982 |
| მაკაბი | 995 |

**ყველაზე მეტი გაშვებული**

| | |
|---|---|
| მერანი | 1231 |
| ასკ | 1191 |
| რიონი | 1132 |
| კოლხა | 1123 |
| დინამო 2 | 1088 |

თითქმის ყველა გუნდმა გადალახა ასქულიანი ზღვარი მატჩში, მათ შორის — უიმედო აუტსაიდერმა „მერანმაც". მხოლოდ ორმა გუნდმა ვერ ჩააგდო თამაშში 100 ქულა: ქუთაისის „რიონმა" და თბილისის „შევარდენმა". ასქულიან ზღვარს გადააბიჯეს:

| | |
|---|---|
| აზოტმა | 9-ჯერ |
| დინამომ | 8-ჯერ |
| სდასუმ | 6-ჯერ |
| ვითამ | 5-ჯერ |
| თსუმ | 5-ჯერ |

ერთ თამაშში ყველაზე მეტი ქულა დინამოელებმა ჩააგდეს. ამ მაჩვენებლის საუკეთესო შედეგები ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 154 | დინამომ – მერანთან |
| 125 | აზოტმა – მერანთან |
| 121 | დინამომ – ასკ-თან |
| 120 | ვითამ – ასკ-თან |
| 120 | სდასუმ – დინამო 2-თან |
| 120 | თსუმ – მერანთან |
| 120 | დინამო 2-მა – რიონთან |

„დინამო" — „მერანის" შეხვედრა ყველაზე უხვქულიანი იყო. შეიძლება ითქვას, ამ მატჩში დაცვის მაგვარისთვის არც ერთ გუნდს არ მიუმართავს. ყველაზე შედეგიანი მატჩები:

| | | |
|---|---|---|
| 268 | (154:114) | დინამო – მერანი |
| 216 | (113:103) | აზოტი – თსუ |
| 208 | (109:99) | ვითა – სდასუ |
| 207 | (107:100) | ვითა – ასკ |
| 206 | (110:96) | თსუ – სტუ |

ერთი გუნდის უპირატესობა შარშანდელ ჩემპიონატთან შედარებით ბევრ მატჩებში აღარ იყო ისე თვალშისაცემი, თუმცა, ეროვნული პირველობისთვის შეუფერებელი სხვაობა მაინც დაფიქსირდა. ყველაზე დიდი სხვაობა:

| | | |
|---|---|---|
| 74 | (125:51) | აზოტი – მერანი |
| 56 | (120:64) | ვითა – ასკ |
| 52 | (117:65) | სდასუ – მაკაბი |
| 51 | (121:70) | დინამო – ასკ |
| 48 | (120:72) | სდასუ – დინამო 2 |

ამ შედეგიან ჩემპიონატში ძალზე ცოტა იყო შემთხვევა, როდესაც გუნდები 60-ქულიან ზღვარს ვერ ასცდნენ — სულ სამი. ყველაზე დაბალი შედეგები კი აჩვენეს:

| | |
|---|---|
| 51 | მერანმა – აზოტთან |
| 55 | რიონმა – თსუსთან |
| 59 | რიონმა – აზოტთან |
| 61 | მერანმა – რიონთან |
| 62 | რიონმა – სდასუსთან |

ასე გამოიყურება გუნდური შედეგები, მაგრამ ამ შედეგებს ხომ ცალკეული მოთამაშეები ჰქმნიან და ჩვენთვის საინტერესოა, ვინ იყო მთავარი შემოქმედი ამ ციფრობრივი მონაცემებისა. როდესაც პირველობის საუკეთესო სნაიპერზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ წამყვანი გუნდების ლიდერები სუსტ გუნდებთან ძალზე ცოტას თამაშობდნენ, ზოგნი კი საერთოდაც არ გამოდიოდნენ მოედანზე. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე, რუსთაველი ირაკლი ჯაფარიძე მაინც საუკეთესო სნაიპერია:

| | |
|---|---|
| 1. ჯაფარიძე (აზოტი) | 260 |
| 2. კვაჭაძე (კოლხა) | 252 |
| 3. მაჭავარიანი (შევარ.) | 251 |
| 4. ჩაგლეიშვილი (მერანი) | 247 |
| 5. ი. ბერიშვილი (სტუ) | 219 |
| 6. ხუხაშვილი (მაკაბი) | 219 |
| 7. ოთიურიძე (სდასუ) | 215 |
| 8. ბეჟანიშვილი (დინამო) | 215 |
| 9. წოწელია (თსუ) | 210 |
| 10. ფერიაშვილი (მაკაბი) | 209 |

თუ გვინდა, რომ ჩვენი საუკეთესო მოთამაშეების რეალურ კონდიციებზე ვიმსჯელოთ, ანუ რა ფორმაში არიან ისინი დღეს, ამაზე ყველაზე უკეთ საუკეთესო ხუთეულის შეხვედრები მეტყველებს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ გია სანაძემ და მამუკა ტურაშვილმა რამდენიმე ასეთი მატჩი სხვადასხვა მიზეზის გამო გამოტოვეს და ამიტომ, ცხადია, ისინი ამ სიაში ვერ მოხვდებოდნენ. ამ ხუთი გუნდის შეხვედრებში ჯაფარიძემ დაამტკიცა, რომ იგი ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა.

| | |
|---|---|
| 1. ჯაფარიძე (აზოტი) | 127 |
| 2. ბეჟანიშვილი (დინამო) | 115 |
| 3. გოგობერიშვილი (აზოტი) | 101 |
| 4. ხოშტარია (დინამო) | 101 |
| 5. ჟღენტი (თსუ) | 92 |

ერთ მატჩში ჩვენი პირველობის ყველა დროის რეკორდი დინამოელმა დავით ჩიქოვანმა დაამყარა. რაც უნდა ბევრი ვილაპარაკოთ, რომ იგი სუსტ მეტოქესთან თამაშობდა, ამდენი ქულის მოპოვებას მაინც ძალისხმევა უნდა. ერთ შეხვედრაში შედეგიანები:

| | |
|---|---|
| 74 | ჩიქოვანი (დინამო) მერანთან |
| 40 | ჯაფარიძე (აზოტი) ვითასთან |
| 40 | ბეჟანიშვილი (დინამო) ვითასთან |
| 40 | ნაცვლიშვილი (რიონი) მერანთან |
| 38 | ჯაფარიძე (აზოტი) თსუსთან |
| 38 | გოგობერიშვილი (აზოტი) თსუსთან |

ეს ჩემპიონატი ლამის სამქულიანების წვიმამ წალეკოს. ასეთი რამ არც ერთ პირველობაზე არ ყოფილა. ეს, რა თქმა უნდა, დაცვის სისუსტის ბრალიცაა, მაგრამ მაინც გასახარია, რომ ჩვენს კალათბურთში ბევრი შორიდან მტყორცნელი გამოჩნდა. ამ კომპონენტში ხომ მთლად კარგად არ გვქონდა საქმე. ზუსტ სამქულიანებში ლიდერობენ:

| | |
|---|---|
| 1. მაჭავარიანი (შევარდენი) | 44 |
| 2. კვაჭაძე (კოლხა) | 43 |
| 3. ი. ბერიშვილი (სდასუ) | 37 |
| 4. ჩერქეზიშვილი (სდასუ) | 36 |
| 5. კახანჯიანი (შევარდენი) | 35 |
| 6. ჩიქოვანი (დინამო) | 35 |
| 7. ჩარგეიშვილი (შევარდენი) | 34 |

ჩვენი ცნობილი სნაიპერები — ტურაშვილი და სანაძე ამ სიაში ვერ მოხვდნენ იმის გამო, რომ როგორც აღვნიშნეთ, ბევრი მატჩი გამოტოვეს. ამ სიაში აუცილებლად ვიხილავდით ირაკლი ბერიშვილის ტყუპ ძმას, დათოს, მაგრამ იგი დისკვალიფიცირებული იყო და სამი თამაშით დაისაჯა. შეიდ საუკეთესო სნაიპერში სამი შევარდენელია. ეს გუნდი განსაკუთრებით გამოირჩევა სამქულიანი ტყორცნებით. ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, კარგად ისვრიან შორიდან ორჯონიკიძე და ისაკაძე და გუნდი თავისი ქულების ნახევარზე მეტს, ფაქტობრივად, სამქულიანებით აკეთებს. ამიტომ მათი შედეგები საუკეთესოა ერთ მატჩში ჩაგდებული სამქულიანების თვალსაზრისითაც, თუმცა, ჩიქოვანის რეკორდს, ალბათ, აქაც კარგა ხანს ვერ მიწვდება ვინმე, თუკი საერთოდ მიწვდა.

ერთ მატჩში ჩაგდებული სამქულიანები:

| | |
|---|---|
| 21 | ჩიქოვანი (დინამო) მერანთან |
| 11 | კახანჯიანი (შევარდენი) მაკაბისთან |
| 8 | მაჭავარიანი (შევარდენი) ვითასთან |
| 8 | ცხვედიანი (თსუ) ასკსთან |
| 8 | მაჭავარიანი (შევარდენი) სდასუსთან |
| 7 | ჩერქეზიშვილი (სდასუ) დინამო 2-თან |

როდესაც კალათბურთელი ბევრ ჯარიმას ისვრის, ეს მის აქტიურობაზე მეტყველებს, მაგრამ თუ საჯარიმოებს ზუსტად ვერ ასრულებს, ფაქტობრივად, მისი ენერგია ფუჭად იხარჯება. საჯარიმოების ტყორცნა, რა თქმა უნდა, მარტო ოსტატობაზე არ მიგვითითებს, ეს იმის მაჩვენებელიცაა, რამდენად ფლობს კალათბურთელი საკუთარ თავს. საჯარიმოების საუკეთესო მტყორცნელთა შორის ის მოთამაშეები მოხვდნენ, რომელთაც 50-ზე მეტი საჯარიმო ისროლეს.

| | |
|---|---|
| 1. | ფერიაშვილი (მაკაბი) 83,9% (47 – 56-დან) |
| 2. | გოგობერიშვილი (აზოტი) 81,8% (45 – 55-დან) |
| 3. | ტალაბაძე (მაკაბი) 80,3% (41 – 55-დან) |
| 4. | აბრამიძე (ვითა) 76,9% (40 – 52-დან) |
| 5. | წოწელია (თსუ) 76,5% (49 – 64-დან) |
| 6. | ბოისა (აზოტი) 72,8% (51 – 70-დან) |

საჯარიმოების გამოყენების ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით იმ კალათბურთელთათვის, ვინც 80 პროცენტიან ზღვარს გადააბიჯა.

ეს საერთოდ, პირველობის შედეგებია, თითოეულ კლუბში კი ყველაზე ნაყოფიერნი იყვნენ:

| | |
|---|---|
| აზოტი — ჯაფარიძე | 260 |
| ვითა — აბრამიძე | 151 |
| თსუ — წოწელია | 210 |
| სდასუ — ოთიურიძე | 215 |
| დინამო — ბეჟანიშვილი | 215 |
| ასკ — მინაშვილი | 198 |
| მაკაბი — ხუხაშვილი | 219 |
| სტუ — ი. ბერიშვილი | 219 |
| შევარდენი — მაჭავარიანი | 251 |
| დინამო 2 — უჩუმბეგაშვილი | 167 |
| რიონი — ნაცვლიშვილი | 163 |
| კოლხა — კვაჭაძე | 252 |
| მერანი — ჩაგლეიშვილი | 247 |

ამ ციფრებით დაკვირვებული გულშემატკივარი იმსჯელებს ჩვენი კალათბურთის დღევანდელ მდგომარეობაზე, თუმცა, ციფრებს ყველაფრის თქმა არ შეუძლიათ, ჩვენი კალათბურთის დონე სულ მალე გამოჩნდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. იმედია, ის საუკეთესო მაჩვენებლები, რომლებიც ჩვენმა კალათბურთელებმა საქართველოს ჩემპიონატში აჩვენეს, მათ სწორედ ამ თამაშებში წაადგებათ.

**კოტე მგალობლიშვილი**

**საქართველოს ნაკრები 26 ნოემბერს ჩაებმება ევროპის პირველობის ახალ შესარჩევ ციკლში და მისი მეტოქე ჩეხეთის ნაკრები იქნება. ეს ორი გუნდი შესარჩევ ტურნირში შარშანდელი საკვალიფიკაციო ტურნირიდან მოხვდა, რომელიც კვიპროსში ჩატარდა. მაშინ ჩეხები პირველ ადგილზე გავიდნენ, ჩვენები — მეორეზე. პირად შეხვედრაში ჩეხებმა გვაჯობეს, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მატჩში საქართველოს ნაკრებს არ ჰყავდა სტეფანია. კარგად მოგეხსენებათ, რას წარმოადგენს იგი ჩვენი გუნდისთვის.**

# პირველი მეტოქე — ჩეხეთი

ჩეხოსლოვაკიის კალათბურთი ერთ დროს ძალზე მაღალი დონისა იყო და ეს ქვეყანა მუდამ იმყოფებოდა ევროპის საკალათბურთო ელიტაში. ამის დასტურად შედეგების ჩამოთვლაც კმარა: ჩეხოსლოვაკიის ნაკრები 1946 წლის ევროპის ჩემპიონია; 1947, 1951, 1955, 1959, 1967 და 1985 წლებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, 1957 და 1969, 1981-ში კი — მესამე პრიზიორი. დამეთანხმებით, მეტად შთამბეჭდავი ნუსხაა და ამ მაჩვენებლებით ისინი მხოლოდ სსრკ-სა და იუგოსლავიის ნაკრებებს ჩამორჩებიან ევროპაში. ოლიმპიადაზე ჩეხოსლოვაკელთა საუკეთესო შედეგი მე-5 ადგილია (რომისა და მოსკოვის ოლიმპიადებზე), მსოფლიოს ჩემპიონატზე კი — მე-6. ეს 1970 წელს იყო. წარმატებით გამოდიოდნენ ჩეხოსლოვაკიის კლუბები ევროპის საკლუბო ტურნირებშიც. ისინი სამჯერ იყვნენ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში: ორჯერ — „სპარტაკი" და ერთხელ პრაღის „სლავია". „სლავია" 60-იან წლებში ერთ-ერთი საუკეთესო ევროპული გუნდი იყო და იგი ქართველებსაც მწარედ ახსოვთ: 1969 წელს ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის ფინალში (ახლანდელი ევროპის თასი) სწორედ ამ გუნდმა დაამარცხა ვენაში თბილისის „დინამო" 80:74.

საკმაოდ პოპულარულნი იყვნენ ევროპაში ჩეხოსლოვაკელი მოთამაშეებიც — კამილ ბრაბენეცი, იან ბობროვსკი, ირჟი ზედნიჩეკი, ირჟი ზიდეკი, სტანისლავ კროპილაკი, ირჟი პოსპიშილი. ბრაბენეცი 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი იყო ევროპაში და ბევრჯერ უთამაშია ევროპის ნაკრებში სხვადასხვა სადღესასწაულო მატჩში. ასევე უძლიერესად ითვლებოდა ცენტრი სტანისლავ კროპილაკი, რომელიც მოსკოვის ოლიმპიადის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი იყო (184 ქულა 7 თამაშში). გამორჩეული ფიგურა გახლდათ ევროპულ კალათბურთში ირჟი ზიდეკი. იგი იუგოსლავ კრეშიმირ ჩოსიჩთან და ალექსანდრ ბელოვთან ერთად ერთ-ერთი პირველი ცენტრალური თავდამსხმელი იყო ევროპაში, რომელმაც ფარიდან შორს დაიწყო თამაში და ზუსტი შორეული ტყორცნების გამოყენება (ახლა სამქულიანები რომ ჰქვია) სცადა.

90-იან წლებში ჩეხოსლოვაკიის კალათბურთის დონე მკვეთრად დაეცა (კალათბურთელ ვაჟებზე ვამბობთ, თორემ ქალთა კალათბურთი ყოველთვის იყო და არის ევროპის მოწინავე ქვეყნებს შორის). მას შემდეგ, რაც ჩეხეთი და სლოვაკეთი გაიყვნენ, ცალ-ცალკე ვერც ერთმა ნაკრებმა მიაღწია რაიმე ლოკალურ წარმატებებსაც კი, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორებში მოხვედრაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ჩეხები ზედიზედ ორჯერ ვერ მოხვდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე. ახლა მათ სურთ, ავად თუ კარგად, აღადგინონ საკალათბურთო ტრადიციები. ჩეხეთის ნაკრები ახალგაზრდა და ტანმაღალი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას ისახავს მიზნად. ვნახოთ, ტრადიციებით ქართული კალათბურთიც იწონებს თავს და ჩვენ იმედი გვაქვს, იგი კვლავ დაიბრუნებს ჩვეულ დონეს. ამიტომაც ველით ასე მოუთმენლად ოთხშაბათს.

## ჩვენი ჯგუფის კალენდარი

| | |
|---|---|
| 26.11.97 | იტალია — ლატვია, თურქეთი — შვედეთი, *საქართველო — ჩეხეთი* |
| 29.11.97 | ლატვია — თურქეთი, ჩეხეთი — იტალია, *შვედეთი — საქართველო* |
| 3.12.97 | ჩეხეთი — ლატვია, *საქართველო — თურქეთი,* იტალია — შვედეთი |
| 25.02.98 | *ლატვია — საქართველო,* შვედეთი — ჩეხეთი, თურქეთი — იტალია |
| 28.02.98 | შვედეთი — ლატვია, *იტალია — საქართველო,* ჩეხეთი — თურქეთი |
| 25.11.98 | ლატვია — იტალია, შვედეთი — თურქეთი, *ჩეხეთი — საქარველო* |
| 28.11.98 | თურქეთი — ლატვია, იტალია — ჩეხეთი, *საქართველო — შვედეთი* |
| 2.12.98 | ლატვია — ჩეხეთი, *თურქეთი — საქართველო,* შვედეთი — იტალია |
| 24.02.99 | *საქართველო — ლატვია,* ჩეხეთი — შვედეთი, იტალია — თურქეთი |
| 27.02.99 | ლატვია — შვედეთი, *საქართველო — იტალია,* თურქეთი — ჩეხეთი |


სარბიელი

**სპორტული ლატარია**

**"CROCO"**

**უეფას თასი. მერვედფინალი.** პირველი მატჩები

25 ნოემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შალკე — ბრაგა | (1,05-7,5) | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| კარლსრუე — სპარტაკი | (1,2-3,5) | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| აიაქსი — ბოხუმი | (1,15-4,0) | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| რაპიდი — ლაციო | (7,5-1,05) | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| ტვენტე — ოსერი | (4,0-1,15) | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| კროაცია — ატლეტიკო | (3,5-1,2) | 2,2 | 2,8 | 2,6 |
| სტრასბური — ინტერი | (7,5-1,05) | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| სტიაუა — ასტონ ვილა | (2,3-1,4) | 1,9 | 2,9 | 3,1 |

**ჩემპიონთა ლიგა. V ტური**

26 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფეიენოორდი — იუვენტუსი | 6,0 | 3,1 | 1,4 |
| ბარსელონა — ნიუკასლი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ბეშიქთაში — ბაიერნი | 3,4 | 2,9 | 1,8 |
| გეტებორგი — პარი სენ ჟერმენი | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| მონაკო — სპორტინგი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,0 | 3,2 |
| ლიერსი — ლევერკუზენი | 3,6 | 3,1 | 1,7 |

27 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პარმა — სპარტა | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,0 | 3,2 |
| დორტმუნდი — გალათასარაი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — კოშიცე | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| 0:1 | 1,2 | 3,6 | 5,6 |
| დინამო — ეინდჰოვენი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| რუსენბორგი — რეალი | 3,1 | 2,9 | 1,9 |
| პორტუ — ოლიმპიაკოსი | 1,3 | 3,6 | 6,5 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჰიუსტონამდე ძალიან შორია



ატლანტა — ნიუ იორკი: ატლანტელები ბლეილოკი .და მუტომბო თავისიანთა საცოდაობას სათადარიგოთა სკამიდან შესცქერიან

19 ნოემბერი

### შარლოტი 106:92 პორტლენდი

შარლოტი: რაისი (27), დივაცი (19)
პორტლენდი: საბონისი, რაიდერი, უოლესი (18-18)

### მაიამი 122:113 კლიპერსი

მაიამი: ჰარდევეი (33+11 პასი), ოსტინი (26)
კლიპერსი: მიურეი (32)

### სან ანტონიო 108:87 გოლდენ სტ.

სან ანტონიო: რობინსონი (21+11 მოხსნა + 5 დაფარება), დანკანი (19+10 მოხსნა)

### კლივლენდი 93:96 ორლანდო

კლივლენდი: ილგაუსკასი (21 + 15 მოხსნა + 5 დაფარება), კემპი (18+12 მოხსნა)
ორლანდო: სტრინგი (20), არმსტრონგი (18 + 7 პასი)

ორლანდომ შეუძლებელი შეძლო. მეოთხე მეოთხედში პენი ჰარდევეის გარეშე მოთამაშე მეჯიქმა სტრინგისა და ევანსის ძალისხმევით 20-ქულიანი ჩამორჩენა ამოქაჩა. კარგად ითამაშა აგრეთვე დერელ არმსტრონგმა. ოვერტაიმში კლივლენდი დაალალატეს პერსონმა და კემპმა — პირველმა სამქულიანი, მეორემ ორქულიანი ააცილა ოვერტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე.

### ფილადელფია 97:86 ვაშინგტონი

ფილადელფია: აივერსონი (29), კოულმენი (13+12 მოხსნა)
ვაშინგტონი: მიურეი (24), სტრიკლენდი (8 + 13 პასი + 10 მოხსნა)

ვაშინგტონმა თავისი ლიდერის კრის უებერის გარეშე ითამაშა. როდ სტრიკლენდს 11 სროლიდან თუნდაც სამჯერ რომ ჩაეგდო, სამმაგ დუბლს შეასრულებდა.

### ნიუ ჯერსი 108:100 ბოსტონი

ნიუ ჯერსი: უილიამსი (27+13 მოხსნა), კასელი (20)
ბოსტონი: უოლკერი (21), მაკარტი (18+10 მოხსნა)

ამ შეხვედრაში თამაშიდან დაითხოვეს ბოსტონის მწვრთნელი რიკ პინიტო და გუნდის ლიდერი ანტუან უოლკერი. მას შემდეგ, რაც ნიუ ჯერსიმ მესამე მეოთხედის ერთი მონაკვეთი 20:3 მოიგო, ბოსტონის დამრიგებელმა ნერვები ვერ მოთოკა და მატჩის არბიტრს ტექნიკური ჯარიმებიც გამოსტყუა, მერი კი მის კვალს ანტუან უოლკერიც მიჰყვა. ნიუ ჯერსის, ფაქტობრივად, NBA-ს ორგზის ჩემპიონმა სემ კასელმა მოაგებინა.

### სიეტლი 107:87 ვანკუვერი

სიეტლი: პეიტონი (31 + 11 პასი + 5 ჩაჭრა), შრემპფი (23)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (25)

ამ სეზონში ვანკუვერში აშკარა პროგრესი შეინიშნება, მართალია, გუნდმა 12-დან მხოლოდ 5 თამაში მოიგო, მაგრამ კანადური გუნდი წელს ალბათ გაცილებით მეტს მიაღწევს, ვიდრე წინა ორ სეზონში — შევახსენებთ, რომ დაარსების პირველ წელს მან მხოლოდ 15 მატჩი მოიგო, მეორე წელს კი უფრო ცოტა — 14 და მუდამ ბოლო იყო 29 გუნდში. პროგრესი პროგრესად, მაგრამ ამ შეხვედრაში ვანკუვერმა ვერაფერი დაუპირისპირა სიეტლს, კერძოდ კი მის ლიდერს გერი პეიტონს. 1995-96 წლების ლიგის საუკეთესო მცველმა დაჩაგრა თავისი მეურვე, ახალბედა დანიელსი. სუპერსონიკსმა პირველი მეოთხედი 23 ქულის სხვაობით მოიგო და არც მერე შექმნია მაინც და მაინც ბევრი პრობლემა.

### ლეიკერსი 118:93 მინესოტა

ლეიკერსი: ჯონსი (31), ონილი (26+12 მოხსნა), ბრაიანტი (20)
მინესოტა: გულიოტა (22), გარნეტი (19+11 მოხსნა)

20 ნოემბერი

### ჰიუსტონი 127:97 ტორონტო

ჰიუსტონი: დრექსლერი (21), ოლაჯუონი (17+11 მოხსნა), უილისი (17+14 მოხსნა), ელი (17)
ტორონტო: სტუდემაიერი (25+11 მოხსნა), კემპი (18)

ამ მატჩის შემდეგ ტორონტოს გენერალური მენეჯერის პოსტი დატოვა ლეგენდარულმა აიზია ტომასმა. ეს წაგება ტორონტოსთვის ზედიზედ მერვე იყო.

### დეტროიტი 87:93 პორტლენდი

დეტროიტი: ჰილი (17), უილიამსი (15+14 მოხსნა)
პორტლენდი: რაიდერი (28)

გრანტ ჰილმა გრიპი ვერაფრით მოიშორა, რაც მისი გუნდის შედეგსაც დაეტყო: დეტროიტი ცენტრალურ დივიზიონში მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა.

### ატლანტა 79:100 ნიუ იორკი

ატლანტა: ლეიტნერი (16)
ნიუ იორკი: სტარქსი (20), იუინგი (18+13 მოხსნა)

ატლანტის „ჯორჯია დოუმში“ შეკრებილი 21 366 ათასი მაყურებელი მთელი საღამო შესცქეროდა იმას, თუ როგორ ჩაგრავდა ნიუ იორკი სტივ სმიტისა და ალან ჰენდერსონის გარეშე დარჩენილ მათ გუნდს. იმ ღამეს ატლანტაში კალათბურთის გულშემატკივრებიდან ცოტამ თუ დაიძინა. მათმა გუნდმა გვარიანი ანგარიშით წააგო და ოცნებაც, ატლანტას დაემხო ჰიუსტონის რეკორდი — სტრატზე 15 მოგება, ოცნებადვე დარჩა. სმიტისა და ჰენდერსონის არყოფნით გულმოცემულმა ნიუ იორკმა თამამად შეუტია მეტოქეს სტარქსისა და იუინგის წინამძღოლობით და საბოლოოდ მოუწამლა გუნება-განწყობა მთელ თუ არა, ნახევარ ჯორჯიას მაინც.

### მილუოკი 83:109 ინდიანა

### ფინიქსი 89:85 ჩიკაგო

ფინიქსი: მენინგი (23)
ჩიკაგო: ჯორდანი (30), როდმანი (6+14 მოხსნა)

ჯორდანმა თავის თავს დააბრალოს ჩიკაგოს მარცხი. მან თამაშის ბოლოს ექვსი სროლიდან ხუთი ააცილა. დროის ამოწურვამდე 2,7 წამით ადრე დენი მენინგმა ჩააგდო და ჩიკაგოს მეთერთმეტე თამაშში მეხუთე მარცხი აგემა.

### საკრამენტო 97:95 იუტა

ეულად დარჩენილმა კარლ მელოუნმა ბევრი იბრძოლა, 32 ქულიდან 24 მეორე ნახევარში მიითვალა, მაგრამ იუტა მაინც დამარცხდა. გუნდი დაალალატა სტოქტონის შემცვლელმა ჰოვარდ ეისლიმ (17 ქულა), რომელმაც ორი წამით ადრე დაახლოებით ოთხი მეტრიდან ააცილა. საკრამენტოელ მეფეებში საუკეთესო კვლავ მიჩ რიჩმონდი იყო — 22 ქულა.

### დალასი 97:101 გოლდენ სტ.

ოვერტაიმი

დალასი: სკოტი (33), ბრედლი (21+17 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: სპრიუელი (28), მარშალი (15+16 მოხსნა)

გოლდენ სტეიტმა ნავსი გატეხა — პირველი თამაში მოიგო ზედიზედ 9 წაგების მერე და დალასს რვამდე გაუზარდა წაგებების სერია. არადა, ამ დღეს მთელი დალასი ზეიმობდა: ეი სი გრინმა მოხსნა რენდი სმიტის ზედიზედ 906 ჩატარებული თამაშის რეკორდი. თავად სმიტი, რა თქმა უნდა, ესწრებოდა ამ მატჩს, ისევე როგორც დალასის მილიონერი და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, მილიარდერი როს პერო, რომელმაც იუბილარს რეკორდსმენობა პირადად მიულოცა. თამაში კალიფორნიელების უპირატესობით წარიმართა და თამაშის ბოლოს ისინი სამი ქულით იგებდნენ, მაგრამ დენის სკოტმა 5,7 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. აქ კი გოლდენ სტეიტს არ გასჭირვებია მოგება. დენის სკოტმა 33 ქულა დააგროვა, რომელთაგან 27 სამქულიანებით მიითვალა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 7 | 3 | 70,0 |
| ნიუ ჯერსი | 6 | 3 | 66,7 |
| ორლანდო | 7 | 4 | 63,6 |
| ნიუ იორკი | 7 | 4 | 63,6 |
| ბოსტონი | 5 | 6 | 45,5 |
| ვაშინგტონი | 4 | 7 | 36,4 |
| ფილადელფია | 3 | 6 | 33,3 |

| ცენტრალური დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტა | 11 | 1 | 91,7 |
| შარლოტი | 6 | 3 | 66,7 |
| ჩიკაგო | 6 | 5 | 54,5 |
| მილუოკი | 6 | 5 | 54,5 |
| ინდიანა | 5 | 5 | 50,0 |
| კლივლენდი | 4 | 6 | 40,0 |
| დეტროიტი | 4 | 8 | 33,3 |
| ტორონტო | 1 | 10 | 9,1 |

## დასავლეთის კონფერენცია

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 7 | 3 | 70,0 |
| მინესოტა | 6 | 4 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 5 | 5 | 50,0 |
| იუტა | 5 | 6 | 45,5 |
| ვანკუვერი | 5 | 7 | 41,7 |
| დალასი | 3 | 8 | 27,3 |
| დენვერი | 0 | 9 | — |

| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერსი | 10 | 0 | 100,0 |
| ფინიქსი | 7 | 2 | 77,8 |
| სიეტლი | 8 | 3 | 72,7 |
| პორტლენდი | 8 | 3 | 72,7 |
| საკრამენტო | 4 | 7 | 36,4 |
| გოლდენ სტეიტი | 1 | 9 | 10,0 |
| კლიპერსი | 1 | 10 | 9,1 |

## ევროლიგა

A ჯგუფი

მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) — ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) 87:69, ლიმოჟი (საფრანგეთი) — ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) 66:60, ეფეს პილზენი (სტამბოლი, თურქეთი) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 78:81

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 8 | 6 | 2 | 569:551 | 14 |
| ეფეს პილზენი | 8 | 4 | 4 | 577:550 | 12 |
| მაკაბი | 8 | 4 | 4 | 610:598 | 12 |
| ცსკა | 8 | 4 | 4 | 617:615 | 12 |
| რეალი | 8 | 3 | 5 | 637:649 | 11 |
| ლიმოჟი | 8 | 3 | 5 | 530:572 | 11 |

B ჯგუფი

სპლიტი (ხორვატია) — პორტუ (პორტუგალია) 88:82, ტელეკომი (ანკარა, თურქეთი) — ბენეტონი (ტრევიზო, იტალია) 67:84, ესტუდიანტესი (მადრიდი, ესპანეთი) — პაოკი (სალონიკი, საბერძნეთი) 78:60

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 8 | 7 | 1 | 632:547 | 15 |
| პაოკი | 8 | 5 | 3 | 624:515 | 13 |
| ესტუდიანტესი | 8 | 5 | 3 | 598:528 | 13 |
| ტელეკომი | 8 | 4 | 4 | 579:582 | 12 |
| სპლიტი | 8 | 3 | 5 | 568:607 | 11 |
| პორტუ | 8 | 0 | 8 | 563:678 | 8 |

C ჯგუფი

ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) 88:84, კინდერი (ბოლონია, იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი) 83:70, პო ორტეზი (საფრანგეთი) — ულკერ გენჩლიკი (სტამბოლი, თურქეთი) 77:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 8 | 7 | 1 | 631:538 | 15 |
| ბარსელონა | 8 | 5 | 3 | 664:550 | 13 |
| პარტიზანი | 8 | 4 | 4 | 674:659 | 12 |
| ულკერი | 8 | 3 | 5 | 588:613 | 12 |
| პოორტეზი | 8 | 3 | 5 | 586:613 | 11 |
| ჰაპოელი | 8 | 2 | 6 | 548:622 | 10 |

D ჯგუფი

აეკი (ათენი, საბერძნეთი) — ტიმსისტემი (ბოლონია, იტალია) 80:57, ციბონა (ზაგრები, ხორვატია) — ალბა (ბერლინი, გერმანია) 98:84, ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია) — პარიზი (საფრანგეთი) 60:49

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკი | 8 | 5 | 3 | 553:526 | 13 |
| ტიმსისტემი | 8 | 5 | 3 | 616:632 | 13 |
| ალბა | 8 | 4 | 4 | 614:584 | 12 |
| ოლიმპია | 8 | 4 | 4 | 566:557 | 12 |
| ციბონა | 8 | 3 | 5 | 603:604 | 11 |
| პარიზი | 8 | 3 | 5 | 519:524 | 11 |

## ევროთასი

A ჯგუფი

პლუნგე (ლიტვა) — ოდესა (უკრაინა) 61:78, ტობასი (ბურსა, თურქეთი) — ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი) 96:82, ტოპო (ჰელსინკი, ფინეთი) — რაბოტნიჩკი (სკოპიე, მაკედონია) 85:55

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხუვენტუდი | 8 | 7 | 1 | 720:625 | 15 |
| ოდესა | 8 | 6 | 2 | 604:506 | 14 |
| ტობასი | 8 | 5 | 3 | 648:576 | 13 |
| ტოპო | 8 | 5 | 3 | 591:571 | 13 |
| პლუნგე | 8 | 1 | 7 | 588:689 | 9 |
| სკოპიე | 8 | 0 | 8 | 534:642 | 8 |

B ჯგუფი

ფენერბაჰჩე (სტამბოლი, თურქეთი) — ოპავა (ჩეხეთი) 77:61, ბროცერნი (რიგა, ლატვია) — შლიონსკი (ვროცლავი, პოლონეთი) 94:85, პივოვარნა (სლოვაკეთი) — ლემანი (საფრანგეთი) 92:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლემანი | 8 | 7 | 1 | 642:619 | 15 |
| ფენერბაჰჩე | 8 | 5 | 3 | 645:605 | 13 |
| შლიონსკი | 8 | 5 | 3 | 617:603 | 13 |
| პივოვარნა | 8 | 4 | 4 | 646:652 | 12 |
| ბროცერნი | 8 | 3 | 5 | 631:675 | 11 |
| ოპავა | 8 | 1 | 7 | 599:666 | 9 |

C ჯგუფი

ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) — მტც (სკოპიე, მაკედონია) 97:49, ტალინი (ესტონეთი) — პრუსცკოვი (პოლონეთი) 73:83, ვილერბანი (საფრანგეთი) — ზაგრები (ხორვატია) 57:60

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 8 | 6 | 2 | 608:539 | 14 |
| ვილერბანი | 8 | 6 | 2 | 542:519 | 14 |
| პრუსცკოვი | 8 | 5 | 3 | 663:623 | 13 |
| ზაგრები | 8 | 4 | 4 | 588:550 | 12 |
| ტალინი | 8 | 2 | 6 | 529:571 | 10 |
| მტც | 8 | 0 | 8 | 505:688 | 8 |

D ჯგუფი

ჟელეზნიკი (ბელგრადი, იუგოსლავია) — ლულეო (შვედეთი) 92:80, კერაუნოსი (ნიქოზია) — ოლივეირენსე (პორტუგალია) 69:76, სამარა (რუსეთი) — კასერესი (ესპანეთი) 82:74

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სამარა | 8 | 5 | 3 | 630:600 | 13 |
| კერავნოსი | 8 | 5 | 3 | 548:570 | 13 |
| კასერესი | 8 | 4 | 4 | 694:610 | 12 |
| ჟელეზნიკი | 8 | 4 | 4 | 628:616 | 12 |
| ოლივეირენსე | 8 | 4 | 4 | 584:614 | 12 |
| ლულეო | 8 | 2 | 6 | 636:685 | 10 |

E ჯგუფი

ჰაპოელი (ეილატი, ისრაელი) — ჰონვედი (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 85:74, ლონდონ თაუერსი (ინგლისი) — ბეობანკა (ბელგრადი, იუგოსლავია) 56:65, სტეფანელი (მილანი, იტალია) — ტატამი (რონდორფი, გერმანია) 93:90

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰაპოელი | 8 | 7 | 1 | 658:601 | 15 |
| სტეფანელი | 8 | 6 | 2 | 763:574 | 14 |
| ბეობანკა | 8 | 5 | 3 | 628:585 | 13 |
| ტატამი | 8 | 4 | 4 | 593:655 | 12 |
| ჰონვედი | 8 | 1 | 7 | 565:619 | 9 |
| თაუერსი | 8 | 1 | 7 | 554:635 | 9 |

F ჯგუფი

პოლზელა (სლოვაკეთი) — უსკ (პრაღა, ჩეხეთი) 93:68, დენ ბოში (ჰოლანდია) — შარლერუა (ბელგია) 70:73, ზრინევაცი (ზაგრები, ხორვატია) — აპოლონი (საბერძნეთი) 73:62

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აპოლონი | 8 | 6 | 2 | 755:577 | 14 |
| შარლერუა | 8 | 6 | 2 | 680:544 | 14 |
| ზრინევაცი | 8 | 5 | 3 | 687:681 | 13 |
| პოლზელა | 8 | 4 | 4 | 709:581 | 12 |
| დენ ბოში | 8 | 3 | 5 | 675:709 | 11 |
| უსკ | 8 | 0 | 8 | 546:710 | 8 |

G ჯგუფი

ტელეკომი (ლისაბონი, პორტუგალია) — კიორმენდი (უნგრეთი) 80:84, სლობოდა (ტუზლა, ბოსნია) — ოსტენდე (ბელგია) 78:79, ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) — კანტუ (იტალია) 76:87

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კანტუ | 8 | 8 | 0 | 728:615 | 16 |
| ოსტენდე | 8 | 5 | 3 | 670:643 | 13 |
| კიორმენდი | 8 | 5 | 3 | 647:642 | 13 |
| ბაიერი | 8 | 4 | 4 | 650:583 | 12 |
| ტელეკომი | 8 | 2 | 6 | 674:712 | 10 |
| სლობოდა | 8 | 0 | 8 | 608:714 | 8 |

H ჯგუფი

სტ პოლტენი (ავსტრია) — ბუდიველნიკი (კიევი, უკრაინა) 83:69, ავტოდორი (სარატოვი, რუსეთი) — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) 83:77, რაპანანა (ისრაელი) — სლოვაკოფარმა (პეზინოკი, სლოვაკეთი) 84:63

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 8 | 7 | 1 | 675:512 | 15 |
| ავტოდორი | 8 | 7 | 1 | 704:680 | 15 |
| რაპანანა | 8 | 3 | 5 | 532:530 | 11 |
| პეზინოკი | 8 | 3 | 5 | 638:664 | 11 |
| ბუდიველნიკი | 8 | 2 | 6 | 561:622 | 10 |
| სტ. პოლტენი | 8 | 1 | 7 | 600:641 | 9 |

# რკინის ეი სი

20 ნოემბერს „დალასი“ „გოლდენ სტეიტ უორიორზს“ ეთამაშა. ამ მატჩში ეი სი გრინის მიერ ლიგაში ზედიზედ ჩატარებული მატჩების ოდენობამ 907-ს მიაღწია, რითაც მან დაამხო ძველი თაობის წარმომადგენლის რენდი სმიტის რეკორდი. ამ დღეს დალასში აღიმართა 907 ბაირაღი, რაც მიანიშნებდა იმ საყოველთაო პატივისცემაზე, რომელიც გრინს მიაგეს. „დალასის“ 206-სანტიმეტრიანი თავდამსხმელი ეი სი გრინი ლიგის ისტორიაში ყველაზე გამძლე მოთამაშედ ითვლება. იგი მოედანზეა მაშინ, როცა ამოვარდნილი აქვს ცერი, მაშინაც, როცა მოწამლულია საკვებით, იგი უძლებს მონგრეულ ყბას, მის ზურგს კი ამერიკაში სალ კლდეს ადარებენ. 13-წლიან კარიერაში მხოლოდ სამი თამაში გამოტოვა, ისიც იმის გამო, რომ მწვრთნელმა არ ათამაშა. გრინს აქვს დაუოკებელი სურვილი, ითამაშოს ყოველი მატჩი: „თუ სათამაშოდ გავდივართ, კიდევაც უნდა ვითამაშოთ, მე სათამაშოდ ყოველთვის მზად ვარ და ვამაყობ კიდეც ამით“.

17 წლიდან ბედის წყალობა ვერ დაეკვეხნება, განსაცდელი კი რამდენიც გნებავთ. მან ვაჟკაცობის სკოლა ოჯახში, შემდეგ კი ოჰაიოს უნივერსიტეტში გაიარა. იზრდებოდა იმ ადამიანებში, რომლებიც არ გაურბოდნენ პასუხისმგებლობას და სწორედ ამან აქცია რკინის კაცად. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს გრინის ხასიათს: იგი მორწმუნეა. არ სვამს, არ ეწევა, არ ჰყოლია ცოლი და წარმოიდგინეთ, ქალებშიც არ დადის. სამაგიეროდ, მას შეუძლია კალათბურთის თავდავიწყებით თამაში.

გრინის პროფესიული კარიერა ლოს ანჯელესში დაიწყო. 85-ის დრაფტში იგი „ლეიკერსის“ საკუთრება გახდა. მისი NBA-ში მოსვლის მეორე და მესამე სეზონებში „ლეიკერსმა“ ორჯერ მოიპოვა ჩემპიონობა. სწორედ 1986-87 წლების სეზონში იყო, რომ „ლეიკერსის“ მწვრთნელმა პატ რაილიმ გრინი სკამზე დასვა და სამი თამაშის განმავლობაში არც გახსენებია. მაგრამ გრინს გული არ გასტეხია. იგი დაბრუნდა და გაათკეცებული ენერგიით განაგრძო თამაში. იმ სამ შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, ეი სის ზედიზედ ჩატარებული მატჩების რაოდენობა 1000-ს უახლოვდება. მეჯიქ ჯონსონის „ლეიკერსიდან“ და საერთოდ კალათბურთიდან



დალასელი ეი სი გრინი

წასვლის შემდეგ „ლეიკერსმა“ დაკარგა ძველებური ბრწყინვალება — გრინსაც გულმა სხვაგან გაუწია. იგი მოხვდა „ფინიქსში“, საიდანაც თავის დღევანდელ გუნდში — „დალასში“ გადავიდა.

როცა ამერიკაში გრინზე საუბრობენ, ყოველთვის იხსენებენ მისი კარიერის ორ მომენტს. პირველი იყო 1987 წელს, როცა „ლეიკერსი“ ჩემპიონი გახდა და მაშინ, როცა გახარებული თანაგუნდელები სასმელში იხრჩობოდნენ, მას ყლუპიც არ დაულევია. შამპანურის ბოთლი იატაკზე დადგა და წავიდა. ეს იმდენად ბუნებრივად გააკეთა, რომ დღესაც კი ყველას ახსოვს. მეორე მოხდა მაშინ, როცა იგი „ფინიქსში“ თამაშობდა. ნიუ იორკთან შეხვედრისას ფარქვეშ ბრძოლის დროს ჯეი არ რიდმა ისე მისცხო იდაყვი სახეში, რომ ორი კბილი ჩამოუღო. ბევრი მის ადგილზე ხურდასაც დაუბრუნებდა, მაგრამ გრინმა იატაკიდან კბილები წამოკრიფა და წყნარად დატოვა მოედანი. მან კიდევ წუთნახევარი დაჰყო მოედანზე.

გრინი ახლა 34 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრს სჯობნის. მას ფარქვეშ ნებისმიერი ფუნქციის შესრულება ძალუძს. თანაგუნდელები ამბობენ, ეი სი თავის წონა ოქროდ ღირსო. ალბათ შორს აღარ არის ის დრო, როცა გრინი კალათბურთის მოედანს დატოვებს. მაშინ მას მეტი დრო დარჩება თავისი ბიზნესის მისახედად. იგი ფლობს რამდენიმე რესტორანს პორტლენდში, აქვს ტანსაცმლის ფაბრიკა, სადაც კერავენ ტანისამოსს მასსავით დიდი კაცებისთვის. იგი დიდი ქველმოქმედიცაა — ხშირად მონაწილეობს სკოლებისა და ეკლესიების დაარსებაში.

# მრთხელ რომ რაგბს ითამაშებ...

ყველაფერს აქვს დასაბამი: 1823 წელს, შიდა ინგლისის დაბა რაგბში დაიბადა თანამედროვეობის ერთ-ერთი საყვარელი ბურთიანი თამაში რაგბი. რაგბს სათავე კოლეჯის მოწაფემ, უილიამ უებ ელისმა დაუდო: მობურთალთა გუნდის თავდამსხმელმა ერთ-ერთი შეხვედრისას ვერაფრით რომ ვერ მოახერხა ბურთის გატანა, გამწარებულმა მას ხელი დაავლო, გაქანდა და იგი კარს უკან, მიწაზე დადო — მოკლედ, ლელო გაიტანა. ასე დაიბადა რაგბი, რომელსაც ინგლისში თავიდანვე უამრავი მიმდევარი გაუჩნდა. მერე რაგბის კეთილმოსურნენი საზღვარგარეთაც გაჩნდნენ. ბევრმა ქვეყანამ შეითვისა და შეისისხლხორცა ეს ვაჟკაცური თამაში.

გავიდა წლები და ჩვენშიც შემოაღწია რაგბმა, ამას კი ქართული რაგბის სამყარო უწინარესად ბატონ **გივი მრელაშვილს** უნდა უმადლოდეს. ამ კაცმა არც თავი დაზოგა, არც თანამოაზრენი, რათა საქართველოშიც ეხარებინა სპორტის ეს სახეობა. ყველაფერი კი მოსკოვიდან დაიწყო.



გივი მრელაშვილი

**— ბატონო გივი, როდის და როგორ შეიტყვეთ რაგბის არსებობა? მაშინ საბჭოთა ხელმძღვანელები ხომ ყოველგვარ უცხო ხილს სკეპტიკურად უცქერდნენ და დიდადაც არ ეპიტნავებოდათ ქვეყანაში სიახლეთა გამოჩენა.**

— 50-იან წლებში მოსკოვში ვსწავლობდი საინჟინრო-ეკონომიკურ ინსტიტუტში. მოსკოვის ერთ-ერთ კინოთეატრში ირლანდიური ფილმი ვნახე „სიძულვილის სკოლა". სურათი ირლანდიის რევოლუციას ეძღვნებოდა და სწორედ რაგბის ფონზე ვითარდებოდა სიუჟეტი. ამის შემდეგ დავინტერესდი ამ სპორტით, ცოცხალი თამაში კი პირველად 1957 წელს ვნახე მოსკოვში, პროგრესული ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე.

**— ალბათ თქვენს გარდა უამრავმა ადამიანმა იხილა „სიძულვილის სკოლა" და ახალგაზრდული ფესტივალის მორაგბეთა ტურნირიც, მაგრამ თქვენსავით ბევრი არ აღუფრთოვანებია უცხო, ოვალური ბურთის ოსტატებს. მაინც რამ გადაგაწყვეტინათ ამ თამაშისადმი ერთგულება?**

— რაგბი ვაჟკაცური სპორტია, სხვათაგან განსხვავებული. ეს პირველი ნახვისთანავე შევიგრძენი და ჩავითქვი, ყველაფერი, რაც გამაჩნდა, რაგბისთვის გამეღო. 1959 წლის გაზაფხულზე გავიცანი იმდროინდელი საბჭოური „რაგბის მამა" ანატოლი სოროკინი, დავუმეგობრდი და საქმის კეთებაც ერთად დავიწყეთ. სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკთან" რაგბის სექციის საორგანიზაციო ბიურო შევქმენით. თანამოაზრენიც გამოგვიჩნდნენ. ჯერ ინსტიტუტებში და ფაბრიკა-ქარხნებში ჩამოვაყალიბეთ გუნდები. იმავე წელს მოსკოვის პირველობა გავმართეთ. რა თქმა უნდა, ჩემი ინსტიტუტის გუნდში თავადვე ვთამაშობდი.

მახსოვს, 1960 წლის 5 აგვისტოს „კომსომოლსკაია პრავდამ" მთელი გვერდი მიუძღვნა რაგბს. ეს დროული რეკლამა იყო, მოსკოვში მეტი ენთუზიასტი გამოუჩნდა ამ ახალ სპორტს, ადლერში საგანგებო სემინარიც კი გაიმართა. ამ დროისთვის უკვე შეგვეძლო გვეთქვა, რომ საბჭოთა კავშირში რაგბმა ფეხი მოიკიდა.

სხვათა შორის, მაშინდელი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" თავმჯდომარე ვახტანგ ჟღენტს დავურეკე და ვთხოვე, ადლერში ერთი ლელობურთელი მაინც გამოეგზავნათ, რათა რაგბის ანბანი ესწავლა. სამწუხაროდ, ამხელა უწყებას ერთი კაცის მისავლინებელი ფული არ აღმოაჩნდა. ჩანდა, საქართველოში დიდად არ აინტერესებდათ ეს სპორტი.

**— არადა, ბატონო გივი, ქართველებს გვაქვს ლელობურთი — რაგბის მონათესავე სახეობა. წესით, რაგბის დანერგვა საქართველოში არ უნდა ყოფილიყო საძნელო საქმე.**

— მოკლედ გიამბობთ, რა და როგორ იყო. 1961 წელს გავიცანი რეპატრიანტი, სომეხი ჟაკ ასპეკიანი. ეს კაცი საფრანგეთიდან დაბრუნდა, ერთხანს ერევანში ცხოვრობდა, შემდეგ თბილისში დაიდო ბინა. რაგბის მცოდნე და ტრფიალი იყო. მე დავურეკე სოროკინს და ვთხოვე, ხელი შეეწყო საქართველოში რაგბის განვითარებისთვის. უარს ლამის არაფერზე მეუბნებოდა სოროკინი, ასპეკიანიც შესაშური თანამოაზრე გამოდგა. მალე თბილისის სპორტკომიტეტთან რაგბის საორგანიზაციო ბიურო შევქმენით. 1962 წელს ბიურო ფედერაციად გადაკეთდა, ამავე წლის გაზაფხულზე კი თბილისში ოთხ გუნდიანი ტურნირიც გავმართეთ. შემდეგ თბილისის გუნდების ნაკრებმა მოსკოვის „სპარტაკთანაც" ითამაშა 6:6. გამოცდილ მეტოქესთან მოპოვებული ეს ფრე დიდი მიღწევა იყო.

მოსკოველი მეგობრების, სპორტის იქაურ თავკაცთა და ენთუზიასტთა წყალობით მალე გაშალა რაგბმა ფრთები. ცნობილი ფიზიკოსის ევგენი ფირსოვის შემწეობით თბილისის გუნდი 1962 წელს მინსკს ეწვია. ფირსოვი რიგაში, რესტორანში გავიცანი, მალე დავმეგობრდით და მისი წყალობით ჩვენი მორაგბეების ეს ტურნე ბელარუსებმა დააფინანსეს. ჩვენმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს და მარტო ფინალი წააგეს მოსკოვის ბაუმანის სახელობის სასწავლებლის გუნდთან.

**— ვიცი, თავადაც საკმაოდ კარგად თამაშობდით, შემდეგ მსაჯობდით, ცნობილ მწვრთნელადაც გიცნობენ. იქნებ ამაზეც გვეთქვათ რაიმე?**

— მაინცდამაინც დიდხანს არ მიბურთავია, დიდი მორაგბე არა ვყოფილვარ, მაგრამ არც ურიგოდ ვთამაშობდი. მერე ერთხანს ვმსაჯობდი კიდეც, ყველაზე ნაყოფიერი კი მაინც ჩემი სამწვრთნელო მოღვაწეობა იყო. საქართველოს რამდენიმე გუნდის თავკაცი ვიყავი, უმეტესობა ჩემი შექმნილი და დაარსებული იყო. მაგრამ, რაც უნდა მეკეთებინა, ჩემი საქმე მუდამ მქონდა რაგბის ფედერაციაში და იქაც ვსაქმიანობდი. ჩემს არყოფნაში დათო თაქთაქიშვილი და სანდრო მელითაური უძღვებოდნენ საქმეს, მაგრამ ქადილში ნუ ჩამითვლით და წლების მანძილზე ფედერაციაში მაინც პირველ პირად ვითვლებოდი.

**— ბრძანეთ, რაგბი ვაჟკაცური სპორტიაო. გეთანხმებით, მაგრამ იქნებ დაგვეკონკრეტებინათ?**

— რაგბისას ხშირია ჩხუბი და აყალმაყალი, მაგრამ მოედანზევე ტოვებენ მოშუღარნი წყენას და მატჩის შემდეგ მეგობრებად რჩებიან. თავმდაბალი და უპრეტენზიო, ამასთან, მეტად თავმოყვარე და ამაყი ხალხია მორაგბეები. როცა რაგბი თბილისში ფეხს იდგამდა, ვინ აღარ თამაშობდა მას — „ბირჟაეიკები", ძველი ბიჭები, დამრტყმელი თბილისელი ვაჟკაცები, თავ-თავიანთი უბანი ხელში რომ ეჭირათ და ყველა პატივს ცემდა.

ლეო ახვლედიანი, მიშიკო შენგელია, ალეკო შამუგია და სხვები ცხოვრებაშიც და მინდორზეც ვაჟკაცები იყვნენ. ისიც ბევრჯერ ყოფილა: თბილისელი ყოჩები თამაშზე რევოლვერითა და ბებუთებით შეიარაღებული მოსულან, ჩემთვის შესანახად მოუციათ იარაღი, ჯიგრიანი რაგბი უთამაშიათ, სული და გული ჩაუდიათ და მერე თავიანთ საქმეზე წასულან — საქეიფოდ, საჩხუბრად, საქმის გასარჩევად...

არა, ნურავინ ნუ მიწყენს და, სპორტის სხვა სახეობათაგან განსხვავებით, რაგბს რაღაც სხვა ეშხი და ლაზათი აქვს, თანაც, ერთხელ რომ ითამაშო რაგბი, თავს ველარ დაანებებ: იქნებ მოედანზე ველარ გახვიდე, მაგრამ მორაგბეთა დიდი საძმოს წევრი კი ხდები.

**— ბატონო გივი, თქვენი და თქვენი თაობის ნაჭირნახულევმა, დამეთანხმებით, ნაყოფი გამოიღო. ჩვენი მორაგბენი ჩვენზე გამოცდილ და ტიტულოვან მეტოქეთ ტოლს არ უდებენ. ალბათ, ღირდა წვალებად და გარჯად დღევანდელი ქართული რაგბი...**

— ვიდრე ამაზე მოგახსენებთ, ორიოდ სიტყვას კვლავ წარსულზე ვიტყვი. არ დამავიწყდება 1966 წელი, როცა პირველად ჩატარდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და ისე, ბევრი რომ არ ელოდა, თბილისის „დინამო" მხოლოდ ფინალში დამარცხდა ბაუმანის სახელობის სასწავლებლის გუნდთან.

1967 წელს, ივნისში, თბილისს პირველი უცხოელი მორაგბენი ეწვივნენ — ფრანგი მასწავლებლების გუნდი. მართალია, ჩვენებმა წააგეს გურჯაანშიც და თბილისშიც, მაგრამ მაინც ნიშანდობლივი მოვლენა იყო ფრანგთა სტუმრობა.

იმავე წლის ნოემბერში თბილისის „დინამოს" პირველი გასვლა იყო უცხოეთში: ჩემმა შეგირდებმა პოლონეთში ვარშავის „სკრას" მოუგეს 9:3. აი, სწორედ გუნდის პოლონეთიდან დაბრუნებისთანავე ჩატარდა პირველად საქართველოს პირველობა. ჩემპიონი, რა თქმა უნდა, „დინამო" გახდა.

საქართველოს პირველობის გამართვა თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ რაგბი თბილისს გაცდენოდა და საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოეკიდებინა ფეხი — ბათუმში, ქუთაისში, ჩოხატაურში...

აი, ასე მოვედით დღევანდლამდე. წარსულზე სათქმელი და საამბობი ბევრია, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ. დღეს საქართველოს მართლაც კარგი მორაგბეები ჰყავს, ნიჭიერი და თავდადებული ბიჭები. ეროვნული ნაკრები მსოფლიო თასის შესარჩევ შეჯიბრში წარმატებით თამაშობს. ქვეყნის ჩემპიონატსაც ვმართავთ. დიდი პოტენცია აქვთ ჩვენს ბიჭებს — სურთ, მალე მიუახლოვდნენ მსოფლიო ელიტას, ოღონდ ხელშეწყობა და თანადგომა ჭირდებათ. ნურავინ მიწყენს და დღეს ქართულ რაგბს იგივე პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, რაც 30 წლის წინათ, მაგრამ მე მაინც მეიმედება მომავლისა.

**— ბატონო გივი, მდიდარი ბიოგრაფიის კაცი ბრძანდებით. შეუძლებელია, კურიოზების გარეშე გეცხოვრათ.**

— კი, ბატონო. აბა, რაგბში იყო და რაიმე კურიოზი არ გაიხსენო, წარმოუდგენელია. თბილისის „დინამო" რიგაში იქაურ „ვეფს" ხვდებოდა. ჩვენ ვიგებდით შეხვედრას, წამებილა იყო დარჩენილი მატჩის დასრულებამდე და მსაჯმა სულ ტყუილუბრალოდ დააჯარიმა ჩვენები. რიგელებმა ჯარიმა გაიტანეს და მატჩიც მოიგეს.

ეს ერთ-ერთი საკავშირო ტურნირის ფინალური შეხვედრა იყო და რიგელებს, როგორც გამარჯვებულებს, იშვიათი სილამაზის თასი გადასცეს. არადა, თამაშის დაწყებამდე ჩვენს ბიჭებს გულით სურდათ ამ ჯილდოს თბილისში წამოღება. დინამოელებს იქვე, მოედანზე, ვ. ი. ლენინის პორტრეტიანი ჟეტონები ჩამოურიგეს. ამირან ლობჟანიძემ დაუარა გუნდს, ყველას გამოართვა საჩუქარი, მუჭში მოაგროვა, მივიდა ტრიბუნებთან და მაყურებლებში გადაყარა.

აბა, ლენინის შეურაცხყოფას მაშინ ვინ გაპატიებდა. ატყდა ერთი ამბავი. იმ საღამოსვე სასტუმროში დაგვადგნენ უშიშროების თანამშრომლები. ამირანი დავმალეთ, არ გამოვაჩინეთ. ქართული მარიფათისა მოგეხსენებათ, ჩავფარცხეთ საქმე. ბოდიში კი მოვუხადეთ „კაგებეშნიკებს", მაგრამ თავიც ვიმართლეთ: ჟეტონებზე ბელადის ჯეელობის სურათი იყო ამოტვიფრული და ვერ ვიცანით, თორემ დიდ ლენინს ასეთ რამეს როგორ შევკადრებდით; ჟეტონებიც მაყურებლებში მათი პატივისცემის ნიშნად მოისროლა ლობჟანიძემ-მეთქი.

ერთ სალაღობო ამბავსაც გიამბობთ. 1963 წელს თბილისში პროფკავშირების საბჭოს პირველობა ტარდებოდა. მორაგბენი, სტუმრებიცა და ჩვენი გუნდიც ერთ სასტუმროში იყვნენ დაბინავებული. ამ დროს რუსეთიდან მოცეკვავეთა რამდენიმე ანსამბლი ჩამოვიდა. წარმოიდგინეთ — 150-მდე აშოლტილი და ყელმოღერებული რუსის გოგო. არ გინდა ბიჭების დაკავება და სავარჯიშოდ გატყუება?

რა არ ვილონე, ფორმიდან რომ არ ამოვარდნილიყვნენ. მოკლედ, იყო ერთი ამბავი და საოხუნჯოც არ დაგვლევია. ოლეგ კობახიძეს მიშიკო ბენიაშვილი ურეკავდა ყოველდღე, ქალის ხმით სიყვარულს ეფიცებოდა და პაემანს უნიშნავდა. ბენიაშვილს ეხერხებოდა მუცლით მეზღაპრეობა, სხვისი ხმის მიბაძვა და ლამის გადარია კობახიძე.

მე ვიცოდი ეს ამბავი და სიცილს ძლივს ვიკავებდი, როცა ოლეგი მოდიოდა და ორიოდ საათით განთავისუფლებას მთხოვდა: გადაუდებელი საქმე მაქვს, უნდა გამიშვაო. არადა, ბენიაშვილმა, რა თქმა უნდა, [illegible] ჩვენი გუნდის [illegible] ემნის [illegible] და საათს დაუთქამდა, [illegible] ვარჯიშზე [illegible]. მინდოდა კი, მაგრამ ვერ ვათავისუფლებდი კობახიძეს. ბოლოს შეეცოდათ ბიჭებს შეყვარებული ოლეგი და გაუმხილეს ხუმრობის ამბავი.

**— ყველაზე დიდი სიხარული, რომელიც რაგბმა გაჩუქათ...**

— ყველაზე დიდი სიხარული 1987 წელს განვიცადე, ქუთაისის „აია" რომ გაჩემპიონდა. მაშინ „აიამ" მართლაც დამსახურებულად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და იმდროინდელი უძლიერესი გუნდები ჩამოიცილა გზიდან. მახსოვს, „აიას" თბილისელმა მორაგბეებმა შეხვედრა მოვუწყეთ, სასტუმრო „აჭარის" რესტორანში ბანკეტიც გავუმართეთ. არ დამავიწყდება, ქუთაისელები ავტობუსში რომ ჩასხდნენ, თბილისელებმა მორაგბეთა ყაიდაზე ცოცხალ დერეფანში გავატარეთ ავტობუსი.

დიდად გამახარა შარშან საქართველოს ნაკრების გამარჯვებამ რუსეთის ნაკრებთან. ეს არ იყო მარტო რაგბი, ეს იყო ქართველი კაცისგან რუსის ძლევა, მეტად საამაყო და სახელიანი.

*ბატონ გივი მრელაშვილს იმდენი აქვს საამბო და სათხრობი ქართულ რაგბზე, რომ ყველაფრის თქმას გაზეთის რამდენიმე ნომერი ვერ ეყოფა. სამომავლოდ ალბათ კიდევ არაერთხელ დაიწერება ბატონ გივიზე, ამჯერად კი, რაც გვიამბო, იმას დავჯერდეთ, თანაც ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზეზიც გავიხსენოთ:*

*გივი მრელაშვილი ახლახან 60 წლისა შესრულდა. რა თქმა უნდა, მილოცვა არ დაკლებია ქართული რაგბის ქურუმსა და ოვალურ ბურთზე შეყვარებული თაობების ჭირისა და ლხინის მოზიარეს. გივი მრელაშვილი ახლაც რაგბით ცოცხლობს და სულდგმულობს. თუკი ვინმეს შეუძლია განვლილ გზას მიხედოს და ამაყად თქვას, ამ ქვეყნად მიცხოვრია და ჩემი ვალი მომიხდიაო, ერთ-ერთი პირველი გივი მრელაშვილი იქნება.*

**ლევან ჯაჯახიშვილი**

ძიუდო

# „ტექნიკ ხაბარელი" — ასრულებს გია გუგავა

*1995 წელს გია გუგავამ ინგლისში, ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეების მძიმეწონოსანთა შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა. იგი ერთადერთხელ დამარცხდა თავისზე 40 კილოგრამით მძიმე მეტოქესთან, ოღონდ ისე, რომ ქულა არ დაუკარგავს — შეხვედრის ბედი გაფრთხილებამ გადაწყვიტა.*

*ამას 17 წლის ასაკში ატლანტის ოლიმპიადის სალიცენზიო, მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა, ორი მოგება და მხარის ამოვარდნა მოჰყვა, რამაც გუგავას მთელი სეზონი გამოატოვებინა.*

*წლეულს კი, ორი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორობა, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა და ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მოგება — ასეთია გია გუგავას მონაგარი ახლადდაწყებულ სპორტულ კარიერაში.*

— ევროპის ჩემპიონატზე მხოლოდ პირველი ადგილის დაკავებაზე ვფიქრობდი. ერთი რამ ვიცოდი — ყველა შეხვედრა, ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე უნდა მეჭიდავა და მომეგო. თავიდან ბელგიელს წამებში მოვუგე — გადავლებულიდან ფეხიდან ავგლიჯე და დავახეთქე. ყველაზე მძიმე შეხვედრა კი ებრაელ ზეევისთან მქონდა.

**— მასთან საჭიდაოდ საგანგებოდ თუ მოემზადე?**

— არა, გავედი და ვეჭიდავე, მოვკიდე ხელი და დავაგდე. სულ ეგ იყო.

**— გამოდის, შეხვედრის წინ კონკრეტული მეტოქის ავ-კარგი საგანგებოდ არ უნდა განიხილო?**

— უნდა განიხილო, თუკი მეტოქეს იცნობ. მე არ ვიცნობდი ზეევს. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ივერი ჯიქურაულს მოუგო. მთლად დაწყნარებული არ ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი, შეხვედრა რომ მომეგო — ჩემპიონი გავხდებოდი.

**— რატომ, დანარჩენები არ იყვნენ ძლიერები?**

— როგორ არა, მაგალითად, უკრაინელი სტაცენკო კარგი ბიჭია, ტანკივით არის. ორი წლის წინ ბრესტში შევხვდი ჭაბუკთა ტურნირზე და შევბოჭე. ახლა თავიდან მიგებდა — ფეხიდან აყვანა არ გამომივიდა, როცა მიწაზე დავსვი, ფეხი გამომართვა და იუკოზე დამაგდო. მერე იგივე ფანდით ვაზარი ავუღე და საბოლოოდ წმინდად მოვუგე.

**— ფინალის წინ ნაკრების მწვრთნელისთვის ჯემალ ნათელაშვილისთვის გითქვამს, ამ ბელარუსს სადაც თქვენ იჯდებით, იქ დავაგდებო...**



გია გუგავა

— ჯემალ მასწავლებელი ძალიან ნერვიულობდა. როგორი საქმეა, შვიდი სპორტსმენი ვყავდით წაყვანილი და დამხმარედ არავინ ჰყოლია. მარტო ჩემთვის ხომ არ უნდა მოექცია ყურადღება...ჰოდა, რომ შევატყვე, ადგილს ვერ პოულობს, მივედი და რაც გითხრათ, ის დავპირდი.

**— დანაპირები ზუსტად შეასრულე, მაგრამ შეხვედრის წინაც დარწმუნებული იყავი, რომ აგრე იოლად მოიგებდი?**

— გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარებოდა, თუმცა თავიდან ფინალსაც ვაგებდი.

საინტერესოა, რომ დარბაზში კომენტატორი ყველა ჩატარებული ილეთის სახელს იაპონურად ამბობდა, რითაც მაყურებელს ერთგვარად ანათლებდა. ჩემს მიერ გაკეთებულ ფანდს იაპონური შესატყვისი არა აქვს, რადგან ქამარში გადავლება წმინდა ქართული ჩავლებაა. ამას შესანიშნავად ასრულებდა ჩვენი მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი და ფანდსაც „ტექნიკ ხაბარელი" ჰქვია. ასე რომ, ბატონი შოთას გვარი ერთი-ორჯერ სლოვენიაშიც გამოვაცხადებინე.

**— „შევარდენის" თავკაცი ბერდია გუგავა შენი ნათესავია?**

— ბერდია გუგავა და მამაჩემი ბიძაშვილები არიან. მეც „შევარდენის" წევრი ვარ. პრივილეგია არა მაქვს — ბიძაჩემი ყველაზე მეტს ჩემგან ითხოვს. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი — ბიძა კი არა, მამა ვერ გაუკეთებს ჩვენს ძიუდოისტებს იმდენს, რასაც ბერდია გუგავა უკეთებს.

**— ორიოდ თვის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე შენი მარცხის მიზეზები ავხსნათ...**

— დავიწყოთ იმით, რომ ბავშვობიდან არ ვიცოდი, რა არის წონის დაკლება, არ მჭირდებოდა და იმიტომ. პარიზში ოთხიხუთი კილოგრამის დაკლებამ მომიწია. ეს იოლად კი შევძელი, მაგრამ მერე და მერე გამოვიფიტე. ძალებიც სწორად ვერ გავანაწილე. მეორე შეხვედრას უკრაინელ მაშურენკოს დიდი უპირატესობით ვუგებდი. 30 წამი რომ დარჩა, ძალა ერთბაშად გამომეცალა და ორი საბედისწერო გდებაც გამომეპარა. ამ შერკინებაში ბოლომდე გავიხარჯე. მერე ცუდად გავხდი. თავბრუ მეხვეოდა და ვგრძნობდი, ენერგია სადღაც მიქრებოდა. მაინც გავედი საჭიდაოდ. ერთი მოვიგე. მერე იაპონელ ფუჯიტასთან ისე დავიღალე, ერთხანს ვიფიქრე, ხომ არ შევწყვიტო ჭიდაობა-მეთქი. საოცარი კი ის იყო, რომ ვიცოდი, რა და როგორ უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ჯანი არ მქონდა. გამოუცდელობამაც თავისი გაიტანა — დიდებში პირველად ვიჭიდავე ოფიციალური შეჯიბრება და პირდაპირ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვდი.

**— ახალი წლიდან წონითი კატეგორიები იცვლება. შენ რომელ წონაში გამოხვალ?**

— წონების შეცვლა თითქოს საგანგებოდ ჩემთვის მოიგონეს. ჩემი წონა 90-92 კილოგრამში მერყეობს. ასე რომ, გაისად 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოვალ. გნებავთ, ეს ფაქტი, გნებავთ, ევროპის ჩემიონობა, სულაც არ მაძლევს იმის გარანტიას, რომ ნაკრებში პირველი ნომერი ვიქნები. ჩემს წონაში ძალიან კარგი ბიჭები გამოდიან. მათაც აქვთ თავმოყვარეობა და უბრძოლველად არავის არაფერს გაატანენ.

**ქახა არჯევანიძე**

# ფავორიტები გაანაწყენეს

**ნიუ-იორკი. „ჩეიზის" მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო ფონდი 2 მილიონი დოლარი**



მარი პირსი

ოთხშაბათს და ხუთშაბათს „ჩეიზის" ჩემპიონატზე ერთეულებში ორ-ორი შეხვედრა გაიმართა და თითოეული მათგანი მოულოდნელი შედეგით დასრულდა.

ოთხშაბათს პირველი წრის შემორჩენილ შეხვედრაში თანამემამულენი, ყოფილი მეწყვილენი და, როგორც თავად ირწმუნებიან, დიდი მეგობრები — ლინდსი დევენპორტი (3) და მერი ჯო ფერნანდესი შეხვდნენ ერთმანეთს. ძონძროხა დევენპორტმა ამ შემოდგომაზე ერთობ მოიწადინა, ზედიზედ ორი დიდი ტურნირი მოიგო და კლასიფიკაციაში კარიერაში უმაღლეს — მეორე ადგილს უწია. ამიტომ მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ ძვალტყავა, ტრავმებისგან გატანჯულ ფერნანდესს მაინც ვერ გასცდა. პირველი სეტი ძონძროხა ლინდსიმ დამაჯერებლად მოიგო და მეორეშიც თავიდანვე გაუტია, მაგრამ ერთ-ერთი გათამაშების დროს ფერნანდესი კორტს დაენარცხა და ხელი გადაიტყავა. მერი ჯოს მკურნალობა და იდაყვის შეხვევა დასჭირდა, მაგრამ კორტს სულ სხვა მოთამაშედ დაუბრუნდა — თუ ადრე დარტყმების უმეტესობას კარგა მანძილით აცილებდა, მოულოდნელად ხაზების „აწიოკება" დაიწყო და ფერხორციანი მეტოქე მოედნის ერთი ბოლოდან მეორეში სირბილით გატანჯა. ფერნანდესმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე გადამწყვეტ პარტიაში 1:4 ჩამორჩენაც აანაზღაურა და ტაი-ბრეიკზე განიავებული 3 მატჩ-პოინტის მიუხედავად 2 საათსა და 18 წუთში მაინც გაიმარჯვა 2:6, 6:4, 7:6 (9:7).

მსგავსი სცენარით წარიმართა დღის მეორე შეხვედრაც. მონიკა სელეში ესპანელ ქალებს არასოდეს სწყალობდა — კონჩიტა მარტინესთან და არანჩა სანჩესთან ოცდაათიოდე პირად შეხვედრაში თითოჯერ წაეგო, მაგრამ ეს ხომ ის მონიკა აღარ არის. თითქოს გულმა უგრძნოო, ამერიკელი სათამაშოდ შავებში გამოწყობილი გამოვიდა და დევენპორტის მსგავსად მარტო პირველი ხელის მოგება მოახერხა. მისი მეტოქე — არანჩა სანჩესი მთელი მატჩის განმავლობაში მარტო ბურთების უკან გადაგდებაზე ფიქრობდა და შემტევ ჩოგბურთს ათასში ერთხელ თუ უჩვენებდა, მაგრამ მეორე სეტში 1:4-დან ზედიზედ ხუთი გეიმიც მოიგო და საბოლოოდ საშობლოს მტერზე მეორე გამარჯვებაც იზეიმა 3:6, 6:4, 6:4.

ხუთშაბათს „მედისონ სკვერ გარდენში" უკვე პირველი მეოთხედფინალები შედგა და სენსაციათა სერია კვლავ გაგრძელდა. კორტზე პირველნი წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტები — ფრანგი მარი პირსი და მსოფლიოს პირველი ჩოგანი — მარტინა ჰინგისი გამოვიდნენ. პირად შეხვედრებში 3:2-ს პირსი კი იგებდა, მაგრამ 17 წლის შვეიცარელის აღზევების მერე ფრანგს ორივე მატჩი სამარცხვინოდ ჰქონდა წაგებული და არც ახლა უქადდნენ რაიმე უკეთესს, მაგრამ შეხვედრა სულ სხვანაირად წარიმართა — პირველივე სეტში პირსი 5:0 დაწინაურდა და უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვია. მერე შვეიცარელმა გამოიდო თავი და ანგარიში გაათანაბრა, გადამწყვეტ პარტიაში კი წინაც გავიდა — 4:2, 5:4, მაგრამ უნებისყოფობით ცნობილი ფრანგი დიაცი ამ დღეს საკუთარ თავს არა ჰგავდა. პირსმა მეტოქეს თამაშის საკუთარი სტილი მოახვია თავს — მოულოდნელი, მაგრამ ძლიერი და ზუსტი შეტევებით და 5:5-ზე ბრეიკიც გაახერხა. უკანასკნელ, უსაშველოდ გაწელილ გეიმში ფრანგი ძალზე აღელდა და ყოველნაირად ცდილობდა გათამაშებებს შორის დროის მოგებას — ხან ბენდენას შეისწორებდა, ხან ჩოგნის სიმებს, ხან თითქოს თასმებს იკრავდა, ყოველი მოწოდების წინ კი იმდენს ოხრავდა, რომ მსაჯისგან დროის გადამეტების გამო შენიშვნაც მიიღო, მაგრამ საბოლოოდ სამი ბრეიკ-პოინტიც გადაარჩინა და ნახევარფინალის საგზურიც მოიპოვა — 6:3, 2:6, 7:5. მარიმ მატჩის მერე განაცხადა, მთლად დიდი სლემის ტურნირის მოგებასავით არ გამხარებია, მაგრამ ლამე აშკარად კარგად დამეძინებაო. ჰინგისმა კი, რომელიც მატჩის განმავლობაში თავისი ჩვეული სიცილ-კისკისის ხასიათზე აშკარად ვერ იყო, ისლა დაამატა, ჩემპიონატზე ასე ადრე გავარდნას ნამდვილად არ ველოდიო.

პირსის მეტოქე ნახევარფინალში მისივე თანამემამულე — ნატალი ტოზია იქნება. ტურნირის ყველაზე მხცოვანმა მონაწილემ მეექვსედ განთესილ ხორვატ ივა მაიოლის მოუგო, რომელმაც წაგების გამოტირება ნანგის ცრემლებით კორტზე თამაშის დროსვე მოასწრო. საბოლოო ანგარიშია 7:6 (9:7), 7:6 (7:4) ფრანგის სასარგებლოდ.

**ჰარტფორდი. აშშ. „ფინიქსის" მსოფლიო ჩემპიონატი წყვილებს შორის. საპრიზო ფონდი 500 ათასი დოლარი.**

ერთეულების მსგავსად მსოფლიოს ჩემპიონატი წყვილებს შორისაც იმართება. მართალია, ნაკლები საპრიზო ფონდით, მაგრამ უფრო ჭრელ-ჭრელ ფერებში — ამათთან წინასწარ ჯგუფებს რატომღაც ყვითელი და მწვანე ჰქვიათ. ტურნირის ფავორიტები ჰარტფორდში, რაღა თქმა უნდა, ავსტრალიური „ვუდების" დუეტია — ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი, რომელთაც ბოლო ხუთი ჩემპიონატიდან ოთხში ფინალისთვის მიუღწევიათ, ორჯერ კი — 1992-სა და 1996-ში ჩემპიონებიც გამხდარან. წლეულს მათ დიდი სლემის ორი ტურნირი მოიგეს — ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი (ზედიზედ მეხუთედ) და მესამე წელია, მსოფლიოს პირველი წყვილის ტიტულიც გაინაღდეს. ავსტრალიელთა მთავარი მეტოქე მეორედ განთესილი, ელტინგისა და ჰაარჰიუსის ჰოლანდიური დუეტი იქნება, რომლებიც „ვუდებს" პირად შეხვედრებში 8:6-ს უგებენ. ტურნირი გაცილებით საინტერესო იქნებოდა, ზოგიერთ ბობოლა ჩოგბურთელს იქ ჩასვლა რომ ეკადრა. „ვუდების" მსგავსად წლეულს დიდი სლემის ორი ტურნირის მომგები რუსი ევგენი კაფელნიკოვისა და ჩეხი დანიელ ვაცეკის წყვილიდან პირველმა მშობლიურ სოჭში მოსვენება არჩია, მეორე კი უჯახის ახალ წევრს ელოდება და სათამაშოდ სულაც არ სცხელა. მსოფლიო ჩემპიონატის ყოფილი გამარჯვებულები — მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი, შვედი იონას ბიორკმანი და ნიკლას კულტი კი ამერიკელებთან დევისის თასის ფინალისთვის ემზადებიან.

### პირველი ტური

**მწვანე ჯგუფი**

**რიკ ლიჩი და ჯონათან სტარკი (აშშ) (4) — სებასტიან ლარო (კანადა) და ალექს ობრაიენი (აშშ) (6) 6:4, 3:6, 6:3; ტოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) (1) — დონ ჯონსონი და ფრანსისკო მონტანა (აშშ) (8) 6:4, 6:1;**

**ყვითელი ჯგუფი**

**მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი (ინდოეთი) (5) — ელის ფერერა (სამხრეთ აფრიკა) და პატრიკ გალბრაიტი (აშშ) (3) 7:5, 6:4; იაკო ელტინგი და პოლ ჰაარჰიუსი (ჰოლანდია) (2) — მარკ ნოულსი (ბაჰამის კუნძულები) და დანიელ ნესტორი (კანადა) (7) 6:4, 7:6 (7:4).**

### მეორე ტური

**მწვანე ჯგუფი**

**ლარო და ობრაიენი — ჯონსონი და მონტანა 6:3, 3:6, 6:3; ვუდბრიჯი და ვუდფორდი — ლიჩი და სტარკი 6:3, 6:7 (4:7), 7:6 (7:5)**

**ყვითელი ჯგუფი**

**ფერერა და გალბრაიტი — ნოულსი და ნესტორი 6:2, 6:7 (6:8), 7:5; ელტინგი და ჰაარჰიუსი — ბჰუპატი და პაესი 6:3, 6:2.**

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ორი ტურის შეხვედრებში „ვუდებმაც" იმარჯვეს და ჰოლანდიელებმაც, თუმცა, ელტინგ-ჰაარჰიუსის წყვილმა ნახევარფინალში გასვლა უკვე გაინაღდა, ავსტრალიელებს კი ამისათვის ჯგუფის ბოლო შეხვედრაში ერთი სეტის მოგება მაინც სჭირდებათ.

**ავთანდილ სვანიძე**



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ტორონტო 3:1 ფილადელფია**

**შაიბები: იუნსონი 5 (1:0), ბერეზინი 6 (2:0), სუნდინი 7 (3:0), გრეტონი 4 (3:1)**

**ფილადელფია 0:3 სან ხოსე**

**შაიბები: ბოჯერი 3 (0:1), ლოური 1 (0:2), ბოჯერი 4 (0:3)**

კარგა ხანია, მრისხანე ფილადელფია ასე არ დაუმცირებიათ, მარცხი მარცხად, მაგრამ ორჯერ აუტსაიდერებთან წაგებას და სეზონში უსუსტესი მატჩების ჩატარებას გამართლება არ აქვს. „მფრინავებმა" ბოლო წლებში მეტადრე ტორონტო დაიბრიყვეს, რამაც, ეტყობა, ისინი დაამშვიდა. სტუმრები ვერც პირველმა გაშვებულმა გოლმა გამოაფხიზლა, ხოლო მეორე პერიოდში, როცა ტორონტომ ოთხი დარტყმიდან ორჯერ შეაგდო და თანაც ორივე კომბინაცია სუნდინთან და ბერეზინთან პირველად შეამხანაგებულმა კოროლიოვმა (2 პასი) წამოიწყო, ნათელი გახდა, რომ ეს „მფრინავთა" დღე არ იყო. ყოველივე ამას ფილადელფიის ლიდერის, ლინდროსის აბუჩად აგდებაც დაემატა — მას ხან ჰაერში ფრენა უხდებოდა, ხანაც დაჩოქება. ბოლოს და ბოლოს, ლინდროსმა ველარ მოითმინა და სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, ჩხუბით იჯერა გული.

შინ დაბრუნებული ფილადელფია სან ხოსეს ეკვეთა, მაგრამ კალიფორნიელთა კარში მდგარმა მაიკ ვერნონმა გაცხარებულ მეტოქეს კვლავ აგემა ბოლო სტენლის თასის ფინალში ნაჭამი სირცხვილი, ოღონდ მაშინ გოლკიპერი დეტროიტის ღირსებას იცავდა. წინა შეხვედრის დარად, საბედისწერო მეორე პერიოდი გამოდგა, როცა გათამამებულმა სანხოსელებმა 3 გოლი გაიტანეს, აქედან 2 მცველ ბოჯერის ანგარიშზეა. ახლა მას 500 ქულა აქვს.

საბოლოოდ სან ხოსემ, რომელმაც 12 დარტყმით სეზონის ანტირეკორდი დაამყარა, ბოლო 7 მატჩში პირველად მოიგო.

# ჰაშეკმა ბოსტონი დაიფრინა

**19 ნოემბერი. კაროლინა — მონრეალი 2:1, პიტსბურგი — ბოსტონი 3:3, ტამპა — რეინჯერსი 6:3, დეტროიტი — აილენდერსი 2:3, დალასი — ედმონტონი 3:2, ანაჰაიმი — ჩიკაგო 0:4.**

**20 ნოემბერი. ბოსტონი — ბუფალო 0:5, ოტავა — პიტსბურგი 0:2, ნიუ ჯერსი — აილენდერსი 5:1, ფლორიდა — კალგარი 1:2, ვანკუვერი — ფინიქსი 4:2, ლოს ანჯელესი — ჩიკაგო 4:3, სენტ ლუისი — ედმონტონი 0:3.**

როგორც იქნა, ტამპას ახალმა მწვრთნელმა ჟაკ დემერმა პირველი გამარჯვება იზეიმა. სარეკორდო, 16-მატჩიანი უხეირო სერია „ელვებმა" რეინჯერსთან შეწყვიტეს. მატჩის მთავარმა გმირმა, ტამპას ვეტერანმა რობ ზამუნერმა 22 წუთში ჰეთ-თრიქი შეასრულა, აქედან ერთი გოლი უმცირესობაში გაიტანა.

ვანკუვერს უმალ დაეტყო ახალი თავკაცის — კინენის ხელი. გუნდს თითქოს ფრთები შეესხა და ფინიქსთან გამარჯვებამ კანადელთა იღბლიანი სერია 4 მატჩამდე გაზარდა (+3-1-0). ლომის წილი კვლავ წამყვანმა სამეულმა დაიდო: მოგილნიმ (3 მატჩში 4 შაიბა) უმცირესობაში გაათანაბრა ანგარიში, მესიესა და ბურეს კომბინაცია კი მურზინმა (2) გადამწყვეტი გოლით დაასრულა. სხვათა შორის, ბოლო 10 თამაშია, მესიე უქულოდ არ ტოვებს მოედანს.

ბოსტონთან შეხვედრამ სრულად გამოაჩინა ბუფალოს გოლკიპერის — ჰაშეკის რეალური ძალა. ყველაზე მწვავე მეორე პერიოდი იყო, როცა მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, ჩეხი კი მშვიდად იგერიებდა შეტევებს. მისმა პარტნიორებმაც, ფაქტობრივად, ყველა შანსი გამოიყენეს. საბოლოოდ ჰაშეკმა პირველი „მშრალი" მატჩი (კარიერაში — 21-ე) მიითვალა და ეს წარმატება მას, ალბათ, მხნეობას შემატებს.

საინტერესოა: ამ ორი დღის განმავლობაში სატურნირო ცხრილში უფრო დაბალ საფეხურებზე მყოფი ჩრდილო-აღმოსავლეთის გუნდები ერთგვარად შეეჯიბრნენ ერთმანეთს — ყველამ კარგად იასპარეზა. კაროლინამ შეძლო მონრეალის დამარცხება და კანადელთა წამყვანი სამეულების განეიტრალება, რაც ბოლო ხანს ერთობ გართულდა. გადამწყვეტი გოლი ონეილმა გაიტანა.

პიტსბურგი კი თავის უშუალო კონკურენტებს შეეჯახა და, შეიძლება ითქვას, იმარჯვა ამ ჭიდილში. მართალია, „პინგვინებმა" ბოსტონს ვერ მოუგეს, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ და ორი ქულა გამოცდილი ბურკის დარტყმამ დააკარგვინათ.

ამ შეხვედრას თვით მარიო ლემიე ესწრებოდა, რომელიც ორი დღის წინ „დიდების დარბაზის" საპატიო წევრი გახდა. იგი ბოსტონის უცვლელი კაპიტნის, რეი ბურკის თამაშსაც ადევნებდა თვალყურს, რომელსაც სუპერმარიოს წინააღმდეგ მის პირველ და ბოლო მატჩებში უასპარეზია და ლეგენდარული ჰოკეისტის პირველი დიდი წარმატების უშუალო მონაწილეც ყოფილა. აქვე ვთქვათ, რომ ლემიეს პიტსბურგმა თავისი პირველი თასი 1991 წელს მოიპოვა და ფინალში სწორედ ბოსტონს მოუგო.

ისე, ლიდერებს საკმაოდ გაუჭირდათ. ნჰლ-ის ჩემპიონმა მოულოდნელი მარცხი იწვნია აილენდერსთან და დეტროიტის თავკაცები, ალბათ, დააჩქარებენ სერგეი ფიოდოროვთან გარიგებას. არაერთი საგოლე მომენტიდან მასპინძლებმა მხოლოდ ორი გამოიყენეს. გადამწყვეტი გოლი კი ბოლო პერიოდში ტომ ჩორსკიმ (3) გაიტანა და მე-200 ქულა დააგროვა.

აილენდერსს მასზე ძლიერმა ნიუ ჯერსიმ მიუზღო კუთვნილი. მართალია, „კუნძულელებმა" გახსნეს ანგარიში (პალფიმ მე-13 გოლი გაიტანა), მაგრამ შემდეგ ჩხუბითღა ედავებოდნენ მეტოქეს, რომელმაც ბოლო 12 მატჩში 11-ჯერ მოიგო.



აილენდერსელმა პოლ კრუზმა ნიუჯერსელი ახალბედა სურეი გვარიანადაც გალახა და მაისურიც გაძრო

„ეშმაკთა" თავდასხმის სული და გული ჩეხები არიან — გამოცდილი ჰოლიკის (2+0, 10) გვერდით ახალგაზრდა სიკორა (1+1) და ელიაში (2 პასი) სულ უფრო მძლავრად გამოიყურებიან.

ლიდერის პოზიციას კვლავ არ თმობს დალასი, თუმცა, „ვარსკვლავთა" გამარჯვება ედმონტონთან როდი იყო იოლი. მასპინძლები მეორე პერიოდშივე 3:0 დაწინაურდნენ, მაგრამ მერე ინიციატივა ხელიდან გაუშვეს და ორი ქულა ძლივს შეინარჩუნეს.

დალასთან დაკარგული ედმონტონმა სენტ ლუისთან აინაზღაურა და მრისხანე მეტოქეს არც ერთი გოლი არ გაატანინა. „მენავთობეთა" ლიდერმა უეიტმა (1+1) მე-9 შაიბა შეაგდო.

ჩიკაგოს 2-მატჩიან კალიფორნიულ ტურნეში გამარჯვება დამარცხებამ შეცვალა. ანაჰაიმში „ქორებმა" შეძლეს ტეემუ სელიანეს განეიტრალება და ამან სტუმრებს საშუალება მისცა, „იხვები" უგოლოდ დაეტოვებინათ. ჩიკაგოელმა ჰეკეტმა კარიერაში მე-7 „მშრალი" მატჩი ჩაატარა. სხვათა შორის, ანაჰაიმმა ბოლო ორ საშინაო შეხვედრაში ვერც ერთი შაიბა ვერ შეაგდო.

ამ კვირაში ლიგაში უხვად აღინიშნა იუბილეები. სენტლუისელმა ჰალმა და მისმა თანაკლუბელმა კურტნოლმა მე-400 პასი მიითვალეს, დეტროიტელმა შენაჰანმა — 350-ე, ჩიკაგოელმა ამონტემ კი — მე-200. ფლორიდელმა განიემ მე-300 გოლი გაიტან. ტორონტოელმა კლარკმა მე-500 ქულა დააგროვა, ფინიქსელმა ტკაჩუკმა — მე-400, ლოსანჯელესელმა შტუმპელმა — მე-200, ტამპელი რენბერგის ანგარიშზე კი 250-ე ქულაა.

პიტსბურგელმა ფრენსისმა კარიერაში 1370-ე ქულა დააგროვა და ნჰლ-ის ისტორიაში მე-13 ბომბარდირი გახდა. მან ლეგენდარული ჯონ ბიუსიკი ჩამოიშორა.

**სამველ ლარიგიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო აღმოსავლეთი** | | | | | | |
| მონრეალი | 22 | 14 | 2 | 6 | 72:47 | 30 |
| ბოსტონი | 23 | 11 | 4 | 8 | 58:57 | 26 |
| პიტსბურგი | 24 | 10 | 5 | 9 | 64:62 | 25 |
| ოტავა | 23 | 9 | 4 | 10 | 62:59 | 22 |
| კაროლინა | 22 | 9 | [illegible] | 10 | 60:63 | 21 |
| ბუფალო | 20 | 6 | 4 | 10 | 52:61 | 16 |
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 21 | 16 | 0 | 5 | 67:36 | 32 |
| ფილადელფია | 24 | 13 | 3 | 8 | 69:57 | 29 |
| ვაშინგტონი | 22 | 12 | 3 | 7 | 66:54 | 27 |
| აილენდერსი | 22 | 9 | 4 | 9 | 60:57 | 22 |
| რეინჯერსი | 22 | 7 | 7 | 8 | 57:57 | 21 |
| ფლორიდა | 21 | 6 | 4 | 11 | 44:62 | 16 |
| ტამპა | 21 | 3 | 2 | 16 | 40:75 | 8 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| სენტ ლუისი | 28 | 15 | 2 | 6 | 72:50 | 32 |
| დეტროიტი | 23 | 13 | 4 | 6 | 75:55 | 30 |
| დალასი | 23 | 13 | 4 | 6 | 73:57 | 30 |
| ფინიქსი | 21 | 10 | 2 | 9 | 65:60 | 22 |
| ჩიკაგო | 23 | 8 | 2 | 13 | 47:59 | 18 |
| ტორონტო | 20 | 7 | 3 | 10 | 41:57 | 17 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| კოლორადო | 22 | 10 | 7 | 5 | 67:58 | 27 |
| ლოს ანჯელესი | 22 | 10 | 4 | 8 | 76:63 | 24 |
| ანაჰაიმი | 23 | 8 | 5 | 10 | 56:67 | 21 |
| სან ხოსე | 23 | 8 | 1 | 14 | 60:71 | 17 |
| ედმონტონი | 23 | 6 | 5 | 12 | 54:76 | 17 |
| ვანკუვერი | 22 | 6 | 3 | 13 | 57:76 | 15 |
| კალგარი | 23 | 4 | 5 | 14 | 56:74 | 13 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰალი ნამდვილად საუკეთესო იყო

სენტლუისელი ბრეტ ჰალი ხანგრძლივი შესვენების (13 მატჩში 1 გოლი) შემდეგ კვლავ ათამაშდა: მან 3 მატჩში 10 (4+6) ქულა დააგროვა, სამივეში გამარჯვების გოლი გაიტანა და წინა კვირის (10-16 ნოემბერი) საუკეთესო მოთამაშეც დამსახურებულად გახდა. ჰალს ვერც მარტინ ბროდომ გაუწია კონკურენცია, მიუხედავად იმისა, რომ 4 მატჩი მოიგო და საშუალოდ 1,5 გოლი გაუშვა.

# რუსებმა ყველა ვარსკვლავი ვერ შეკრიბეს

აშშ-ის ნაკრების შემდეგ რუსებმაც გამოაცხადეს საოლიმპიადო ეროვნული გუნდის შემადგენლობა. წინასწარ განაცხადში 19 მოთამაშეა — 2 მეკარე, 8 მცველი და 9 თავდამსხმელი.

*მეკარეები:* ანდრეი ტრეფილოვი (ბუფალო) და მიხაილ შტალენკოვი (ანაჰაიმი).

*მცველები:* დიმიტრი მირონოვი (ანაჰაიმი), დარიუს კასპარაიტისი (პიტსბურგი), დიმიტრი იუშკევიჩი (ტორონტო), ალექსეი ჟიტნიკი (ბუფალო), ალექსანდრ კარპოვცევი (რეინჯერსი), ალექსეი გუსაროვი (კოლორადო), ბორის მირონოვი (ედმონტონი) და იგორ კრავჩუკი (ოტავა).

*თავდამსხმელები:* პაველ ბურე (ვანკუვერი), ალექსეი ჟამნოვი (ჩიკაგო), ვალერი კამენსკი (კოლორადო), ალექსეი იაშინი (ოტავა), ვალერი ზელეპუკინი (ნიუ ჯერსი), სერგეი ნემჩინოვი (აილენდერსი), გერმან ტიტოვი (კალგარი), ალექსეი კოვალიოვი (რეინჯერსი) და ანდრეი კოვალენკო (ედმონტონი).

მავანს, ალბათ, გაუკვირდება, რომ ამ სიაში არ არიან რუსთა ვარსკვლავები — ალექსანდრ მოგილნი, იგორ ლარიონოვი, ვიაჩესლავ კოზლოვი და გოლკიპერი ხაბიბულინი. საქმე ისაა, რომ მათ საბოლოო უარი განაცხადეს ნაკრებში თამაშზე. ვანკუვერელ მოგილნის ახლახან აშშ-ის მოქალაქეობა მიუღია და უთქვამს, რუსეთი გულს აღარ მიჩქროლებსო, ხაბიბულინს კი მასთან მოსალაპარაკებლად ჩასული რუსეთის ჰოკეის ფედერაციის თავკაცები აინუნშიც არ ჩაუგდია და თავისი უარი მათთვის წერილობით გაუგზავნია.

არადა, არც ერთი სხვა ქვეყნის ჰოკეისტი ფიქრადაც არ გაივლებდა, ეროვნული გუნდისთვის ემტყუნა. შორს ნუ წავალთ, მობერებულ გრეცკის ყველაზე მეტად სურს ოლიმპიადაზე მოხვედრა, მის თანაკლუბელ ლაფონტენს კი დიდად დაწყვიტა გული იმან, რომ აშშ-ის ნაკრების წინასწარ განაცხადში არ დაასახელეს. ჰოკეისტის სიტყვებიც ამის დასტურია — დიდ ჰოკეიში ხომ სწორედ ოლიმპიადაში საასპარეზოდ დავბრუნდიო.

და ბოლოს: ოთხი დარჩენილი ადგილის კანდიდატთა შორის რუსებს მეამბოხე სერგეი ფიოდოროვიც ეგულებათ. რაც შეეხება მეკარის პრობლემას, რომელიც ხაბიბულინის უარმა გამოიწვია, ეს, ალბათ, ნაკრებში არაპროფესიონალის მიწვევით უნდა მოგვარდეს. იმ გოლკიპერთაგან კი, რომლებიც ნჰლ-ში არ თამაშობენ, ყველაზე დიდი შანსი იაროსლაველის „ტორპედოს" მეკარეს — პოდომაცკის აქვს.



„ოლ ბლექსის“ ტურნე

IV თამაში. 18.11. ჰადერსფილდი. მაკალპაინ სტეიდიუმი. 10 647 მოსეირე: მომავალი ინგლისი 22 (9) (ლ: გრინსტოკი; გ და 5ს: გრეისონი) — ახალი ზელანდია (II შემადგენლობა) 59 (25) (8ლ: კრონფელდი, ჯონა ლომუ 2, სარიჯი, მილერი 3, რაიკლმანი; 5გ და 3ს: სპენსერი)

„ქურციკების“ ტურნე

IV თამაში. 18.11. ტულონი: საფრანგეთი „ა“ 21 (13) (2ლ: კლედა, ბონდუი; გ და 3ს: ბელო) — სამხრეთი აფრიკა (II შემადგენლობა) 7 (7) (ლ, გ: ფ. სმითი)



# მსოფლიო თასი, ოღონდაც მცირე

ორი წლის შემდეგ, შემოდგომაზე, ხუთი ერი IV მსოფლიო თასს უმასპინძლებს. სამხრეთი ნახევარსფეროს ბობოლა გუნდები ამჟამად იქვე რომ სტუმრობენ, ეს მატჩები უცხოეთის მედიამ ლამისაა მინი მსოფლიო თასად შერაცხოს.

წინა შაბათისა არ იყოს, დღესაც სამი ტესტია: ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსი“ მანჩესტერში პირველად ეთამაშება ინგლისს, სამხრეთი აფრიკის „ქურციკები“ პარიზში საფრანგეთს მეორედ ერკინებიან, ავსტრალია კი საერთაშორისო სეზონს ედინბურგში შოტლანდიასთან შებმით ამთავრებს.

ორნახევარი წლის წინ ჯონა ლომუმ ინგლისს შავი დღე აყარა — მსოფლიო თასის ნახევარფინალში ერთბაშად ოთხი (!) ლელო გაუტანა

ლიონის ტესტში „ქურციკმა“ მარბიელებმა ერთობ დაიბრიყვეს მეტოქე: კაპიტანი გარი ტაიხმანი (8) და ანდრე ფენტერი ფრანგებს ყველგან ასწრებდნენ (აპ)

მანჩესტერის ტესტი იქაური „იუნაიტედის“ „ოლდ ტრეფორდზეა“. ზელანდიელებმა დიდი საფეხბურთო არენა პირველად გუშინწინ მოიხილეს და ერთობ კმაყოფილიც დარჩნენ, მედიას კი განუცხადეს, მართალია, ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი ერთი კნინი სპორტია, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ყველას გაგვიგია. მეტიც, „ოლ ბლექსის“ გონიერმა მოძღვარმა ჯონ ჰართმა შანსი ხელიდან არ გაუშვა, მასპინძელ ფეხბურთელთა მენეჯერი ალექს ფერგიუსონი მოიკითხა და მობურთალთა პროფესიული გუნდის ორგანიზაციის გამო აზრთა საგულისხმო გაცვლა-გამოცვლა გაუმართა.

ასეა, მსოფლიოში უძლიერეს ზელანდიელ მორაგბეებს მიაჩნიათ, რომ სასწავლი კვლავაც ბევრი აქვთ. მათი ბებერი კაპიტანი შონ ფითსპატრიკი მუხლის ტრავმის გამო ვერც დღეს ითამაშებს, მაგრამ მეტოქის გასაგონად კი ამბობს, ჩვენი ძალა იმაშია, რომ მხოლოდ წაგებული მატჩები გვახსოვს, მოგებულებს კი მალე ვივიწყებთო.

არადა, „ოლ ბლექსს“ მოგებული წაგებულზე ბევრად მეტი აქვს. 1905 წლიდან ინგლისს 18-ჯერ შეხვედრია და 14-ჯერ გაუმარჯვია. „კივებისა“ და „პომების“ ბოლო შერკინება წინა მსოფლიო თასის ნახევარფინალში მოხდა და სამხრეთელთა დამაჯერებელი გამარჯვებით 45:29 (6ლ-4ლ) დამთავრდა. 1995 წლის 18 ივნისსა და ქეიფთაუნის „ნუველანდის“ გახსენებაზე ინგლისელები დღესაც ძრწიან, თუმცა მაშინდელი გუნდიდან სამად სამი კაცი — ბურჯი ლენარდი, მეორეხაზელი ჯონსონი და ბექი ქეთი შერჩენიათ. სამაგიეროდ, იმ „ოლ ბლექსიდან“ დღეს ცხრა (!) კაცი გავა მოედანზე.

ის მატჩი ჯონა ლომუს ბენეფისი იყო. ტლუ ბიჭს ახალი გაცნობილი ყავდა აფრიკელი გოგო ტანია რუტერი, ვინაც ახლა მთაკაცის ცოლია და განუზომელი წვლილიც მიუძღვის იმაში, რომ დიდი გარეშარბი არ შეეპუა თირკმლის მუხთალ სენს, იმკურნალა, ბოლომდე გამოჯანმრთელდა, ნაკრებშიც დაბრუნდა და დღეს ინგლისელებს კვლავ დაერევა.

დიახ, ჰართმა ლომუს ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში თხუთმეტეულში მიუჩინა ადგილი. ჯონამ ეს ამბავი ოთხშაბათს შეიტყო, წინადღით კი მან, კრონფელდმა, ლითლმა, სპენსერმა, უმაგამ და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის სხვა მოსურნეებმა ლიგის რაგბის ციტადელ ჰადერსფილდში შავი დღე აყარეს ინგლისის იმ ნაკრებს, რომელიც, წესითა და რიგით, იმედისმომცემი მოთამაშეებით უნდა დაეკომპლექტებინათ, მაგრამ მაინც შეიცავდა ერთბაშად 12 კეპოსანს, რომელთაგან რამდენიმეს 30 წლისთვის გადაებიჯებინა.

„პომები“ მე-6 წუთზე 9:0 დაწინაურდნენ, მაგრამ ზელანდიამ მერე ისეთი სპექტაკლი გაუმართა მაყურებელს, რომ თქვენი მოწონებული. ხალხი ლომუს გამორჩეულად ქომაგობდა: რამდენჯერაც ბურთს მიცემდნენ, ყიჟინას დასცემდა, ხოლო როცა ჯონას შებოჭავდნენ, კიდევ უფრო გაიხარებდა.

ჰართმა ნამატჩევს კი ბრძანა, შუა კვირის გუნდის ასეთი თამაში არასოდეს მინახავსო, მაგრამ სატესტოში მხოლოდ ლომუ აიმატა. მთაკაცმა ეს ამბავი რომ შეიტყო, სახტად დარჩა. სამაგიეროდ, ფითსპატრიკმა ერთობ შეუქო ხასიათის სიმედგრე და უთხრა, შენი მაგალითი მუხლის მორჩენაში დამეხმარებაო.

პარიზში თამაში „პარკ დე პრენსზეა“. აფრიკელთა მწვრთნელ ნიკ მალითის მტკიცებით, ეს მის ბიჭებს ერთი ორად გაურთულებს საქმეს, რაკი ამ სტადიონზე ჭიდილი ფრანგებს ფრიად ემოციურ მუხტს მატებს. აკი 1973 წლიდან გამართული 65 ტესტიდან „მამლებს“ 48 მოუგიათ, დღეს კი იქ უკანასკნელად თამაშობენ, რაკი



გაისიდან გადადიან „სტად ფრანსზე“, რომელიც ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის შენდება და ყველა ყაიდაზე მობურთალთა ეროვნული სარბიელი იქნება.

„ქურციკებმა“ „პარკზე“ შარშანაც ითამაშეს, ანგარიშად 13:12 ძლივს შეინარჩუნეს და სერია 2-0 მოიგეს. ახლა ზედიზედ მეხუთედ რომ ძლიონ ფრანგები, კაპიტან ტაიხმანის თქმით მეტი დაუნდობლობა მართებთ. წინა შაბათს არ იყო, 21 ქულით დაწინაურებულ აფრიკელებს ბოლოს რაგბობის იშტა რომ დაეკარგათ და მეტოქეს სხვაობა ოთხ ქულამდე დააყვანინეს.

სტუმრებს დაშავებული 9 ნომერი იუსტ ფანდერვესტჰოიზენის ნაცვლად ეყოლებათ ვერნერ სვონეპული, ვინაც ტესტს პირველად დაიწყებს, თორემ სხვაფრივ ნარინჯში გამობრძმედილი ოსტატია და უკანა ხაზის ბურთით მომარაგება ერთობ ეხერხება. რაც შეეხებათ ფრანგებს, მათ შერკინებაში ძალა ამჯობინეს სიმარდეს და პელუ მერლით შეცვალეს, უკანა ხაზში კი პირიქით მოიქცნენ: მარჯვენა ფრთაზე ვეება ლეფლამონის მაგივრად მოძრავ ვონდიტის უპირებენ დაყენებას.

პარიზის ტესტის შემდეგ „ქურციკები“ მხოლოდ ტესტებს გაუმართავენ ინგლისსა და შოტლანდიას. რაკი გუნდს შუა კვირაში აღარ ელის თამაში, მალითი დელეგაციის რვა წევრს საფრანგეთიდან შინ გააგზავნის. დაწუნებულთა სიაში მოხვდა ნაკრების მწვრთნელის მიერვე გამოზრდილი „ფერადი“ კვაჰი დეილ სენტონი, ვინაც საფრანგეთის მეორე ნაკრებთან თამაშში 25-ე (!) წუთზე შეცვალეს, რადგან კიდიდან ბურთის სწორად მოწოდებას საშველი ვერ დააყენა — ზედიზედ ხუთჯერ (!) წაუცდა ხელი.

ნიკო ვეფხვაძე

„ვოლაბების“ ტურნე

## ილზი კიდევ დაკრავს

„ვოლაბთა“ აყლაყუდა კაპიტანმა ჯონ ილზმა წინა შაბათს სამი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გააფუჭა, რისი გადამკიდე ავსტრალიაც ინგლისთან 15:15 ფრეს დაჯერდა. ასეთი მარცხის შემდეგ გონება-დინჯი კაცი დამრტყმელობას სხვას გადააბარებდა, მაგრამ ილზს უთქვამს, მარიფილდშიც მე ვიკისრებ ამ რთულ მისსიასო.

შოტლანდიამ ავსტრალიას შარშანაც უმასპინძლა და 19:29 წააგო. დღეს „ვოლაბებს“ იგივე თხუთმეტეული გაყავთ, რაც ინგლისს შეახვედრეს, შოტლანდია კი ოთხ ახალბედას ათამაშებს. რაკი მესამეხაზელი კაპიტანი რობ ვეინრაიტი დაშავებულია, გუნდს 9 ნომერი ენდი ნიკოლი გაუძღვება, 10 ნომერი გრეგორ ტაუნზენდი იქნება, 12 — ალან ტეიტი. წელს ორივე მონაწილეობდა „ბრიტანელ ლომთა“ ტრიუმფალურ აფრიკულ ლაშქრობაში. გარდა ამისა, გრეგორს ავსტრალიაში საკლუბო რაგბის სრული სეზონიც გაუტარებია და იქაურ ბობოლ-ბობოლა ბექებს საკუთარი ხელის ხუთი თითივით იცნობს.

დღეს, ჩვენებურად 19 საათზე, პირდაპირ „ოლდ ტრეფორდიდან“: ინგლისი — ახალი ზელანდია!

## აფროსნობა

### ვითბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

II სტადია. ქეიფთაუნი — ფრიმენთლი

8 - 24 ნოემბერი (4600 მილი)

ვითარება გუშინ, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე

| იახტა | დროშა | # | სკიპერი | დარჩა |
|---|---|---|---|---|
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | 36 | გ. კრანცი | 743.3 |
| ინოვეიშენ კვერნერ | ნორვეგია | 97 | კ. ფროსტადი | +285 |
| ტოშიბა | აშშ | 60 | პ. სთენდბრიჯი | +399.3 |
| სილქ ქათ | ბრიტანეთი | 84 | ლ. სმითი | +533.9 |
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | 125 | პ. კაიარდი | +549 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 72 | მ. ფიშერი | +671.3 |
| მერით ქაფ | მონაკო | 110 | გ. დოლტონი | +893.3 |
| ი-ეფ ედუქეიშენ | შვედეთი | 24 | კ. გიუ (ქალი) | +942.1 |
| ბრიუნელსანერჯი | პოლანდია | 12 | პ. ბუსხოლცი | +978.9 |

## რეკორდი დამყარდა!

გუნარ კრანცის ნავი სტადიის ფინიშს ისე მარდად უახლოვდება, რომ იქ ვადამდე – ხვალ, გრინვიჩის დროით 15 საათსა და 10 წუთზე ელიან. ამგვარი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გარსაქვეყნო ნაოსნობის მომწყობთ უთანამედროვესი კომპიუტერები აძლევენ.

დიახ, ტექნიკა ისე წინ წავიდა, რომ ყოველგვარი შედეგის აღნუსხვა გაადვილდა. წინა მიმოხილვაში ვწერდით, „სილქ ქათს“ 2,9 მილი ვერ ეყო 24 საათში განაცური მანძილის რეკორდის გასაუმჯობესებლადო.

და ჰა, გამოხდა ორი დღე და ლორი სმითის ნავმა (ფოტოზე) მიღწევა ორჯერ გააუმჯობესა. ჯერ იყო და



ოთხშაბათის 07.46 საათიდან ათვლილ 24 საათში 448,9 მილი გაცურა, მერე კი საზრიანმა მზომელებმა საწყის მომენტად 08.20 აიღეს და შედეგიც მეტი — 449, 26 მილი გამოუვიდათ!

რეკორდი იქეთ იყოს და „სილქ ქათმა“ სხვაფრივაც იხეირა: თუ გუშინწინ 38 მილით ჩამორჩებოდა „ლენგვიჯს“, გუშინ მასვე 15 მილით უსწრებდა, რაც ფინიშზე ზედმეტ 12 ქულად იქცევა!

მიხო ნინუა

## გოლფი



## 400 ათასი წვიმაში

გოლფში მეიჯორის მოგება ფრიადი მიღწევაა, წლის ოთხივე მეიჯორის გამარჯვებულთა ელიტარულ შეჯიბრში პირველობა – უზენაესი პატივი.

ამ პატივს სამშაბათს ეწია სამხრეთ აფრიკელი ერნი ელსი. მან ჰავაის არქიპელაგის კუნძულ კაუაიზე მოიგო პროფ-ასოციაციის დიდი სლემი, დიდძალი ფული მიითვალა და თან გააუმჯობესა შეჯიბრის რეკორდი, რომელიც ამერიკელ ტომ ლეიმანს ეკუთვნოდა და პარს 10-ით ჯობდა.

დიდი სლემი ელიტის შოუ რომაა, ტრადიციული ოთხის ნაცვლად ორ წრედ იმართება. რაკი მულატმა ვუნდერკინდმა ვუდზმა და კიდევ ორმა ამერიკელმა — ლავ-მესამემ და ლენარდმა წელს მეიჯორებზე პირველად გაიმარჯვეს, ჰავაიზეც პირველად ითამაშეს; აი, ელსს კი იქ ადრეც უასპარეზია და თუმცა ნაორშაბათევს ტაიგერთან აგებდა, სამშაბათს წვიმაში მაინც აჯობა საგოლფო თემის ნებიერს.

რეზო ნემსაძე

17-18.11. პოიპუ-ბეი რესორტი. გზის სიგრძე 6 957 იარდი, პარი (სანიმუშო შედეგი) — 72 დარტყმა:

1. ერნი ელსი (სამხრეთი აფრიკა; აშშ-ის ღიას ჩემპიონი) --11, 133 (68, 65), 400 ათასი US$; 2. ტაიგერ ვუდზი (აშშ; აშშ-ის საოსტატო) --8, 136 (66, 70), 250 ათასი US$; 3. დეივის ლავ III (აშშ; აშშ-ის პროფ-ასოციაცია) --6, 138 (71, 67), 200 ათასი US$; 4. ჯასტინ ლენარდი (აშშ; ბრიტანეთის ღია) +5, 149 (77, 72), 150 ათასი US$

ამ ორშაბათის რეიტინგში: 1. გრეგ ნორმანი (ავსტრალია) 12,00; 2. ვუდზი 10,58; 3. ელსი 9,68; 4. ნიკ პრაისი (ზიმბაბვე) 9,30; 5. ლავ III 8,85; 6. კოლინ მონტგომერი (შოტლანდია) 8,71; ... 11. ლენარდი 6,98

## ქიციცა & ქიცმაცურიც

### გაყიდული ტრაქტორი

ფარიკაობა ხიფათიანი სპორტია. ოქტომბერში რუმინელი მწვრთნელი დუმიტრუ პოპესკუ ნაღდ სიკვდილს გადაურჩა. მის მოწაფე ადი პოპას ვარჯიშზე დაშნა გადაუტყდა და ნატეხმა მოძღვრის მკერდში ხუთი სანტიმეტრით შეაღწია.

პოპამ მედიას განუცხადა, ყველაფერი ჩვენი სილატაკის ბრალიაო. მისი მკერდსაცავი იმდენად მოძველებული ყოფილა, რომ ფუნქციას ფაქტობრივად ვერ ასრულებს.

დრამამ პოსტ-კომუნისტური ქვეყნების მოფარიკავეთა სიდუხჭირის დამადასტურებელი სხვა ფაქტებიც ამოატივტივა. ასე მაგალითად, წელს რუმინეთშივე გამართული საერთაშორისო ტურნირის იტალიელი გამარჯვებული ფულით რომ ვერ დაუჯილდოებიათ, ტრაქტორი მიუციათ, უცხოელს კი იგი იქვე გაუყიდია, რუმინული ფული დოლარებად გადაუცვლია და შინ მერეღა გამგზავრებულა.

### სუსანთიკას ემალებიან

20 წლის ლანკელმა ქალმა სუსანთიკა ჯაიასინგჰემ ათენში, მძლეოსნობის მსოფლიო პირველობაზე 200 მეტრზე სირბილში ვერცხლის მედალი რომ მოიგო, სამშობლოს აღუთქვა, სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე ოქროსაც შევწვდებიო. ეს შრილანკას სპორტისთვის უმაგალითო მიღწევა იქნება, რაკი ამ ქვეყანას ერთადერთი ოლიმპიური ჯილდო და ისიც ვერცხლისა მოპოვებული აქვს 1948 წელს, როცა ჯერაც ცეილონად იწოდებოდა.

შინ დაბრუნებულ მძლეოსანს ერმა ფრიადი პატივი მიაგო, სამხედრო უწყებამ დეზერტირობაც აპატია, მაგრამ მერე და მერე ეშხიან სუსანთიკას დევნა დაუწყეს. ქვეყნის სპორტის მამები ქალს ერთი, რომ კუთვნილ პრემიას არ აძლევენ, და მეორეც, არშიყს არ აკლებენ, რათა როგორმე აცდუნონ.

სუსანთიკა სამი წლის გათხოვილია. მისი ქმარი დჰამიკა ნანდაკუმარა მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ციხიდან იგი მხოლოდ ცოლის თავდებითაა გაშვებული და საზღვარგარეთ გამგზავრება ეკრძალება. ამ საქმის მოკვარახჭინება ჯაიასინგჰეს 100 ათასი რუპია (1 600 US$) დაჯდომია.

შერისხული ქმრის მდევნელი და თავადაც კავალრებისგან დევნილი სუსანთიკა აღარ ვარჯიშობს. შეუძლებელია, რომ ამან მსოფლიო დონის სპორტსმენს კვალი არ დაამჩნიოს. მეტიც, გატანჯულ ქალს მედიისთვის შეუჩივლია, მყუდრო ოჯახური ცხოვრება მწადია; ადრეც იმიტომ გავთხოვდი, რომ უამრავ მოძალადეს გავქცეოდიო.

ირაკლი ნინუა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29